

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია  
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

26



*ИНОСТРАННЫЕ ИСТОЧНИКИ ИСТОРИИ ГРУЗИИ*

*XIV*

СВЕДЕНИЯ ИТАЛЬЯНСКИХ  
ПУТЕШЕСТВЕННИКОВ XV ВЕКА.  
О ГРУЗИИ

Перевод с итальянского, предисловие, примечания и  
указатели Э. М. Мамиствалишвили

МЕЦНИЕРЕБА  
ТБИЛИСИ — 1981.

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები

XIV

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა  
ცნობები საქართველოს შესახებ

იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალისვილმა

9 (C41+902.9(4)  
63.3(2Г)+63 (44)  
9(47.922 (001)+90(45)  
ა 629

წიგნში მოცემულია XV საუკუნის იტალიელი დიპლომატ-მოგზაურების კატერინო ძენოს, ჯოსაფატ ბარბაროს და ჯოვანი მარია ანჯოლელოს თხზულებებიდან ამოკრეფილი იმ ცნობების თარგმანები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიისათვის.

წიგნი განკუთვნილია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

В книге дается сведения италийских дипломатов-путешественников XV века: Катерино Дзено, Джосафат Барбаро и Джовани Мария Анджолело. Эти сведения имеют определенное значение для изучения истории экономики, политики и культуры феодальной Грузии.

Книга предназначена для исследователей истории феодальной Грузии и вообще для лиц, заинтересованных историей Грузии.



## მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიენაძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე).

სერიის რედაქტორი ს. შაუხჩიშვილი

ტომის რედაქტორი ჯ. ოდიშელი

## ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа. (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигури (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария.

Редактор серии С. Г. КАУХЧИШВИЛИ

Редактор тома ДЖ. ОДИШЕЛИ

## საქართველოს ისტორიის წყაროების

### კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.
5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.
10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.
11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник, Перевод В. Д. Донуда, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тб., 1978.
12. Памятник эриставов, Перевод, вступительная статья и комментарии С. С. Қакабадзе, Тб., 1979.

13. **Сумбат Давитისძე**, *История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе*, Тб., 1979.

14. **მუსტაფა ნაიმა**, *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ*, თბ., 1979.

15. **ზაქარია აგულეცი**, *დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ*, თბ., 1979.

16. **ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი**, *თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ*, თბ., 1979.

17. **არსენი საფარელი**, *განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ზ. ალექსიძემ*, თბ., 1980.

18. **ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ**, IV, *ძველი ბერძენულიდან თარგმნა. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1980.

19. **ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I)** *აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V—X სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980.

20. **ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II)**, *დასავლეთ საქართველოს წარწერები, IX—XIII სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ*, თბ., 1980.

21. **ცხოვრება საქართველომისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.**

22. **Законы Вахтанга VI**, *перевод, введение, примечания, глосарий и указатели Д. Л. Пурцеладзе*, Тб., 1980.

23. **კ. კახისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ**, *გერმანულიდან თარგმნა შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა*, თბ., 1981.

24. **ისქანდერ მუნში**, *აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა*, თბ., 1981.

25. **პაპუნა ორბელიანი**, *ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა*, თბ., 1981.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	9
კ ა ტ ე რ ი ნ ო ძ ე ნ ო . . . . .	17
შენიშვნები რაინდ ბატონ კატერინო ძენოს სპარსეთში მოგზაურობისა და სპარსელთა ომების შესახებ . . . . .	20
შენიშვნები . . . . .	44
ჯ ო ს ა ფ ა ტ ბ ა რ ბ ა რ ო . . . . .	50
კეთილშობილი ვენეციელის, ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში და სპარსეთში. . . . .	54
ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში . . . . .	54
ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა სპარსეთში . . . . .	59
შენიშვნები . . . . .	63
ჯ ო ვ ა ნ ი მ ა რ ი ა ა ნ ჯ ო ლ ე ლ ო . . . . .	73
ბატონ უზუნ ჰასანის ცხოვრებისა და საკმეთა მოკლე მოთხრობა გადმო- ცემული ჯოვანი მარია ანჯოლელოს მიერ . . . . .	75
შენიშვნები . . . . .	83
Итальянцы XV века о Грузии (резюме) . . . . .	86
The Italians of the XV Century about Georgia (Rezume) . . . . .	89
ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი . . . . .	92
პირთა სახელები . . . . .	92
გეოგრაფიული სახელები . . . . .	96

## შესავალი

XV საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის ქართული ნა-  
რჩეული წყაროები ნაკლებად მოიპოვება. ეს განპირობებულა  
იზ უდიდესი ნგრევითა და განადგურებით, რაც საქართველომ გა-  
ნიცადა თემურლენგის ურდოების თარეშითა და სხვადასხვა მტრის  
შემოსევით.

იხილავდა რა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, აკად.  
ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „... რა საკვირვე-  
ლია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითე-  
ბის წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც  
დაღუემებული იყო. ეს კი არ არის საკვირველი, არამედ უფრო ის  
გარემოება, რომ ამ ჯოჯოხეთური პირობებისა და მიუხედავად, ქარ-  
თველი ხალხი არ დაიღუპა...“<sup>1</sup>.

XV ს. ქართული წერილობითი წყაროების ნაკლებობას, მარ-  
თალია, არა სავსებით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც, ავსებს სხვადა-  
სხვა უცხოელი მოგზაურების, დიპლომატების, პილიონერების ცნო-  
ბები. ისინი გვეხმარებიან აღვადგინოთ ქართველი ხალხის ცხოვ-  
რებისა და გმირული წარსულის ზოგიერთი მომენტი.

საქართველო, აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქრისტიანული სა-  
ხელმწიფო, ჯვაროსნული ლაშქრობების დროიდან იქცევა ევრო-  
პელთა ყურადღებას უმთავრესად სამხედრო თვალსაზრისით.

XV ს-ში ევროპის სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყუ-  
რადღება მიაქციეს აღმოსავლეთის იმ ქვეყნებს, რომლებსაც ოს-  
მალეთი ემუქრებოდა და რომელნიც საერთო მტრის წინააღმდეგ  
ბრძოლაში შეიძლებოდა გამხდარიყვნენ მათი მოკავშირეები. ამით  
იყო გამოწვეული იმავე საუკუნის დასაწყისიდან კასტილიელი  
რუი გონსალეს დე კლავიხოს, ვენეციელების — კატერინო ძენოს,  
ჯოსაფატ ბარბაროს, ამბროჯო კონტარინის და სხვათა დიპლომა-  
ტიური მისიებით მოგზაურობა აღმოსავლეთში. ზემოხსენებულ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ.  
464.

მა დიპლომატმა მოგზაურებმა მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტო-  
ვეს იმ ქვეყნების შესახებ, რომლებშიც მათ ყოფნა მოუხდათ, მათ  
შორის საქართველოს შესახებაც.

დიპლომატთა და მოგზაურთა ცნობებისადმი, როგორც ის-  
ტორიული წყაროებისადმი, რასაკვირველია, საჭიროა კრიტიკული  
მიდგომა. გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რომელ სოციალურ  
ფენას ეკუთვნის და რომელი ფენის პოლიტიკურ ინტერესებს ემ-  
სახურება ესა თუ ის ავტორი. კლასობრივი მიზნები, რომლებიც  
განააზღვრავენ პოლიტიკურ პოზიციას, არა მარტო გავლენას ახ-  
დენენ ფაქტების გაგებასა და შეფასებაზე, არამედ ფაქტების  
შერჩევაზეც.

დასაკვირვებელი მასალისადმი მიდგომის დროს მოგზაურში  
თავს იჩენს პროფესიული ინტერესები, რომელთა მიხედვითაც  
მოგზაურები სხვადასხვა კატეგორიებად უნდა დაეყოთ: მოგზაურ-  
ვაკრები, მოგზაურ-დიპლომატები, მოგზაურ-მეცნიერები და მო-  
გზაურები, რომლებიც ძირითადად სამხედრო საქმით იყვნენ და-  
ინტერესებულნი. უფრო ხშირად ცალკეული მოგზაურები თითქმის  
ყველა შემოჩამოთვლილ ნიშანს აერთიანებდნენ, რაც კარგად ჩანს  
მათი ჩანაწერებიდან.

მოგზაურთა ჩანაწერები მათი მოგზაურობის მიზნის (სავაქ-  
რო, დიპლომატიური და სხვა საქმიანობა) სრულ ანგარიშს არ  
წარმოადგენს. ჩანაწერებში ისინი ყოველნაირად აფუჭებდნენ  
და გვერდს უვლიდნენ ძირითად მიზანს, ვრცლად გადმოსცემდნენ  
ეგზოტიკურ. დასავლელი მკითხველისათვის საინტერესო ამბებს,  
ხოლო რაც შეეხებოდა მათი მოგზაურობის ძირითად მიზანს, ამის  
შესახებ თავიანთ მთავრობას სპეციალურ მოხსენებას წარუდგენ-  
დნენ ხოლმე. მოგზაურთა ჩანაწერების ეს თავისებურება გამოწვე-  
ული იყო ორი გარემოებით: 1) ჩანაწერებში ანგარიში ეწეოდა მა-  
შინდელი მკითხველი საზოგადოების ინტერესებს. ამ საზოგადო-  
ებას უცხო ქვეყნებისა და ხალხების საყოფაცხოვრებო ფაქტები  
იზიდავდა; და 2) დიპლომატიური თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნე-  
ლობის სხვა ცნობების გასაიდუმლოებით, რასაც მაშინაც დიდ  
მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია XV ს. ვენეციელი დიპ-  
ლომატების ცნობები საქართველოს შესახებ. ეს ცნობები საშუა-  
ლებას იძლევა დავაზუსტოთ ან ახლებურად დავაყენოთ საქარ-  
თველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი მაშინდელი  
საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე. ამ მიზნის მიღწევა მათი  
ქართულ დოკუმენტურ თუ ნარატიულ წერილობით ძეგლებთან

შეჯერების გარეშე ვერ მოხერხდება და არც იქნება გამართლებული.

ზემოხსენებულ მოგზაურთა ცნობები საშუალებას იძლევა, მართალია, არასრული, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას XV ს. საქართველოს საზღვრებზე, მის გზებზე, საგარეო ვაჭრობასა და ქალაქებზე.

მოგზაურთა ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ XV ს-ში საქართველოს ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები სერიოზულად შემცირებულა. მხოლოდ სამხრეთი საზღვარი რჩებოდა უცვლელი. ოსმალეთის იმპერიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ათაბაგისაგან ხარკის გადახდით კმაყოფილდებოდა.

კონსტანტინოპოლის დაცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. კულტურული და ქრისტიანული ბიზანტიის აღვიდას, რომელთანაც მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა საქართველოს, დამკვიდრდა აგრესიული და მილაკრი ოსმალეთის იმპერია. საქართველოს გაურთულდა ევროპასთან კავშირის შესაძლებლობა, რამაც დაღი დაასვა მის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს დიდი ხნის განმავლობაში სავაჭრო კავშირი ჰქონდა ევროპასთან, განსაკუთრებით ჩრდილო იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან — ვენეციასა და გენუასთან. მათთან ვაჭრობაში დიდ როლს თამაშობდა საქართველოში გაშავალი სავაჭრო გზები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნები. საქართველოზე გაშავალი უძველესი გზა ჰქონდა მხედველობაში ცნობილ იტალიელ მკვლევარს ჯუზეპე კანალეს, როდესაც აღნიშნავდა, რომ იტალიელებს „საქართველოზე გაშავალი გზა ხელს უწყობდა სპარსეთთან დიდი ვაჭრობის აღვილად და თავისუფლად წარმოებაში“<sup>2</sup>. სხვაგან იგი ამბობს, რომ ამ გზამ დიდი როლი ითამაშა ჩრდ. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკების: ვენეციის, გენუისა და პიზის გამდიდრებისა და გაძლიერების საქმეში და რომ მან თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა კეთილი იმედის კონცხისა და აზერბაიჯანის აღმოჩენამდე<sup>3</sup>.

<sup>2</sup> Della C r i m e a, del suo commercio e dei suoi dominatori dalle origini fino al di nostri. Commentarii storici, dell'avvocato Michele Giuseppe Canale, v. I, Geneva, 1855, p. 352. 374.

<sup>3</sup> Op. cit., II, Geneva, 1856, p. 277.

XV ს. მეორე ნახევარში საქართველოს უმთავრესი და უძველესი სავაჭრო გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ბარბაროს და კონტარინის გადმოცემით, უკვე იმდენად იყო მოუვლელი და დაცვას მოკლებული, რომ ამ გზით სარგებლობა დიდ ზაფათს უქადდა მშვიდობიან მგზავრებს. ქვეყნის ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დანაწილების შედეგად აღნიშნული გზის გამოყენება განსაკუთრებით არახელსაყრელი გახდა. თითოეული ფეოდალი, რომლის სამფლობელოზეც გადიოდა გზა, თვითნებურად მოითხოვდა მგზავრისაგან ზაფს. ამის შესახებ მრავალ ადგილას ლაპარაკობს კონტარინი თავის „მოგზაურობაში“. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებას ოსმალების მიერ საქართველოსაკენ მომავალი საზღვაო და სახმელეთო გზების გადაკეტვა დაემატა, რამაც XV საუკუნის დასასრულთან ამ გზის დაცარიელება გამოიწვია.

ოსმალები კონსტანტინოპოლის ალებით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გაბატონდნენ და ამით ვენეციის და გენუის ვაჭრობას აღმოსავლეთთან დიდი ზიანი მიაყენეს. შავ ზღვაზე გამავალმა გზამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს გზები, რომლებმაც ასევე დაკარგეს თავიანთი აღრინდელი მნიშვნელობა, გართულებული მდგომარეობის მიუხედავად, ევროპელთათვის აღმოსავლეთთან კავშირის დასამყარებლად მაინც მოსახერხებელი იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ვენეციელი დიპლომატების უმეტესობა, რომლებიც XV ს. 70-იან წლებში ირანისაკენ მიდიოდნენ, საქართველოს გზებით არჩევდნენ მგზავრობას.

შინაგანმა და გარეგანმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინეს საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზე. შეცვლილი ვითარების უარყოფითი გავლენა ყველაზე აშკარად ქალაქებს დაეტყო. ეხებოდა რა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოს მდგომარეობას, შ. მესხია აღნიშნავდა: „მწარმოებლური კლასის რიცხოვრივი შემცირებისა და მნიშვნელოვანი ქალაქებისა და ქვეყნის ეკონომიკური რაიონების განადგურების შედეგად არა მარტო საგარეო ბაზარზე გასატანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა მოისპო, არამედ საკუთარი მოთხოვნილებისაც კი“. და შემდეგ დასძენს: „ამის გამო საქარ-



თველოს ქალაქების როლი მნიშვნელოვნად დაკნინდა; ზოგიერთმა მათგანმა კი სავსებით შეწყვიტა არსებობა<sup>4</sup>.

XV ს. მოგზაურთა ცნობები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან მაშინდელი საქართველოს მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, ისინი თითქმის არაფერს გვეუბნებიან იმავე პერიოდის მოსახლეობის საქმიანობასა და ეკონომიურ დონეზე. ეს ვითარება მტრების დაუსრულებელ თარეშთან და ერთიანი ფეოდალურ სახელმწიფოს დაშლასთან ერთად გამოიწვია საქართველოზე მიმავალი სავაჭრო-საქარავენო გზების მნიშვნელობის დაცემადაც. სავაჭრო ურთიერთობის შემცირებას არ შეიძლებოდა თავისი დალი არ დაესვა ხელსისხლისა და მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე, რომელთა საუკუნო მდგომარეობის შესახებ მრავალგან აღნიშნავს ბარბარო. მაგრამ როდესაც ის მოსახლეობის ნივთიერსა და ზნეობრივ დონეზე ლაპარაკობს, ხშირ შემთხვევაში სანდო არ არის.

იმავე პერიოდის სხვა მოგზაურთა (ისინი საქართველოში არ ყოფილან. მათ ქართველებთან ურთიერთობა მის ფარგლებს გარეთ უხდებოდათ) ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ალებ-მიცემობის საქმე მთლიანად დაცემული არ იყო, საქართველოს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებთან. მაგალითად, ქართველები ხშირი სტუმრები იყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრებისა, როგორც იყო თავრიზი და ბურსა<sup>5</sup>. არც თუ იშვიათად მიდიოდა სხვადასხვა საქონლით დატვირთული ქარავნები საქართველოდან ალექსანდრიაში<sup>6</sup>. ეს ძუნწი ცნობები თავისთავად მრავლისმეტყველნი არიან.

XV ს. მეორე ნახევარში საქართველო მის ფარგლებს გარეთ ცნობილი იყო, როგორც „ყველაფრით მდიდარი“<sup>7</sup> და ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შიშის ქვეშ ჰყავდა თავისი მრავალრიცხოვანი „ურწმუნო მეზობლები“<sup>8</sup>.

<sup>4</sup> Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 92.

<sup>5</sup> Я. М. Махмудов, Взаимоотношения государства Ак-коюнлу с Венецией (60—70 гг. XV века). Автореферат, Баку. 1966, с. 8.

<sup>6</sup> Leonharti Rauwolfen, der Arznai Doctorn und Bestelteen zu Augsburg. Aigentliche Beschreibung der Reiß so Br Mesopotamiam, Babiloniam, Assyriam..., 1583, p. 415. რაუფოლფენა იმოგზაურა 1473—1475 წლებში.

<sup>7</sup> А. Никитин, Хождение за три моря 1466—1472 гг., М., 1960, с. 41.

<sup>8</sup> Ludvig Tschudi von Glarus, Reise und Pilgerfahrt zum des Edlen und Besprungen Herren, Gullen, 1606, p. 138.

უცხოელებს არც ქართველების ზრდილობა<sup>9</sup> და არც მათი „რანდული ბუნება“<sup>10</sup> გამორჩენიათ მხედველობიდან.

ყოველივე ზემოთქმულით იმის ჩვენება გვინდა, რომ, მიუხედავად მტრების ხშირი შემოსევებისა, რასაც არ შეიძლებოდა თავისი დალი არ დაეკვა საქართველოს შემდგომ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ განვითარებაზე, ჭალხის კულტურულ და ზნეობრივ დონეზე, მაინც მდგომარეობა ისეთი საგანგაშო არ უნდა ყოფილიყო, როგორც ბარბარო გვიხატავს.

XIV ს. 80-იანი წლებიდან იწყება საქართველოს ისტორიის განსაკუთრებით ტრაგიკული პერიოდი.

თემურლენგმა, შუა აზიელმა მრისხანე დამპყრობელმა, მიწასთან გაასწორა მრავალი ქვეყანა. უბედურებამ საქართველოსაც უწია. 1386—1403 წლების განმავლობაში თემურის ურდოები მრავალგზის შემოიჭრნენ საქართველოში, რასაც თან ახლდა არნახული სისასტიკე და აოხრება.

თემურლენგის ურდოების შემოსევებმა წარუშლელი კვალი დაამჩნია საქართველოს შემდგომ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას: ეკონომიკა მოიშალა, მოსახლეობა შემციირდა, ქვეყანა პოლიტიკურად დასუსტდა. მაგრამ თემურმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო ქართველი ხალხის დამორჩილება. ისინი მრისხანე დამპყრობლისადმი ქედის მოხრას კი არ ფიქრობდნენ, არამედ ყოველ ხელსაყრელ ვითარებას იყენებდნენ, რათა აღედგინათ საკმაოდ შელახული საერთაშორისო პოზიციები და ამ მიზნით აქტიურ საგარეო პოლიტიკასაც ატარებდნენ.

იმავე საუკუნის დასასრულიდან განსაკუთრებით ნათელი შეიქნა, თუ როგორ ხიფათს უმზადებდა ოსმალეთის ძლიერი სახელმწიფო თავის აღმოსავლელ და დასავლელ მეზობლებს. დაპყრობილი ტერიტორიებიდან ოსმალების განდევნა გადაუღებელ ამოცანად იქცა. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე, მაშინ არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო. საჭირო იყო სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაერთიანება და მათი დაპირისპირება ოსმალეთის სულ უფრო მზარდი და ძლევამოსილი წინსვლისათვის. მიუხედავად ამისა. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ყოველმა ისეთმა ცდამ, რო-

<sup>9</sup> Rauwölfen, p. 415.

<sup>10</sup> Bernhard von Breidenbach, Peregrinatio in terram Sanctam, Mainz, 1486, rp. 200.

მელშოც შევიდოდნენ დასავლეთის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და საქართველო, მარცხი განიცადა. ანტიოსმალური ლიგის შექმნის იდეას განსაკუთრებით ცივად შეზღუდნენ ევროპაში. ეს გამოწვეული იყო მაშინდელი ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით. იმ ქვეყნებმა, რომლებსაც უშუალოდ არ ემუქრებოდა ოსმალთა თავდასხმა, ან არ ილახებოდა მათი ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთში (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი), მხარი არ დაუჭირეს ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას. ამავე დროს არსებობდა კიდევ ერთი სერიოზული მომენტი: XV ს-ში ევროპაში მიმდინარეობდა ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი. აქედან გამომდინარე, მათ მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა ძირითადად საკუთარი ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა.

აღმოსავლეთის მრავალი სახელმწიფო (ტრაპიზონის იმპერია, ყარაიმანიის საამირო) სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ომით. ისინი ევროპის სახელმწიფოებისაგან დახმარების მიღების იმედით მყოფნი ოსმალებმა მოსპეს, სხვები კი ისე იყვნენ დასუსტებულნი, რომ არ შეეძლოთ ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელება.

მუხუნდავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულად შემცირებული, ეკონომიკურად დასუსტებული, პოლიტიკურად დამალალი იყო, მაინც დიდი ენერგიით ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნას და სამიში მტრის ალაგვას. მისი ასეთი გულმოდგინება ბოლოს და ბოლოს იმით დასრულდა, რომ მისმა ყოფილმა მოკავშირემ აყ-ყოიუნლუს მბრძანებელმა უზუნ ჰასანმა აიკლო და გაძარცვა იგი.

საქართველოს ოპტიმისტურად განწყობილი მესვეურნი მანც არ კარგავდნენ ქრისტიანული ქვეყნებიდან დახმარების მიღების იმედს. ამ მიზნით მიმართავდნენ ისინი იმავე საუკუნის დასასრულს ხან დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ხან რუსეთს, მაგრამ რეალური მხარდაჭერა ვერსად ჰპოვეს.

საქართველოს შესახებ ბარბაროს ცნობებზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მისთვის გაუგებარი იყო ქართველთა ბუნება, ხალხის ზნე-ჩვეულება, მაშინდელი საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა, მტრების მრავალი შემოსევების შედეგად აკლებული და გაძარცვული, პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყნის რეალური სიტუაცია.

ბარბარომ საქართველოში ზოგიერთი ისეთი რამ ნახა, რაც

სხვაგან არ შეხვედრია. ამიტომ მას უცნაურად ეჩვენებოდა, რაც მისთვის გაუგებარი და უცხო იყო და დასაწუნად თვლიდა. რათა გასაგები გახდეს, თუ როგორი კრიტიერიუმით სარგებლობდა იგი ამა თუ იმ ფაქტის შეფასებისას, მოვიყვანოთ ორიოდ მაგალითი ბარბაროს „მოგზაურობიდან“: ქართველებს „ტანთ აცვიათ ძალაჲ გრძელი, მაგრამ ვიწრო და საჯდომამდე გახსნილი ქურთუკი... ამის გამო მე მათ ვერ გავკიცხავ, რადგან მინახავს, რომ ფრანგები, ახლაც ხმარობენ [მსგავს ქურთუკებს]“. ან კიდევ „ფეხზე მუხლამდე აცვიათ წალები... მე მათ გავკიცხავდი ამის გამო, რომ არ მცოდნოდა, რომ სპარსელებიც, ხმარობენ [ასეთ წალებს]“<sup>11</sup>. ამის შემდეგ მკითხველს აღარ უნდა უკვირდეს, რომ ჩვენს ვენეციელებს არც ქართული სუფრის წესი და არც ყანწით ღვინის სმა, არც ღომი და არც ცვრიანი მწვადი მოსწონთ.

ჩვენ მიერ თარგმნილი ტექსტები XV ს. იტალიურ ენაზეა (ვენეციური დიალექტი) დაწერილი.

გეოგრაფიული და ადამიანთა სახელები, რომლებიც ექვს არ. იწვევენ (ჯორჯანია, ძორძანია — საქართველო; მენგრელია — სამეგრელო; ტარტარია — სათათრეთი; ტფილისი. ძიფილენი — თბილისი; კოტანისი, კოტატისი — ქუთაისი; სუმახია — შამახია; ლორეო — ლორე; სკანდე — სკანდა; ფასო, ასო — ფაზისი; მაჯორის (დიდი) ზღვა — შავი ზღვა; პანკრატო, პანგრატი — ბაგრატი; უსუნკასანო — უზუნ პასანი; გორგორა, გორბოლა — სამცხე ან ყვარყვარე II და ა. შ.), გადმოვეცი ქართულ ენაში მიღებული ფორმით, მაგრამ მრავალი მათგანის ავტორისეული ტრანსკრიპცია მაინც ვუჩვენეთ შენიშვნებში; ის სახელები, რომელთა გაგება საეჭვოდ მივიჩნიეთ, დავტოვეთ ორიგინალის ფორმით და შენიშვნებში მივუთითეთ სავარაუდო გაგებაზე; ხოლო ის სახელები, რომლებსაც ვერ მოვუძებნეთ შესატყვისი, უცვლელად — ავტორისეული ტრანსკრიპციით დავტოვეთ. ზოგიერთი სპეციალური ტერმინი (ზღვის ჯენერალ-კაპიტანი — აღმირალი; სინიორი — ბატონი, მზრძნებელი, მფლობელი; კაპიტანი — მეთაური, სარდალი; ესკადრონი — ცხენოსანი რაზმი, ჯარი; ნობილიტეტი — დიდებულები; პრიორი — წინამძღვარი; მესერი — ბატონი; ბარონები — დიდებულები და ა. შ.) შევცვალეთ ქართული შესატყვისით.

<sup>11</sup> იხ. აქვე, გვ. 66.

## კ ა ტ ე რ ი ნ ო კ ე ნ ო

კატერინო ძენოს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მცირეა. ისინი ძირითადად მოცემულია ძენოსავე წერილებში, რომელთა საფუძველზე მისმა შვილიშვილმა ნიკოლო ძენომ შეადგნა და განოსცა კატერინოს „მოგზაურობა სპარსეთში“<sup>1</sup>.

კატერინო ძენო დაიბადა დაახლოებით 1457 წ. ვენეციაში სავაჭრო არისტოკრატის ცნობილი წარმომადგენლის დრაგონე ძენოს ოჯახში<sup>2</sup>. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა რამდენჯერმე იყო აღმოსავლეთში, კერძოდ მექაში, სპარსეთსა და მცირე აზიის სხვადასხვა ადგილებში. როდესაც იგი მამასთან ერთად იმყოფებოდა დამასკოში, გარდაიცვალა დრაგონე. კატერინო დაბრუნდა სამშობლოში და ცოლად შეირთო არქიპელაგის ჰერცოგის ნიკოლო კრესპოს ქალიშვილი ვიოლანტე<sup>3</sup>. რომელიც ტრაპიზონის იმპერატორის დეიო კომნენოსის შვილიშვილი იყო. დავითის მეორე ქალიშვილი, კიბა კატერინა, ცოლად ჰყავდა აყ-ყოყონლუს (თეორბატკნიანთა) მბრძანებელს უზუ ჰასანს<sup>4</sup>. ამგვარად, კატერინო მოყვრად ნიჭდებოდა მას.

ყოველივე ზენოაღნიშნულის გამო, ვენეციის რესპუბლიკამ, რომელიც მაშინ ომს აწარმოებდა ოსმალების წინააღმდეგ, ელჩად გააგზავნა კატერინო ძენო აყ-ყოყონლუს სახელწიფოში.

კატერინო ძენო ვენეციიდან გავიდა 1471 წლის 6 ივნისს, გაიარა როდოსი, ყარამანია და 1472 წლის 30 აპრილს წარსდგა უზუნ ჰასანის წინაშე, რომელმაც დიდი ზემოთ მიიღო იგი.

---

<sup>1</sup> Dei commentarii del viaggio in Persia e delle guerre Persiane, Venezia, 1558. ბიოგრაფიული ცნობები ძენოს შესახებ, ისევე როგორც იტალიელი მოგზაურების შესახებ, რომელთაც ყოფნა მოუხდათ კავკასიაში, მოცემული აქვს გ. ყაზბეგს. Г. К а з б е к, Италияны о Кавказе. Реяциии путешественников с XIII—XXII вв., გაზეთი «Кавказ», 1867, № 40.

<sup>2</sup> იხ. Enciclopedia italiana, XXV, p. 920.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> S. Filippo, Biographia dei viaggiatori italiani, v. I, Roma, 1882, p. 159.

კატერინო ძენო მოწმე გახდა აუ-ყოიუნლუს სახელმწიფოსა და ოსმალეთს შორის მომხდარი ომისა, რომელშიც უზუნ ჰასანის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. უზუნ ჰასანმა დახმარების თხოვნით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს. ამ მისიის შესრულება მან ძენოს დაავალა და იგი ახლა ევროპაში ბრუნდება, როგორც უზუნ ჰასანის ელჩი. მან გაიარა საქართველო, მივიდა სევასტოპოლისში (სოხუმი), საიდანაც გენუელი ლუიჯი და პაცოს გემით გაემგზავრა კაფაში, კაფაში გენუელებმა ძენო დაატყვევეს, წაართვეს ყველადფერი და მისი ოსმალეთისათვის გადაცემა სურდათ, მაგრამ ვენეციელებმა გაიტაცეს იგი და გაათავისუფლეს. ძენო წავიდა პოლონეთში და ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ მოლაპარაკება აწარმოვა კაზიმეჟ IV-სთან. ამავე მიზანს ემსახურებოდა მისი ვიზიტი უნგრეთის მეფე მატიაშ კორვინთან.

1474 წლის აგვისტოში ძენო მივიდა ვენეციაში, საიდანაც გაემშურა ჰაბთან და ნეაპოლის მეფესთან, რათა ისინი ჩაება ანტიოსმალურ კოალიციაში.

ვენეციაში დაბრუნების შემდეგ კატერინო ძენო რესპუბლიკის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის არჩეული იქნა „ათის საბჭოს“ წევრად<sup>5</sup>.

მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდისა და გარდაცვალების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას კატერინო ძენოს „მოგზაურობის კომენტარების“ შესახებ, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედგენილია ნიკოლო ძენოს მიერ. მას საფუძვლად დაედო კატერინოს ოფიციალური და მეგობრებისადმი მიწერილი წერილები<sup>6</sup>.

„კომენტარები“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი მოიცავს კატერინოს მოგზაურობისა და უზუნ-ჰასანის მოღვაწეობის აღწერას. მეორე ნაწილი შეეხება სპარსეთ-ოსმალეთის ურთიერთ-

<sup>5</sup> S. Filippo, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

<sup>6</sup> ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით კ. ძენოს რამდენიმე წერილს. დავასახელებთ იმ წერილებს, რომლებშიც რაიმე თქმული საქართველოს შესახებ: G. Berchet, *La Repubblica di Venezia e la Persia*, Torino, 1865, p. 111—114—130—133; „Archivio storico Italiano“, ossia raccolta di opere e documenti finora inediti o divenuti rarissimi riguardanti. *La storia d'Italia*, t. XII, Parte I., Firenze, 1843, p. 70—71, 82—83.

ბრძოლებს უზუნ ჰასანის გარდაცვალების შემდეგ და მთავრდება ისმაილ I-ის (1502—1524) მიერ ოსმალების წინააღმდეგ ლიგის შექმნით რომელშიც საქართველოც იღებდა მონაწილეობას<sup>7</sup>.

კატერინო ტენოს ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XV ს. 70-იანი წლების პირველი ნახევრის აყ-ყოიუნლუსა და საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად.

„კომენტარები“, გარდა ზემოაღნიშნული 1558 წლის გამოცემისა შესულია რამუზიოს კრებულის მეორე ტომში<sup>8</sup>.

---

<sup>7</sup> M. Foscarini, *Della letteratura veneziana, libri otto, v. I, Padova, 1725, p. 408*; ბერშეს კრებულში მოცემულია ორი დოკუმენტი, № 80, p. 269—273 და № 81, p. 274—276, რომლებიც ყურადღებას იპყრობს 1514 წლის ამბებით და მათში საქართველოს მონაწილეობით.

<sup>8</sup> ვენეციელი ჯოვანი მარია რამუზიო (1486—1557) თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი მოგზაური იყო. გარდაცვალების წინ მას „ათის საბჭოს“ მდივნის თანამდებობა ეკავა.

რამუზიოს კრებული (*Raccolta di Ramusio*), როგორც მას უწოდებენ ჩვეულებრივად, შედგება სამი ტომისაგან. მას დღესაც არ დაეკარგავს მნიშვნელობა და იგი თავისუფლად შეიძლება გვერდში დავუყენოთ მსგავსი სახის დღევანდელ გამოცემებსაც კი. მესამე ტომს დართული აქვს სახელთა საძიებელი და მცირე კომენტარები სამივე ტომისათვის.

აღსანიშნავია, რომ მეორე ტომი, რომელიც ამჟერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, გამოქვეყნდა მესამე ტომის შემდეგ. ეს გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით.

დროის მიხედვით რამუზიოს კრებულის ცალკეული ტომების შემდეგი გამოცემები არსებობს: I ტომი — 1550, 1554, 1563, 1588, 1606, 1613 წლები; II ტომი — 1550, 1554, 1563, 1606, 1613; III ტომი — 1556, 1565, 1583, 1606, 1613.

მეორე ტომის შემოკლებული სათაურია: *Seconda volume della Navigazioni et Viaggi*, 1559. შემდეგში უკვლავან მითითებული იქნება: *Ramusio*.

ზემოაჩამოთვლილ სხვადასხვა დროის გამოცემებს ცვლილება არ განუცლია. პირვანდელი სახე აქვს შენარჩუნებული რამუზიოს კრებულის 1843 წლის გამოცემასაც: *Raccolta di Ramusio. Nuova edizione riveduta sopra quelle de Giunti, con ritratto, Venezia, 1834*.

## შენიშვნები რაინდ ბაბონ კაბერინო ენოს სპარსეთში მოგზაურობისა და სპარსელთა ომების შესახებ

### წიგნი I

სპარსეთის ისტორიაში ნათქვამია, რომ თურქების მზრდნებელ მეჰმედს<sup>1</sup> ემინოდა უზუ ჰასანის<sup>2</sup> სიძლიერისა, რადგან დროის განმავლობაში ზიანს მიაყენებდა მას და ამიტომ ჯანსას<sup>3</sup> ხელისუფლებისადმი დახმარება გააძლიერა. მაშინ უზუნ ჰასანმა, რომელიც [მეჰმედის] მხრიდან დიდ ხიფათს ნოელოდა. თავისი ვაჟი უნგერანაუმეტი<sup>4</sup>, უმამაცესი ახალგაზრდა, გაგზავნა თავრიზისაკენ, რომელიც იმ ქვეყნის ცენტრალურ ადგილს წარმოადგენდა. თვითონ კი, მეორე მხრიდან წავიდა სპარსეთის დასაპყრობად. მან დაიპყრო [მიწები] ინდოეთის ზღვამდე და შექმნა მძლავრი სახელმწიფო. ეს სახელმწიფო შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთიდან მდინარე ინდით და სათათრეთით<sup>5</sup>, დასავლეთით — სამცხით<sup>6</sup>, ტრაპიზონით, ყარამანიით<sup>7</sup>, სირიით, მცირე სომხეთით<sup>8</sup> და მდინარე ევფრატით. სამხრეთიდან არაბეთითა და ინდოეთის ზღვით, ჩრდილოეთიდან კასპიის ზღვით<sup>9</sup>. მისი ეს ქვეყანა მეტწილად დასახლებული იყო სომეხი ქრისტიანებით და ადგილობრივი სპარსული ტომებით, რომელთაგან გამოყოფილნი იყვნენ მთლიანად მთებით ქურთები—თავისუფალი ხალხი. მათი ნაწილი ემორჩილებოდა ბეტელისის მთავარს, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ, დაინახა რა უზუნ ჰასანის ძლიერება, მისი ხელისუფლების ქვეშ შევიდა. რადგან მაშინ თურქული იარაღი უაღრესად ძლევამოსილი იყო და ისინი მტკიცედ გრძნობდნენ თავს აზიასა და ევროპაში. უზუნ ჰასანს ემინოდა, რომ ოსმალეთის კარის ძლიერ ხელისუფლებას და მრავალრიცხოვან ძალებს ოდესმე არ დაემხოთ სპარსეთის სამეფო, ისე, როგორც შეიძლებოდა დამართოდათ გამუდმებულ ურთიერთქიშობაში მყოფ მთავრებს. დიდი წარმატება იქნებოდა მოპოვებული, თუ მთავრები იარაღით ხელში შეკავშირდებოდნენ. უზუნ ჰასანი დაუნათესავდა ტრაპიზონის იმპერატორ კალოიანს<sup>10</sup>. ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი დესპინა, იმ პირობით, რომ [დესპინა] იცხოვრებდა ქრისტიანული წესებით. ამავე იმპერა-



ტორმა თავისი მეორე ქალიშვილი მიათხოვა არქიპელაგის ჰერცოგს ნიკოლო კრესპოს, რომელთანაც შეეძინა ხუთი ქალიშვილი. ისინი შემდეგში გათხოვდნენ ვენეციის დიდებულ და კეთილშობილ ადამიანებზე. პირველა, ფიორენცა გათხოვდა კორნაროზე. მას ეყოლა კეპროსის დედოფალი და ბატონი ჯორჯო პროკურორი. მეორე, რომელსაც ლუკრეცია ერქვა, გათხოვდა ფრიულების ოჯახში, ბატონ ნიკოლოზე, პროკურორზე. ვიოლანტე გათხოვილი იყო რაინდ ბატონ კატერინო ბენოზე, რომელიც შემდეგში ელჩად იყო უზუნ პასანთან სპარსეთში. რაინდი ბატონი კატერინო იმის შიშით, რომელსაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფო განიცდიდა ნეპმდის სიძლიერის გამო. გაიგზავნა უზუნ პასანთან ჩვენი რესპუბლიკის ელჩად. [ეს მოხდა მას შემდეგ], როცა ვერ მოხერხდა დასავლეთის მეფე-მთავრებს ამხედრება საერთო მტრის წინააღმდეგ. ვიდრე ისინი ამ შიშში იმყოფებოდნენ ვენეციაში მოვიდა უზუნ პასანის ოთხი ელჩი: აზიმამეტი, მორატი, ნიკოლო და კეთარსა — სერიოზული ადამიანები, რომლებსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ<sup>11</sup>. მათ დაავალა მეფემ მისი სახელით შეეკრათ კავშირი [თურქეთის] სულთნის და [ეგვიპტის] სულთნის წინააღმდეგ, ოღონდ ვენეციელების საწლგაო ფლოტს მოსვენება არ უნდა მიეცა არც ერთისა და არც მეორისათვის. გახარებულები იმით, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოსავლეთის უძლიერესი მეფე იშოვეს მოკავშირედ და მეგობრად, დათანხმდნენ მის წინადადებაზე და გამოაცხადეს მეფეთან მუდმივი მეგობრობა... ამგვარად, აზიმამეტი დარჩა ვენეციაში, სხვა სამი [ელჩი] გაემგზავრა პაპთან და ნეაპოლს მეფესთან, რათა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ერთიც და მეორეც შეეყვანათ ლიგაში. სენატს მიაჩნდა, რომ ამგვარად ისეთი ელჩის არჩევა იყო საჭირო, რომელიც ახლოს იქნებოდა მეფე უზუნ პასანთან, და აღაფრთოვანებდა მას საერთო მტერზე თავდასასხმელად და მისგან თავდასაცავად აიღებდა იარაღს ხელში. რესპუბლიკისათვის ეს წარმოადგენდა დიდებულ და ღირსეულ საქმეს. თავდაპირველად არჩეული იქნა ბატონი ფრანჩესკო მიქელე, რომელმაც უარი განაცხადა. შემდეგ სენატორებმა აირჩიეს ბატონი ჯაკომო და მაცო, რომელმაც ასევე უარი განაცხადა ეტვირთა ასეთი მძიმე საქმე. ბოლოს 1471 წელს არჩეული იქნა ბატონი კატერინო ძენო, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა წმინდა საქმისადმი ერთგულების გამო წასულიყო [სპარსეთში]. იგი იყო ვაჟი დრაგონე ძენოსი, რომელიც გარდაიცვალა დამასკოში. მან მრავალი წელი გაატარა ბალსერაში, მექასა და სპარსეთში. რადგან ბატონ კატერინოს გარკვეული ცოდნა ჰქონდა იმ ადგილების შე-

სახებ და დედოფალი დესპინას, უზუნ ჰასანის ცოლის დისშვილის ქმარი იყო, ამიტომ მხოლოდ ის ითვლებოდა შესაფერის პიროვნებად. რომელსაც შეეძლო ღირსეული სამსახური გაეწია თავისი სამშობლოსათვის. რადგან ეს მოგზაურობა უცნობი, ხანგრძლივია, არაჩვეულებრივი, ხიფათით აღსავსე და საჭახირო იყო, ამიტომ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც მოისურვებდა ბატონ კატერინოსთან ერთად წასვლას. ჩვენმა სინიორიამ, რომელსაც არ სურდა ხელი აეღო ამ წამოწყებაზე, გადაწყვიტა დაბრკოლება გადაეღებოდა და სურსათის რაოდენობის გაზრდით იმ მსახურებშიათვის. რომლებიც მასთან ერთად წავიდოდნენ. ამის შემდეგ განოჩნდნენ მამაცი ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ დაეძლიათ ყველა დაბრკოლება ფულადი ანაზღაურებისა და სამყაროს ნახვის სურვილის გამო და წავიდნენ [ტენოს] მსახურებად. იმავე წლის 6 ივნისს ბატონი კატერინო გაიგზავნა დავალებით, გადაეცა უზუნ ჰასანისათვის, რომ ჩვენი სინიორია მას საჩუქრად უგზავნიდა 100 გალერას და მრავალ სხვა დიდ და მცირე ხომალდს, რომლითაც ზღვიდან უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა სულთნის სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო უზუნ ჰასანი მთელი თავისი ძალებით აღმოსავლეთიდან შეუტევედა მას. ბატონი კატერინო ამ დავალებით გაემგზავრა ვენეციიდან, რამდენიმე თვეში გაიარა როდოსი, ყარაშინის ქვეყანა და დიდი ტანჯვა-წვალებით მიაღწია სპარსეთს. მე არ შემიძლია დაწვრილებით აღვწერო მისი მოგზაურობა, რადგან როგორც ზემოთ ვთქვი, მხოლოდ იმისი მიგნება შევებლო, რაც დაბეჭდილია. როცა ბატონი კატერინო მივიდა. უზუნ ჰასანმა დიდი ზემოთა და პატივისცემით მიიღო, რადგან იგი იყო მისი ახალი მოკავშირისა და მეგობრის. ბრწყინვალე და ძლიერი რესპუბლიკის ელჩი. მეფესთან შეხვედრის შემდეგ [იენომ] დედოფალ დესპინას ნახვა მოისურვა. ასეთი სურვილი რომ სპარსელს გამოეთქვა, უარს ეტყოდნენ, რადგან მათი წესის მიხედვით, ქალებს უფლება არა აქვთ, ვისმე ეჩვენონ... მაგრამ კატერინოს თხოვნა დააკმაყოფილეს. მეფის განსაკუთრებული წყალობით ნება დართეს ენახა დედოფალი რესპუბლიკის სახელით. როცა იგი დედოფლის წინაშე წარსდგა და აცნობა ვინც იყო, მან დიდი პირობებით მიიღო, როგორც ძვირფასი დისწულის [ქმარი] და ნათესავი. [დედოფალმა] დაბეჯითებით სთხოვა ეცნობებინა მისთვის, ცოცხალი იყო თუ არა მისი ყველა დისწული და რომელ ქვეყნებში ცხოვრობდნენ ისინი. ბატონმა კატერინომ სიამოვნებით

და ამომწურავად გასცა პასუხი მის ყველა შეკითხვას. [კატერინომ] მოიხურვა თავის ბინაზე დაბრუნება, მაგრამ [დედოფალმა] არ გაუშვა და სასახლეში დატოვა, ცალკე სამყოფი გამოუყო მას და მის მსახურებს... [დედოფალმა] განსაკუთრებული ყურადღებით ზრუნავდა მისი მსვლის მიზეზის შესახებ და დაჰპირდა ყოველგვარ შეწევნასა და კეთილგანწყობას, რადგან ჩვენი უბრწყინვალესი სინიორის ნათესავად თვლიდა თავს. ამის გამო დედოფალი ნიშნული საშუალება იყო, რომლითაც ბატონმა კატერინომ შეიძლო ამხედრებინა უზუნ ჰასანი სულთნის წინააღმდეგ საომრად. ბატონი კატერინო [თავის წერილებში] ჩემდებოდა იმის შესახებ, რომ დესპინასთან ნათესაობის წყალობით იმდენად დაამსახურა უზუნ ჰასანის კეთილგანწყობა, რომ მეფისა და დედოფლის საიდუმლო ოთახებში შესვლა შეეძლო რა დროც და რომელი საათიც არ უნდა ყოფილიყო და, რაც ყველაზე მეტად საკვირველია, იგი იმყოფებოდა ხოლმე ორივე მათი უდიდებულესობის საწოლ ოთახში. არასოდეს გამიგია, რომ სხვა რომელიმე მაჰმადიან ან ქრისტიან მეფეს მის მსგავსად დაეახლოვებინოს ნათესავი. ეს დედოფალი დესპინა ყველაზე ღვთისმოსავი ქალი იყო მსოფლიოში. იგი სამუდამოდ დარჩა კეთილ ქრისტიანად და ყოველდღე, საზეიმო ვითარებაში ასრულებდა წირვას ბერძნული წესის მიხედვით, რომლის მიმართაც დიდად ერთგული დარჩა. მისი მეუღლე სხვა რწმენისა იყო, მაგრამ არასოდეს არ უთქვამს არც ერთი სიტყვა და არ ჩაუგონებია, რომ ხელი აეღო თავის რწმენაზე. იშვიათია ასეთი გრძნობა, რომ ორი ადამიანი მისწრაფოდეს სხვადასხვა რამისკენ და ისინი მაინც ინარჩუნებდნენ ერთმანეთისადმი დიდ სიყვარულსა და ერთგულებას. ბატონმა კატერინომ დაინახა, რომ [დედოფალი] კეთილი ქრისტიანი იყო და აღაფრთოვანა იგი, რათა ჩაეგონებინა ქმრისთვის ეწარმოებინა შეუპოვარი ომი თურქებთან — საქრისტიანოს დაუძინებელ მტრებთან. [თურქები] განსაკუთრებით [დედოფლის] და მისი მოღვმის მტრები იყვნენ: მოუკლეს მამა და დაიპყრეს მისი ქვეყანა. ასეთნაირად შთაგონებულიმა დედოფალმა ყველაფერი გააკეთა და დაარწმუნა თავისი ქმარი, რომელიც თვითონაც დიდად იყო დაინტერესებული ოტომანის ძლიერების დამბობით, რომ მას საკუთარი ხელით მიეწერა წერილი ყვარყვარესათვის, ქართველებს მთავრისათვის, რათა მას იმ მხრიდან დაეწყო ომი სულთნის წინააღმდეგ<sup>12</sup>. დესპინამ, ვიდრე მისი ქმარი ამ საქმეებით იყო დაკავებული და სასწრაფოდ აგროვებდა ჯარს, უბრძანა ბატონ კატერინოს მღვდელს, რომ მი-

ს: ხელით დაწერილი წერილები წაელო უბრწყინვალეს სინიორი-  
 აში აველა მისი ნათესავისათვის. მაგრამ ისე გავიდა ის ზამთარი,  
 რომ არ გამოჩნდა ბატონ კატერინოს დაპირებული ძარალი, რო-  
 მელსაც ჩვენი რესპუბლიკა ოსმალეთის საზიანოდ ამზადებდა.  
 ამიტომ [უზუნ ჰასანი] აღარ იჩენდა ვენეციისადმი ძველებურ  
 პატივისცემას. იმ დროისათვის უზუნ ჰასანს მზად ჰყავდა საბრ-  
 ცლო სულით გამსჭვალული უძლიერესი ჯარი და ფიქრობდა  
 გაელაშქრა თავისი მოწინააღმდეგე ზოგიერთი თათარი მთავრის  
 წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი სინიორია სისტემატურად უგზავნიდა  
 მას შიკრივებსა და წერილებს, რათა ფიზიკად ყოფილიყო იგი  
 განზრახვის შეასრულებლად და განემტკიცებინა მისთვის აზრი,  
 რომ ვენეციელები არასოდეს არ უღალატებდნენ და შეასრულებ-  
 დნენ პირობას. ბატონ კატერინოს გამგზავრებიდან 20 თვის შემ-  
 დგ. 6 იანვარს სპარსეთში გასაგზავნ ელჩად შერჩეული იქნა ბა-  
 ტონი ჯოსაფატ ბარბარო<sup>13</sup>. მასთან ერთად გაიგზავნა მეფისათვის  
 განკუთვნილი საჩუქრები: 6 დიდი ბომბარდი<sup>14</sup>, არკებუზები<sup>15</sup>,  
 მრავალი სპინგარდი<sup>16</sup>, დენთი და სხვა საუკუთრეელი; 6 ბომბარდიერი,  
 100 არკებუზერი და არტილერიის სხვა ოსტატები. ამას გარდა, და-  
 ნიშნული იქნა აღმირალი, რომელიც დიდი ფლოტით გაიგზავნა ყა-  
 რამანის ზღვაში, სადაც მისვლისთანავე რამდენიმე უმნიშვნელო  
 ბრძოლა ჩაატარა მტერთან, დაიკავა სულთნის მიერ დაპყრობილი  
 რომელიღაც ციხეები და ყარამანის მთავრის სარდლებს გადასცა.  
 ამ მთავარს იმის გამო, რომ მან ბატონი კატერინო [თავის ქვეყა-  
 ნაში] გაატარა, მოულოდნელად თავს დაესხა სულთანს და აიკლო  
 მისი ქვეყანა. ამიტომ მან მრავალრიცხოვანი გარნიზონისა და სა-  
 ჭურვლის მქონე ციხეები დატოვა და გაიქცა უზუნ ჰასანთან, რო-  
 მელსაც მოწყალედ მიიღო და მისცა იმედი, რომ თავის ქვეყანაში  
 დაბრუნებდა, თუ აღნიშნული ციხეები, რომლებიც ისევ მის  
 ხელში იყვნენ, შეინარჩუნებდნენ მისადმი ერთგულებას. მაგრამ  
 მრავალჯერ გასცრუებიათ ადამიანებს იმედები. ასე დაემართა  
 ყარამანსაც. რადგან სარდლები, რომლებიც იმ გამაგრებულ აღგი-  
 ლებს იცავდნენ, ოქროთი მოიხყიდეს აუბრკობმა. თუმცა შერცხვე-  
 ნილი სახელით იხანეიებოდნენ თავიანთი ბატონის მოღალატენი,  
 რომლებმაც თავიანთ ხელში არსებული სიმაგრეები მტერს გადას-  
 ცეს. ამ შენაძინის შემდეგ მექმედმა კონსტანტინოპოლიდან გააგ-  
 ზავნა ელჩები სპარსეთში უზუნ ჰასანის წინაშე ბოდიშის მოსახდე-  
 ლად იმის გამო, რაც მოხდა და მასთან მშვიდობისა და მეგობრობის

დამყარება [სურდა]. მაგრამ იმ დღეს, როცა [ელჩებს] დანიშნული ჰქონდათ აღდიენცია მეფესთან, ბატონი კატერინო დილა-აღრიან შევიდა მეფის ოთახში და დამაჯერებლად ელაპარაკა მას და დაარწმუნა. როცა უზუნ პასანი გარეთ გამოვიდა [ყარამანიის ამირამ] სთხოვა, რომ ნუ დატოვებდა ამ ბედში. დესპინასაგან და საკუთარი სახლიდან გამოძევებული ყარამანიის მბრძანებლისაგან დაეპყებულმა უზუნ პასანმა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე გაუშვა ელჩები. მან ბრძანება გასცა ომის დაწყების შესახებ, სწრაფად გაგზავნა ჯარი და მივიდა ბეტილისში. [უზუნ პასანმა] წუთვალა ბატონ კატერინოს, რომ მისი წაყვანა სურდა ჯარის დასათვალისწინებლად, რათა ენახა როგორი მზადყოფნით დაწყობილი, ნაწილობრივ მისი პატივისცემისა და სპარსეთის სამეფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ნაწილობრივ ჩვენი რესპუბლიკის წაქეზებით და ნაწილობრივ ყარამანიის მთავრისათვის, მისი მოკავშირისა და მეგობრისათვის მიყენებული იმ ახალი უსამართლობისათვის, რათა მისთვის კვლავ დაებრუნებინა ყველაფერი. ბატონმა კატერინომ, როცა გაიგო ყოველივე ეს, უაღრესად გახარებულმა მკვირმეტყველურად გადაუხადა მადლობა იმ დამოკიდებულებისათვის, რასაც აგი ჩვენი რესპუბლიკისადმი იჩენდა. [კატერინო] გაჰყვა მის სარდალს, რომელსაც ამირბეი ჭუსულთან იერქვა, რათა ენახა. როგორ გამოიყურებოდა მეფის ჯარი. ერთ განსაკუთრებულ წერილში [კატერინო] წერს, რომ ჯარი შესდგებოდა 100 ათასი მხედრისაგან, მსახურების ჩათვლით, რომლებიც თან მისდევდნენ თავიანთ პატრონებს. მათი ნაწილი შეიარაღებული იყო იტალიურად, ნაწილს კი ფარავდა რაღაც ძალიან მაგარი გამოხარული ტყავები. რომელსაც შეეძლო მათი დაცვა ყოველგვარი დარტყმისაგან, ისე რომ არავითარ ზიანს არ განიცდიდნენ. სხვებს ეცვათ დალიანდაგებული ქურთუკები, იმდენად მაგარი, რომ მასში ისარი ვერ გაუვლიდა. დანარჩენს ეცვა მოქროვილი ჯავშნები და ჯაჭვის პერანგები და ჰქონდათ შეტევისა და თავდაცვის ყოველგვარი იარაღი. მნახველებს უაღრესად ანცვიფრებდა მათი დახვეწილი სანხედრო ხელოვნება. მათი მსახურებიც საუკეთესო მხედრები იყვნენ. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხალასი რკინის ჯავშნებითა და თავდასაცავად იყენებდნენ მრგვალ ფარებს, ისეთს, ჩვენებიც რომ ხმარობენ, ხოლო ბრძოლის დროს ხმარობენ მახვილს. ბატონები მთლიანად იქნებოდნენ 40 ათასი კაცი — ყველა მამაცი მებრძოლი, მსახურნი კი 60 ათასი. მათზე უკეთეს მხედრებს ვერც ერთ ჯარში ვერ ნახავდით.

მანკაცები ტანად დიდნი და ძალიან ძლიერნი არიან და ისე მოხერხებულად ხმარობენ იარაღს, რომ, როგორც ამბობდნენ, მათს ერთ პატარა რაზმს შეეძლო დაემარცხებინა მტრის რაც უნდა დიდი ჯარი ყოფილიყო. ისინი სხდებიან ისეთ დიდ და მშვენიერ ცქენებზე, რომ როგორც მაღალი არ უნდა იყოს კაცი და რაც შეუძლია მაღლა აწიოს ხელი, მაინც ვერ შეწვდება. [უზუნ ჰასანი] მთელი ჯარით მტრის ქვეყნისაკენ გაეშურა. იქით გაეშურნენ ყარაშანის ბატონი პირამეთი და მეფის ყველა ვაჟი, მამაცი და გამბედავნი. ბატონი კატერონო, რომელსაც [უზუნ ჰასანთან] სურდა ყოფნა, ჯერ დედოფალ დეჰანასთან დასამშვიდობებლად გაბრუნდა. მაგრამ ჯარი ისეთი სწრაფი მარშით მიდიოდა წინ, რომ ვეღარც კი დაეწია. ამიტომ იგი გაჰყვა იმ რაზმს, რომელშიც ხუთასი ცქენოსანი იყო, რითაც უკმაყოფილო დარჩა, მათთან ერთად მიდიოდა [ძენო], როცა მათ ჯავაზში თავს დაესხნენ და დიდი ზარალა მიაყენეს, დაკარგეს რამდენიმე მებრძოლი და სხვა მრავალი უსიამოვნება განიცადეს. ამიტომ მან გადაუხვია ტოკატისაკენ და მივიდა ქალაქ კარპეტიში, სადაც დიდი სიამოვნებით შეიტყო, რომ მალე იქ მივიდოდა უზუნ ჰასანი. სექტემბერში სპარსელთა ჯარი შევიდა ჯავაზში და თავით-ბოლომდე გადაწვა მთელი ქვეყანა, ხელთ იგდო ნადავლი, ხალხი ამოწყვიტა და დიდ შინში ჩაავლო ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ამ ქარიშხალს გაურბოდა. ამგვარად გაიარა არსენგა და ტოკატი, მთლიანად გადაწვა მცირე ქალაქები და სოფლები, თავს დაესხა და აიღო კარლე, რომელიც ყარაშანის ეკუთვნოდა. ამიტომ შეშინებული მუსტაფა, სულთანის ვაჟი, რომელიც ქალაქ ლულაში იმყოფებოდა აკომატ ფაშასთან ერთად, კონიაში გაიქცა. მან თავის დედა გაგზავნა საიბაკარასკარში, რომელიც ქვეყნის სიღრმეში, კონსტანტინოპოლიდან ოთხი დღის სავალზე მდებარეობდა. მაგრამ ხედავდა, რომ სპარსელები მოიწევდნენ კონიისაკენ, სულთანმა მისწერა [მუსტაფას], რომ მას დაეხია უკან და არ შეტაკებოდა მტერს, რადგან მცირე გამარჯვებაც კი გამბედაობას შესძენდა მათ და შეეცდებოდნენ უფრო მეტის მიღწევას. ამ წერილმა დაარწმუნა მუსტაფა თავისი მამის სისწორეში და უკან დაიხია კუტახისაკენ, სადაც შეხვდა დაუთ ფაშას, ანატოლიის ბეგლარბეგს, რომელმაც დიუზალი ჯარი შეკრიბა. სულთანმა იფიქრა, რომ მისი იქ არ ყოფნა სიზნევეს დაუკარგავდა მეომრებს და ქვეყნის გამაგრებული ადგილების დაკავების საშუალებას მისცემდა მტერს, ამის გამო იგი მთელი სამეფო კარით გადავიდა აზიაში და დაიწყო ლოდინი

უზუნ ჰასანისა და სპარსეთის ჯარის შესახვედრად. მაგრამ თავის მხედრეებისაგან გაიგო, რომ უზუნ ჰასანის მხედართმთავარი 40 ათასი კაცით შეესია მახლობელ პროვინციებს, ანგრევდა ძარცვავდა და წვავდა მათ. იგი ახლა ბურსას დასაწყევად მიემართებოდა. სულთანმა მტრის შესახვედრად საქრათოდ გაგზავნა მუსტაფა 60 ათასიანი ჯარით, რათა გაემართა მათთვის ბრძოლა და შეეჩერებინათ ნგრევა. ამის შესახებ გაფრთხილებულმა სპარსელთა ჯარმა უკანდახევა დაიწყო, რადგან იცოდნენ, რომ მათი ჯარი რიცხოვნად ბევრად ჩამორჩებოდა მტრისას. ვინაიდან [სპარსელთა ჯარი] დატვირთული იყო ნადავლით და ძალიან ნელა იხვედა უკან ამიტომ ოთხი ათასი თურქი, რომლებიც ყველაზე წინ მიდიოდნენ არმაუტის მეთაურობით. დაეწია მათ ერთ ადგილას და ბრძოლა გაუმართა. სპარსელები მთელი ძალით ეკვეთნენ [მტერს] და ორი ათასი თურქი სარდალ არმაუტთან ერთად თვალის დახამხამებაში აჩეხეს. როცა ეს ამბავი უკვე მოთავებული იყო, მოვიდა. მუსტაფა დანარჩენი ჯარით, რომელიც ერთ ესკადრონად შეკრული მამაცურად ეკვეთა სპარსელებს. არც სპარსელები იბრძოდნენ ნაკლები სიმამაცით. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა რამდენიმე საათის განმავლობაში. და, ამბობენ, გამარჯვება სპარსელებს დარჩებოდათ მუსტაფას მოსვლამდე იმ ოთხ ათას მხედართან რომ არ ებრძოლათ. როდესაც მუსტაფა მოვიდა ახალი ჯარით, [სპარსელები] უკვე დაღლილები იყვნენ ბრძოლით და მგზავრობით და ამიტომაც იქნენ ძლეულნი. წერილებში. რომლებშიც ეს ამბებია აღწერილი. აღნიშნულია. რომ იუსუფ ხანი, უზუნ ჰასანის მხედართმთავარი, ტყვედ წაიყვანეს თურქებმა და ყარაამანის პრინცმა პირ ახმადმა<sup>17</sup> ჯარის დიდ ნაწილთან ერთად თავს უშველა გაქცევით<sup>18</sup>. მეფემ და სულთანმა მთელი მომდევნო ზამთარი გაატარეს ომისათვის მზადებაში, რათა გაზაფხულზე ხელახლა დაეწყოთ მტერთან ომი. ზაფხულის დასაწყისში უზუნ ჰასანი სალაშქროდ წავიდა თავისი ჯარით. მან შეიპყრო სულთანის რამდენიმე მხედრე და ბრძანა მოეკვეთათ მათთვის ხელები. [მოკვეთილი ხელები] გადაჰყიდეს მათ კისერზე და ასე გაუგზავნა სულთანს. იმავე ხანებში ბატონ კატერინოს მიუღწედა წერილები, რომლებიც დწერილი იყო აღმორალია და ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მიერ. ისინი აცნობებდნენ, რომ ბრწყინვალე სინიორიის მიერ მეფისათვის გამოგზავნილი საჩუქრები და ჩარალი მოვიდა ყარაამანის ზღვაში<sup>19</sup>. გარდა ამისა მისდა სასიამოვნოდ [ვენეციელები] ამბობდნენ, რომ [მათ] აიღეს ცახე-სიმაგრეები და ყარაამანის მთავრის მხედართმთავრებს

გადასცეს. იმ წერილებმა სიხარულითა და იმედით აღავსეს უზუნ-  
 ძასანი, რომელმაც მთელი ჯარის ხელახლად [საომრად] გაგზავნა  
 ბრძანა. მან დიდი ზეიმით აღნიშნა ჩვენი რესპუბლიკისადმი სი-  
 ყვარული და პატივისცემა... სულთანმაც შეკრება დიდი ძალები  
 და როგორც წინათ. ახლაც გადავიდა აზიაში და გაჩერდა კაბადო-  
 კიის ქალაქ ამასიაში. იგი სანჯაყი იყო მისი ვაჟის ბაიზიდის<sup>20</sup>,  
 რომელიც ნუტაფასთან ერთად ომში მიჰყვებოდა მამას. [სულ-  
 თანმა] თავის მესამე ვაჟი ჯემი<sup>21</sup> კონსტანტინოპოლში დატოვა.  
 სპარსეთში [შემკრილი მტრის] ჯარის მეთაურების [მთავარი] გა-  
 ქირვება მდგომარეობს სურსათით [ჯარის] მომარაგებანში, რად-  
 განა სპარსელებს ასეთი ზნე-ჩვეულება აქვთ: 15 ან 20 ოღას მან-  
 ძილზე გადაბუგავენ ქვეყნის იმ მხარეს, საიდანაც მოელიან თავ-  
 დასხნას რომელიმე მეფისაგან. ის, ვინც თავს დაესხმის სპარსეთს,  
 ან აუცილებელ მარაგს ვერ იშოვის, ან შიმშილით ამოწყდება. ან  
 როცა უკან გაბრუნდება, თავის სამარცხვინოდ, მტერს ჩაუფარდე-  
 ბა ხელში. მეჰმედი მოეთათბირა თავისიანებს ამის შესახებ. და-  
 აწაშადა სურსათ-სანოვავის დიდი მარაგი და მთელი თავისი ჯარი  
 გაყო ხუთ ნაწილად. პირველს მიუძღოდა თვითონ. წესის თანახმად  
 მასში შედიოდა 30 ათასი იანიჩარი, თურქების ყველაზე რჩეული  
 ჯარი. მეორე 30 ათასს მეთაურობდა ბაიზიდი, მესამე 30 ათასს კი  
 მუსტაფა. მასში შედიოდა 12 ათასი ვალახელი, რომლებიც მათმა  
 მეთაურმა ამ ომში თურქების დასახმარებლად მოიყვანა. მეოთხეს,  
 რომელშიც 60 ათასი მეომარი იყო, ხელმძღვანელობდა ასმურატ  
 პალეოლოგი<sup>22</sup>. სულთნის ბეგლარბეგი რომანიაში. მათ შორის  
 იყო მრავალი ქრისტიანი ვასალი. მეხუთე იყო დაუთი, ანატოლიის  
 ბეგლარბეგი, 50 ათასი კაცი, იყო აგრეთვე 30 ათასი დაქირავე-  
 ბული აკინჯი მხედარი თავიანთი მეთაურით. ისინი 30, 40, 50 მი-  
 ლის მოშორებით მიდიან თურქების ჯარის წინ და არბევენ, წაავენ  
 და კლავენ ყველას და ყველაფერს, რაც წინ დახვდებათ. [აკინჯიე-  
 ბი] ძალიან მამაცნი არიან. მათი მოვალეობაა სურსათით მოამარა-  
 გონ ბანაკი. სულთანი მთელი ჯარით წამოვიდა ამასიიდან, წამოი-  
 ლო არტილერციის მნიშვნელოვანი ნაწილი და მშვენიერი მწყობრით  
 დაადგა ტოკატის გზას. მან ხელმარცხნივ დატოვა ქალაქი სივასი.  
 [ეს ქალაქი] მდებარეობს მდინარე ლაისის<sup>23</sup> ნაპირას, რომელიც  
 მოედინება ტრაპიზონის მთიდან. გაიარეს იმ ქალაქსა და ტავრის  
 მთებს შორის მდებარე დაბლობი და გვერდი აუქციეს სპარსელე-  
 ბის სიმაგრე ნიკეზესტს, რომელიც იმიტომ არ დაიპყრეს, რომ დრო  
 არ დაეკარგათ. ასე სიარულით მიადგნენ ხელმარცხნივ მდებარე



ქალაქ კოილივატარს, რომელიც მთებითა და სოფლებით იყო გარშემორტყმული. ისინი გადავიდნენ მთაზე და გაჩერდნენ ქალაქ კარაკესესთან<sup>24</sup>, რომელიც სახელგანთქმულაა მაღაროებით. ამ მხარის მოსახლეობა სულ ერთიანად მთებში იყო გახიზნული, რადგან იქ [სხვა] რაიმე გამაგრებული პუნქტი არ იყო. მივიდნენ ქალაქ ერზინჯანში<sup>25</sup>, რომელიც მღებარეობს ერთ ვრცელ დაბლობზე. იქ ერთ ეკლესიაში ნახეს ფილოსოფოსი... სხვა დანარჩენი მოსახლეობა გაქცეული იყო ეფფრატის იქითა მხარეს. თურქები იქიდან წავიდნენ, გაიარეს არზრუმის<sup>26</sup> მხარე, რომელიც მცირე სომხეთშია და მიუახლოვდნენ ეფფრატს მალათიასთან<sup>27</sup>, სადაც მოვიდნენ გაიროს სულთანს ელჩები თორმეტი დრომადერით<sup>28</sup>. ის ელჩები წარსდგნენ სულთანს წინაშე და გადასცეს ისარი, რომლის წვერზე მიმაგრებული იყო წერალი. როცა დაუყოვნებლივ გასცეს მასზე პასუხი, ელჩები ასევე შესხდნენ დრომადერებზე. და ერთ დღეში გაიარეს დიდი მანძილი. რადგან დრომადერა, სხვა ცხოველებთან შედარებით სწრაფია და შესვენების გარეშე შეუძლია იაროს ... თურქების ჯარი იქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ეფფრატის დინების საწინააღმდეგოდ წავიდა და მივიდა ეფფრატის ნაპირას. მეორე ნაპირზე იცდიდა უზუნ ჰასანის მიერ საბრძოლველად განზადებული სპარსეთის მთელი ჯარი. ამ ადგილას ეფფრატი, რომელიც ძალიან განიერი მდინარეა უმაღლესი ნაპირებით, ჰქმნის მრავალ ქვიშიან კუნძულს, ისე რომ ფონით ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა ადვილია. უზუნ ჰასანს ჰყავდა შესანიშნავი ჯარი, რომელიც შედგებოდა ლეზბების, იგივე პართელების, სპარსელების, ქართველების, ქურთებისა და თათრებისაგან. მხედართმთავრები, რომლებიც მათ მიუძღოდნენ, იყვნენ [უზუნ ჰასანის] ვაჟები: უნგერმაუმეტი<sup>29</sup>, კალული<sup>30</sup>, ებენელი<sup>31</sup> და პირაჰმადი — ყარაანაისის მთავარი... სულთანმა, რომელიც ფიქრობდა უზუნ ჰასანის ძალებს დაუსტებას, რომანიის ბეგლარბეგს ასმურატ პალეოლოგს უბრძანა თავისი ჯარით გადასულიყო მდინარის მეორე ნაპირზე და გამაგრებულიყო იქ, სადაც უზუნ ჰასანი და მისი მთელი ჯარი იმყოფებოდა. რადგან პალეოლოგი ახალგაზრდა და ნამაცი იყო. შეიძლებოდა რაიმე შეცდომა დაეშვა თავისი გამოუცდლობის გამო, ამიტომ [სულთანმა] გაგზავნა მეჰმედ ფაშა. რომელიც საჭირო ჩივთა-დარიგებას მოსცემდა მას. მან დაფდაფებისა და სხვა საბრძოლო საკრავების დაკრითა და გაშლილი დროშებით წამოიყვანა უზარმაზარი ცხენო-

სანი ჯარი, დაეშვა მდინარის ნაპირზე და ერთი მეჩეჩიდან მეორეზე გადადიოდა. ამგვარი თავხედობით განრისხებულმა უზუნ ჰასანმა ჯარის საუკეთესო რაზმი შეუშვა მდინარეში. სპარსელები შუა მდინარეში ეკვეთნენ თურქებს. ისინი 3 საათის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ ორივე ჯარის თვალწინ. [მებრძოლები] უცქეროდნენ და ნაპირიდან ამხნევებდნენ თავისიანებს. [მოწინააღმდეგენი] ერთ მტკაველ წყალს ან მიწას არ უთმობდნენ ერთიმეორეს. ბოლოს თურქები, მათდა სამწუხაროდ, ძლეულნი და დევნილნი იქნენ სპარსელების მიერ, მრავალი მათგანი დაიბრჩო და მდინარეში წაიღო. სპარსელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ დაიწყებოდა პარველზე უფრო მძაფრი და სოსხლისმღვრელი ბრძოლა... როცა ეს დაინახა. მექმედ ფაშა, რომელიც სხვა პეჩენზე იდგა საწხედრო წყობრივით, მოხერხებულად გადავიდა მეორე ნაპირზე. სადაც მოვიდნენ სპარსელები და დაიწყეს მტრის დევნა. მექმედმა მოიგერია მესამე შეტევა და თავდადებული მამაცობით შეაჩერდა სპარსელების რისხვა. [სპარსელები] მაინც გაანადგურებდნენ მას, სიბნელეს რომ არ გაეყარა მეომარი მხარეები. არის აზრი, რომ უზუნ ჰასანს ცოტა დააკლდა, მოეპოვებინა ბრწყინვალე გამარჯვება, რადგან მექმედ ფაშა უკვე დამარცხების პირას იყო მისული და მათდა სასახელოდ [სპარსელები] უკვე მეორე ნაპირზე იყვნენ გადასულნი. სულთანმა უსწორმასწორო რელიეფის გამო ვერც არტილერიის გამოყენება შეძლო და ვერც კავალერიის გამლა და უამრავი ნადავლი დაუტოვა მტერს. მდინარეში ბრძოლის დროს სპარსელებს 5 ათასზე მეტი კაცი არ დაუკარგავთ, მაშინ როცა თურქეთის ჯარმა დახოცილისა და დამბრჩვალის სახით დაკარგა 15 ათასი კაცი. გარდა ამისა სპარსელებმა ხელთ იგდეს ურიცხვი ტყვე. ამიტომ ათასგვარი ფიქრებით გაწამებულ სულთანს მთელი ღამე ჯარი იარაღში ჰყავდა, რადგან ეშინოდა თავს არ დასხმოდნენ [სპარსელები]. მეორე დღეს მან არაჩვეულებრივად დააჩილდოვა ჯარი და გაათავისუფლა მონები იმ პირობით, რომ ბანაკთან ერთად დაუბრუნდებოდნენ კონსტანტინოპოლს. მან წესრიგში მოიყვანა ჯარი, გაშორდა მდინარეს და გზადმომავალმა ხელმარჯვნივ აუარა გვერდი ბაბუტრთს<sup>32</sup>. იგი მდებარეობს იმ მთასთან, რომელიც ერთმანეთისაგან გამოჰყოფს დიდ და მცირე სომხეთს<sup>33</sup>. ამ დროს თურქები დასავლეთისაკენ. ტრაპიზონის მხარისაკენ მიდიოდნენ. ფონთან თურქების იმგვარად როგორც უკვე ითქვა, დამარცხების შემდეგ, უზუნ ჰასანს აღარ მოეშვენ მისი ვაჟები და მთელი ჯარი და მოითხოვდნენ წინ წას-

ვლას. რათა არ დაეკარგათ სრული გამარჯვების შესაძლებლობა. ამიტომ ის სპარსელები, რომლებმაც მოსინჯეს მტრის ძალა. არაფრად თვლიდნენ [თურქების] ჯარს და იმედოვნებდნენ, რომ უპირატესობა ექნებოდათ [თურქების მიერ] დაპყრობილ ყველა ადგილებში. აქედან გამომდინარე მეფე [უზუნ ჰასანი] თვალყურს ადევნებდა მეორე ნაპირზე თურქებს, რათა გაეგო მათი განზრახვა, მაგრამ სპარსელებმა დაინახეს, რომ ისინი გასცლოდნენ ეფრატს. მათ იფიქრეს, რომ ეს ნიშნავდა თურქების გაქცევას და უაღრესად დაბეჭითებით სთხოვეს უზუნ ჰასანს გადასულიყვნენ მდინარის იქითა ნაპირზე. ის თავისი სურვილის წინააღმდეგ დათანხმდა, რადგან, როგორც ცბიერ და ბრძოლებში გამოცდილ ჯარისკაცს. კარგად ახსოვდა ძველი, ცნობილი სანახედრო წესი, რომ გაქცეულ მტერს ოქროთი უნდა მოუქირწყლო გზა და ვერცხლის სიდეხი აუგო, რათა საბოლოოდ დაგთანხმდეს შენს სურვილზე. დაკარგოს მთელი აღტყინება და ბრძოლის უნარი. ამრიგად, შეარჩია [უზუნ ჰასანმა] 40 ათასი ყველაზე დაწვლავებული და მამაცი მებრძოლი, გადალახა ეფრატი და დაედევნა მტრის ჯარს, ხოლო თავისი უფროსი ვაჟი კალული მდინარის მეორე ნაპირზე დატოვა ყველა ქართველით, თათართა და სხვა მრავალი მებრძოლით აჯალის დასაცავად. აგვისტოს ბოლოს მან მიადწია რომელიღაც მთიანეთს. მან მწვერვალიდან დაინახა თურქების არმია, რომელიც ველზე მიდიოდა ტრაპიზონის მიმართულებით. [უზუნ ჰასანი] სულ ახლახან მოპოვებული გამარჯვების გამო ფიქრობდა, რომ კვლავაც ადვილად გაიმარჯვებდა და საბრძოლველად მოემზადა. თურქებმა როცა დაინახეს, რომ გზა გადაკეტილი იყო და მიხვდნენ, რომ საჭიროა იარაღით ხელში გაიკაფონ გზა ან უსახელოდ განადგურდნენ და [მტერმა] აჩეხოს, როგორც განწირულ მდგომარეობაში ჩავარდნილთ ემართებათ, იძულებულნი გახდნენ მოეკრიბათ ძალები და დიდი გამბედაობით შემზადებულიყვნენ საბრძოლველად. სულთანმა უსტრეფთ დატოვა ბანაკის დასაცავად. თვითონ კი ავიდა მთის იმ მხარეს, რომელიც სპარსელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული. უზუნ ჰასანმა როცა დაინახა ბანაკიდან თურქების წასვლა, თავისი ვაჟი უნგერმაუმეტი გაგზავნა ათი ათასიანი ესკადრონით უსტრეფოზე თავდასასხმელად, რათა ხელთ ეგდოთ თურქების მთელი ბანაკი. მან გამოყო აგრეთვე სამი დიდი ცხენოსანთა რაზმი. მარჯვენა ფრთა ჩააბარა ყარამანიის შთავარ პირაპმედს, მარცხენა თავის ვაჟიშვილს ეძეინელს, თვითონ კი დაიკავა ცენტრი მთელი ქვეითი ჯარით, რომელიც იმ დროს საუკე-

თესო იყო. ბრძოლა გაგრძელდა 8 საათის განმავლობაში. სპარსელებმა დაუჩერებელი სიმაძაქით გაუძლეს იმ უზარმაზარ ჯარს, რომლის ნახვაც კი გაოცებას იწვევდა. სულთანის ვაჟი მუსტაფა რომ არ მოსულიყო ახალი ჯარით, რომელმაც შეუტია ყარამანის მფლობელის მარჯვენა ფრთას, დიდად საეჭვოა ვისი იქნებოდა გამარჯვება. ყარამანის მთავარი შედრკა ახალი თავდასხმისაგან და უწესრიგოდ წაიყვანა მთელი ჯარი ბრძოლის ველიდან. ამის გამო გადაიტვირთა უზუნ ჰასანის ფრთა და მას, თავისიანების დაბნეულობითა და მტრის შემოტევით შევიწროებულს, უკვე იმის ეშინოდა, რომ მტერი აჩეხავდა. ამიტომ დიდად შეშინებული ჩამოვიდა ულაყიდან და შეჯდა მორბენალ ფაშატზე, რომელიც ყოველთვის თან დაჰყავდა ხოლმე. დაინახა რა, რომ მარჯვენა ფრთიდან აწვებოდნენ და სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ, მიბრუნდა და გაიქცა. როცა მისმა ვაჟმა ეძიებულა დაინახა ეს ამბავი, იგი გაბედულად შეიჭრა ქვეითი ჯარის შუა გულში და თავგამოდებით ცდილობდა მტრის შემოტევის შემთხვევაში მთელი ჯარი არ განადგურებულიყო. ამ უმაძაქესმა ახალგაზრდამ შეძლო მცირე ხნით შეეჩერებინა მტრის რისხვა, მაგრამ მაინც დაიღუპა მათთან ბრძოლაში<sup>34</sup>. სპარსელები დამარცხდნენ და გაიქცნენ.

უნგერმაუმეტი, რომელიც თურქების ბანაკზე თავდასასხმელად წავიდა, უსტრეფოს მიერ მოწყობილი მტკიცე დაცვა დახვდა, მაგრამ მაინც იმედოვნებდა მის დამარცხებას ხანგრძლივი ბრძოლით. როცა მან დაინახა თავისი მამის მარცხი, ნელ-ნელა დაეხია უკან, რადგან ტყვედ ჩავარდნის საშიშროება ემუქრებოდა. მის უკან დახევამდე თურქები ბრძოლის ველს მთლიანად დაეპატრონენ. იგი მთელი სისწრაფით გაეშურა თავის გადასარჩენად და მივიდა მამასთან, რომელიც, თუმცა ბრძოლის ველიდან ათი მილის მონორებით იყო დაბანაკებული, მაგრამ მაინც იშვილად ვერ გრძნობდა თავს, [უზუნ ჰასანი] სასწრაფოდ გადავიდა ევფრატზე და ჯარის ნარჩენებით შევიდა თავის ქვეყანაში. ეს ბრძოლა მოხდა 1473 წელს. დაიღუპა 10 ათასი სპარსელი და 14 ათასი თურქი. ჯარის ხელახლა წესრიგში მოყვანის შემდეგ სულთანი გაეშურა ქალაქ ბაიბურეტისაკენ. აკინჯიები, რომლებიც წინ მიდიოდნენ, თავს დაესხნენ იმ ქალაქს და მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყვიტეს. ამის შემდეგ იმ მხარის მთელი მოსახლეობა, რომლებიც იზუერავეებმა გააფრთხილეს, რომ სულთანი სწრაფი მარშით მოდიოდა, გაიხიზნა მთაში. შეიძლება ითქვას, რომ [სულთანმა] მთელი მრისხანება თავის მტრებს დაატეხა თავს მაშინ, როცა

თურქები მივიდნენ მდინარე ევფრატის იმ ფონთან, სადაც ნოხდა პირველი ბრძოლა. [მდინარეზე] პირველად აკინჯიები გადავიდნენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და გაეშურნენ ქალაქ ერსეაგანისაკენ. მთელი სოფლები და ქალაქები დაცარიელებული ხვდებოდათ. ოთხი დღის სიარულის შემდეგ მივიდნენ კარასკარში<sup>35</sup>, იმ ციხე-სიმაგრესთან, რომელიც აგებული იყო ერთი მთის წვერზე. თურქები მოემზადნენ მის ასაღებად, მათ მეორე მთაზე აიკანეს არტილერია და თხუთმეტი დღის განმავლობაში ბომბავდნენ მას. ბოლოს, ციხისთავი, სახელად დარაპი, ეძინეღლის უზუნ ჰასანის შვილის მონა, რომელიც იცავდა ციხე-სიმაგრეს, როცა თავისი ბატონის სიკვდილის ამბავი გაიგო, დანებდა მტერს. [სულთანნი] კარასკარიდან წავიდა კოლიასარში<sup>36</sup>. ეს ქალაქიც დანებდა, რადგან არ შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია ძლიერი მტრისათვის. ამასობაში სულთანს აცნობეს, რომ უზუნ ჰასანნი ხელახლა კრებდა ჯარს, რათა თავის ქვეყნიდან გაგდევნა მტერი. ამიტომ მან ვეღარ გაბედა წინ წასვლა, რათა ხიფათში არ ჩაეგდო თავი. იგი სასწრაფოდ დაბრუნდა ჯერ სივასში<sup>37</sup>, შემდეგ ცოკაქში, სადაც დახვდა უნგრეთის მეფის ელჩი, რომელსაც იმ მომენტში ფარისევლური სიტყვებით ესაუბრა და უთხრა, რომ ჯერ სურდა დაემთავრებინა ომი სპარსეთთან და შემდეგ დააკმაყოფილებდა [უნგრეთის] მეფის სურვილს და დადებდა მასთან ზავს... უზუნ ჰასანი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ბედის სიმუხთლის გამო განიცადა მარცხი, იტანჯებოდა, რადგან, მისი აზრით, დიდი ხნის ომების შედეგად მიღებული ყველა მონაპოვარი წყალში იყო ჩაყრილი. ამიტომ აქ მასთან მყოფი ორი ელჩი, ერთი პოლონელი და მეორე უნგრელი, რათა ნათ არ ენახათ და არ გაეზვიადებინათ მისი საბრალო მდგომარეობა, ერთი-და მეორეც უკან გაუშვა. მას დიდი იმედი ჰქონდა ქრისტიანი მთავრებისა, რადგან ხელაღვდა, რომ მათ იგივე ინტერესები ამოძრავებდათ, რაც მას და ბატონი კატერინო წერილებით გაგზავნა ევროპაში ყველა მეფესთან დახმარების სათხოვნელად. იგი შეახსენებდა მათ დიდი საფრთხის შესახებ და აცნობებდა, რომ თვითონ უკვე აიღო იარაღი ოტომანის წინააღმდეგ. ფაქტიურად იგი აქეზებდა ჩვენს რესპუბლიკას და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებსაც. ამგვარად, ყველა ამ ელჩმა, რომლებიც მეფემ გაგზავნა, გაიარეს სამცხეში. ბატონმა კატერინომ დატოვა ის ორი ელჩი და თვითონ განაგრძო გზა. იგი მივიდა სევასტოპოლისში<sup>38</sup> ზღვასთან, საიდანაც კათა-

შე<sup>39</sup> გადავიდა გენუელი ლუიჯი და პოცოს გემით. როცა მან გაიგო, რომ [კატერინო] უზუნ პასანის ელჩი იყო, მისი სულთანთან წაყვანა მოისურვა, რადგან კაფა მას ემორჩილებოდა და ხარკს უხდიდა. ამიტომ მან ბრძანება გაგზავნა, რომლითაც ცხადდებოდა სასტიკი სასჯელი იმათ მიმართ, ვინც მიიღებდა, შეიფარებდა ან სხვა რაიმე დახმარებას გაუწევდა მას. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის უკეთილშობილესი მოქალაქე ანდრეა სკარამელი არ შეუშინდა სასჯელს, რომელიც მას მოელოდა, და ჩვენი სახელმწიფოს პატივისცემის გამო ღამით საიდუმლოდ მივიდა ნავით გენთან, [კატერინო] უვნებლად წამოიყვანა ქალაქში და თავის სახლში დამალა. ბატონი კატერინო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა უფულობის გამო. მაგრამ მისმა მსახურმა, სახელად მარტინმა, დააჩინუნა იგი გაეყიდა ის აუქციონით და აღებული ფული გამოეყენებინა. ბატონი კატერინო აღფრთოვანდა მარტინის ასეთი თავდადებათა და ერთგულებით, მაგრამ ვერ გადადგა ეს ნაბიჯი. აშენცა, როდესაც ბატონი კატერინო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, იმუცხებული გახდა გაეყიდა მარტინი ისე, როგორც მან შესთავაზა, აუქციონით და აღებული ფული გამოეყენა. ეს იყო იშვიათი მაგალითი ერთგული მსახურისა, რომელიც შეიძლება შეედაროს ანტიკური პერიოდის თავდადებულ მსახურებს, რომლებიც საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავდნენ თავიანთი პატრონებისათვის. უყურადღებოდ არც ჩვენმა რესპუბლიკამ დატოვა ის მოქალაქე. სახელმწიფოსადმი ასეთი ერთგული სამსახურის გაწევისათვის, მას დაენიშნა პენსია, რომელზედაც ის ცხოვრობდა შენდევში. ეს პენსია მისცეს მას იმიტომ, რომ სხვებისათვის ეჩვენებინათ, თუ როგორ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოსადმი სანსახურს. კაფადან ბატონმა კატერინომ გაგზავნა წერილები [ვენეციის] უბრწყინვალეს სინიორიაში, რომლებშიც მოთხოვნილია მომხდარი ორი ბრძოლის შესახებ და იმაზეც, თუ როგორ გაგზავნა იგი უზუნ პასანმა საიდუმლო წერილებით ევროპის ყველა მეფესთან. რათა აემხედრებინა ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ საომრად. თვითონ კი განზრახული ჰქონდა ადრეულ გაზაფხულზე დაეწყო ახალი ომი მთელი თავისი ძალებით<sup>40</sup>.

პოლონეთში ყოფნისას ბატონი კატერინო შეხვდა ბატონ პაოლო ონიპენეს<sup>41</sup>, რომელიც ჩვენი უბრწყინვალესი (ვენეციის) სინიორიის ელჩად მიდიოდა უზუნ პასანთან. მას გადასცა მეფისათვის განკუთვნილი წერილები, რომლებიც აღსაყვამ იყო დაპირებებითა და უარესად თბილი სიტყვებით, რომ გაეგრძელებინა დაწყებული

ომი. მას სულთნის წინაღმდეგ ბრძოლაში ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ ქრისტიანი მეფე-მთავრები. მან ასეთივე წერილები მისწერა გორგორას მეფეს და სამეგრელოს მეფე მელიკოს<sup>42</sup>. იგი დაემშვიდობა ონიზენეს და გაემგზავრა უნგრეთისაკენ, სადაც დიდი ზეიმით მიიღო მატეაშ კორცინუსმა<sup>43</sup>, რომელიც ყველაზე სახელმწიფოებრივი ხელმწიფე იყო როგორც ცოდნით, ისე ბრძოლით არა მარტო უნგრეთში, არამედ ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოში. კატერინომ სპეციალურად მოახსენია მას თავისი მისიის შესახებ, რომ მეფე, რომელიც ისედაც აგრესიულად იყო განწყობილი თურქების მიმართ, დაჰპირდა რომ იგი არ დააღალატებდა უზუნ პასანს, რომელმაც დაიმსახურა ქრისტიანული სახელმწიფოებისაგან დახმარება. შემდეგ მას საუბარი ჰქონდა ბატონ კატერინოსთან და, სცნო რა მისი სიმამაცე და კეთილშობილება, აღიარა იგი რაინდად და ათას ოთხას სამოცდაათხმეტი წლის ოც აპრილს დასაჩუქრების განსაკუთრებული დიდი ზეიმი მოუწყო ჰუდაში, სადაც აღნიშნული იქნა მისი სიმამაცე და დამსახურება ამ საქმეში და მისი სახიფათო თავგადასავალი. ბატონი კატერინო გაემგზავრა უნგრეთიდან და მივიდა ვენეციაში, სადაც იგი დიდი სიხარულით მიიღო მთელმა ნობილიტეტმა და მესხიერებას არ შეეძლო გასენება სხვა რომელიმე ვენეციელისა, რომელსაც მოეხდინა უფრო შორეული მოგზაურობა, ან უფრო ღირსეული სამსახური გაეწიოს სამშობლოსათვის. იგი დიდი სიხარულით მიიღო მთელმა ნობილიტეტმა და ხალხმა. განსაკუთრებით ნილიანებს მოეხდინა იგი, ვითარცა ღმერთი ციდან. შემდეგ ძალიან დაუშვილებით მოიხმინეს სენატში უზუნ პასანის იმ დავალებებისა და კეთილგანწყობის შესახებ, რაც მას გააჩნდა ჩვენი რესპუბლიკის მიმართ. ვაპთან და ნეაპოლის მეფესთან [გასაგზავნად] აირჩიეს ოთხი ელჩი. იმ მიზნით, რათა ისინი [შესაფერხის] პატრიოტ მიეღოთ, გააყოლეს ბატონი კატერინო, როგორც სპარსეთის ელჩი. სენატმა ისინი გააგზავნა ათას ოთხას სამოცდაათხმეტი წლის 22 აგვისტოს. იმ ელჩობამ ვერ მიაღწია რაიმე წარმატებას, რადგან მაშინ დიდი უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი ჩვენს მთავრებს შორის. ...ვიდრე ეს ელჩობა გაემგზავრებოდა, მანამდე. ყარაშანიის ზღვაში კვიპროსზე მყოფ ბარბაროს მისწერეს, რომ თავისი მისიის წარმატებით დასასრულებლად წასულიყო უზუნ პასანთან. ამიტომ აირჩია იგი სენატმა ათას ოთხას სამოცდაათხმეტი წლის ხუთ მაისს. ის გაემგზავრა წერილის მიღებისთანავე, რომელიც

გაუგზავნეს მაისის ბოლოს. იგი, სამშობლოსადმი სამსახურად, სიცოცხლის დაუზოგავად გაეშურა თავისი მოგზაურობის დანიშნულები ადგილისაკენ. ამგვარად, ათას ოთხას სამოცდათოთხმეტ წელს, როგორც მის მოგზაურობაშია მოთხრობილი, სხვადასხვა მოულოდნელი ხიფათის შემდეგ, მივიდა უზუნ ჰასანთან თავრიზში, სადაც მისმა უდიდებულესობამ მიიღო თბილად და საუკეთესოდ. იგივე ბატონი ჯოსაფატი წერს, რომ [უზუნ ჰასანი] იხილა, მაშინ, როცა იმყოფებოდა ძველებურად თავისი ბრწყინვალეებითა და სახელით. ის იმ დღეებში უდიდესი ზეიმით იღებდა ინდოეთის ელჩებს, რომლებსაც ქვეშევრდომობის ნიშნად ყოველ წელიწადს მოჰქონდათ მცირეოდენი საჩუქრები. მაგრამ ომი, რომელიც დაიწყო უზუნ ჰასანსა და უნგერმაუმეტს, მის მამაც ვაჟს შორის<sup>44</sup>, გახდა მისი მთელი დიდების შელახვისა და სულიერად დაცემის მიზეზი...

## წიგნი II

უზუნ ჰასანმა უნგერმაუმეტოს სიკვდილის შემდეგ ცოტა ხანი იცოცხლა, გარდაიცვალა 1478 წლის ნათლისღების დამეს. მან დატოვა ოთხი ვაჟი, რომელთაგან სამნი ერთი დედისანი იყვნენ, ერთი კი დესპინა ხათუნისა, ტრაპიზონის იმპერატორის ქალისა. უზუნ ჰასანისა და დესპინას ვაჟი სხვა სამმა ძმამ მოკლა მამის გარდაცვალების დამეს. გამეფების სურვილის გამო. შემდეგ ამ სამ ძმას შორის წარმოიშვა დიდი ქიშპობა და მტრობა. ისე, რომ მეორემ, რომელსაც ერქვა ჯაკუპო კორძენელი, მოკლა უფროსი ძმა და მარტო თვითონ გამეფდა<sup>45</sup>. ვიდრე ეს ამბები მოხდებოდა, დესპინა ქმარს გაშორდა და ცხოვრობდა რიარბერას საზღვარზე ქალაქ კავალიერაში, სადაც გარდაიცვალა და დაკრძალეს ამავე ქალაქის წმ. გიორგის ეკლესიაში<sup>46</sup>. იქ დღემდე არის წესიერად შენახული მისი საფლავი. უზუნ ჰასანს მასთან ჰყავდა სამი ქალიშვილი. უფროსი, რომელსაც ერქვა მარია, გათხოვილი იყო სეკიადარზე<sup>47</sup> არდებილის სინიორზე, [ის] ქალაქი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, თავრიზიდან სამი დღის სავალზე. მისი მბრძანებელი მეთაურობდა შავი კაკარების სექტას, რომელიც ითვლება სეფის სექტად და ძლიერია ხალხის მხარდაჭერისა და ახალი მოძღვრების წყალობით. მთელი სპარსეთი გაყოფილი იყო ორ სექტად. ერთ-ერთი მათგანი იწოდება თეთრ კაკარებად, მეორე —



შავ კაკარებად<sup>48</sup>, ისინი ისე აჩიან როგორც იტალიაში იყვნენ გველფები და გიბელინები, თეთრები და შავები<sup>49</sup>. სხვა ორი ქალი-შვილი ცხოვრობდა დედასთან ფუფუნებაში. მისი გარდაცვალების შემდეგ კავალიერაში იმყოფებოდნენ, მაგრამ, როცა გაიგეს მამის გარდაცვალებისა და [ნახევარ] ძმების მიერ მათი ძმის შეუბრალებელი მოკვლის შესახებ, აიღეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ, შეკრიბეს ღვიძლასი ქვები და სხვა უძვირფასესი ნივთები და გაიქცნენ ალეპოში, იქიდან კი დამასკოში. ერთი მათგანი იმ ქალაქში ცხოვრობდა ათას ხუთას თორმეტ წლამდე. ის ინახულა ბატონმა კატერინომ, ბატონ პიეტროს ვაჟმა, სპარსეთში ელჩად ნამყოფი კატერინო ძენოს შვილიშვილმა. იგი ახალგაზრდობიდან ვაჭრობდა დამასკოში და როცა გაიცნო, ნათესაურად მოუფერა ყოველგვარი სიყვარულის დასამტკიცებლად. მას სპარსეთში დაბრუნება სურდა, რადგან გაგებული ჰქონდა თავისი დისწულის ისმაილის<sup>50</sup> წარმატებითი საქმიანობის შესახებ, რის შედეგად იგი სპარსეთის მეფე გახდა...

მან [ისმაილმა] გაიგო, რომ ადვილი იყო ქალაქ შამახიას დაუფლება, რადგან იმ ქვეყანაში ომის დაწყების არავითარი მოლოდინი არ ჰქონდათ და მცირერიცხოვანი ჯარი იცავდა მას. ის სწრაფად გაეშურა იმ მიმართ. ამ ამბის გაგებისთანავე იქაური მეფე სერენდოლე, ზედავდა რა თავის უძღურებას ისმაილის წინაშე. გაიქცა და შეეხიზნა კულისანის უბლიერეს ციხეს, რომელიც იმავე წამახას ქვეყანაში მდებარეობს. რადგან ისმაილს ქალაქი [შამახა] დამკველთა გარეშე დახვდა, უბრძოლველად აიღო, შამახელები ამოწყვიტა და იქაური განძით გამდიდრდა. მან თავისი გულუხვობით დაანაწილა ნადავლი და შემდეგ თავის ჯარისკაცებს დაურიგა, რომლებიც ძლიერ გამდიდრდნენ. ამ მეორე ლაშქრობის ბედნიერად დასრულებამ უაღრესად გაზარდა მისი ავტორიტეტი. მეზობელ ქვეყნებთან მეტოქეობის გამო სულ უფრო და უფრო ზრდიდა ჯარის რაოდენობას. ალამური<sup>51</sup> ძალიან შიშობდა, რომ თავისი მამის დღე არ დადგომოდა. მან თავის კარზე მოუხვია სპარსეთის ყველა დიდ ბატონს, შეაგროვა ჯარი და დაიძრა ისმაილის წინააღმდეგ. ისმაილი ზედავდა სამხედრო მოქმედების საწარმოებლად თავისი ძალების სისუსტეს და ალამურის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა იმ ქვეყნის მეზობელ ზოგიერთ ქართველ ქრისტიან მბრძანებელს. ესენი იყვნენ ალექსანდრე ბეკი<sup>52</sup>, გორგორაბეკი<sup>53</sup> და მირაბეტი<sup>54</sup>. მათ ბევრი მტრობა ჰქონდათ ალამურთან და სურდათ მისი ძლიერების დამხობა, ისარგებლეს ისმაილის მიერ

მიცემული შემთხვევით და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ მას ალამურის წინააღმდეგ. ამიტომ თითოეულმა მათგანმა გაუგზავნა მას სამი ათასი მხედრისაგან შემდგარი რაზმი; ასე რომ ერთად ცხრა ათასი აყვნენ. [ისინი] ძალიან კარგი მებრძოლნი არიან. ქართველები ისინი არიან, ვინც უძველესი დროიდან იბერებად იწოდებიან და იქიდანვე ქრისტიანები არიან. ისევე, როგორც ამჟამად, გამუღმებით ებრძვიან თურქებს ტრაპიზონის საზღვარზე. ისინი მდიდრულად და მზიარულად მიიღო ისმაილმა, რომელსაც მათი დახმარებით ლაშქრობისათვის ჰყავდა შესანიშნავი ჯარი თექვსმეტი ათასი კაცის შემადგენლობით. ამიტომ გაეშურა იგი ალამურს წინააღმდეგ საბრძოლო განწყობილებით, რადგანაც მას ჰქონდა მისგან ასეთი საბაზი. ასე შეხვდნენ ერთმანეთს ორივენი თავიანთსა და შამახას შორის მდებარე ერთ დიდ მდინარესთან, სადაც ალამურმა, რომელსაც ჰყავდა ოცდაათი ათასი მხედარი და ქვეითი, სიფრთხილის გამო დაიკავა მხოლოდ ის ორი ხიდი, რომლებითაც ისმაილს შეეძლო იმ ველზე გადასვლა, სადაც [ალამური] იყო დაბანაკებული. იმ მოსაზრებით გააკეთა ეს, რომ მტრისათვის გზა გადაეკეტა. ალამურმა მრავალჯერ განაცხადა ქედმაღლურად, რომ ბედი სწყალობს, [ამიტომ] აღარც კი შეუშინებია ყველაფრის შედეგი და თავისი სურვილის წინააღმდეგ ჩაება ბრძოლაში. ისმაილს კი, რომელსაც ეშინოდა, რომ დაყოვნებით რეპუტაციას დაკარგავდა, მით უმეტეს. როცა ხედავდა, რომ ხიდების დაკავების შემდეგ ალამური თავის ბანაკში თავდასხმის შიშის გარეშე იმყოფებოდა და არ ემზადებოდა ხელჩართული ბრძოლისათვის, მან [ალამურისათვის] მოულოდნელად, ღამით, მონახა მდინარის ფონი, შეუნიჩნევლად გადავიდა და დიდი ცხენოსანი ჯარით თავს დაესხა მტრის ჯარს, ნოაწყო ადამიანების საშინელი ელეტა. რადგან ალამური მეფის ჯარს დროც კი არ ეყო ხელში იარაღის ასაღებად. შეიარაღებულმა და გაცოფებულმა ჯარისკაცებმა ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს ყველანი. [ისმაილმა] ზოგიერთ ყველაზე გაბედულს თავი მოჰკვეთა. სეფიანებისაგან განუწყვეტელი დარტყმების შედეგად ასეთივე ბედი გაიზიარეს სხვებმაც. ადამიანებს არ ახსოვთ, რომ მომხდარაყოს ამაზე საშინელი ღამის ბრძოლა. მიუხედავად ღამის უკუნეთისა, ველი იარაღით გაბრწყინებული ჩანდა. ისმოდა ხმაური და ყვირილი, დამარცხებული ჯარი აირია და განადგურებული გარბოდა მტრისაგან დევნილი. დამარცხებული ალამური მცირერიცხოვან გადარჩენილებთან ერთად დაბრუნდა ამირში და მტკიცედ გამაგრდა იმ ქალაქში. ისმაილმა თა-

ვისი ღირსებისათვის ხმლით ააჩეხინა ის დიდი ჯარი, შეაგროვებინა ერთად მთელი ნადავლი და ისე გაუწაწილა თავისიანებს. რომ თვითონ არაფერი დაიტოვა და მეორე დღეს წავიდა თავრიზისაკენ. რადგან იქ დაცვა არ იყო, დაიკავა, გაძარცვა, აჩეხა მოწინააღმდეგე სექტის ყველა წარმომადგენელი<sup>55</sup>. თავისი მამის შურის საძებლად ის სარდლები და ბატონები, რომლებიც, როგორც ითქვა. სეკეადარის წინააღმდეგ იყვნენ დარუბანდის<sup>56</sup> ბრძოლაში და ხელი შეუწყვეს მის სიკვდილს, საფლავიდან ამოაღებინა მათი გვანები და მოედანზე დაწვეს... თავრიზის დაპყრობითა და მეფის დამარცხებით შეშინებულმა ხალხმა და მეზობელმა დიდებულებმა მორჩილება გამოუცხადეს მას, გარდა ალინჯაყალასი<sup>57</sup>, ციხისა, რომელიც მდებარეობს თავრიზის ზემოთ, სხვანაირად ჩრდილოეთით ორი დღის სავალზე. რომელსაც გარს აკრავს ათიოდე სასლკარი და დასახლებულია კათოლიკე ქრისტიანებით. მაგრამ შემდეგ ბოლოს და ბოლოს, ალამურსადმი ოთხი წლის ერთგულების შემდეგ, როცა მისი სიკვდილი გაიგეს, იქ არსებული უდიდესი განძით ჩაბარდა ისმაილს<sup>58</sup>. ამ ციხის დაპყრობის შემდეგ ისმარლმა თავის თავი გამოაცხადა სპარსეთის იმპერატორად და დაიჩქვა ახალი სახელი — სოფი<sup>59</sup>. მაგრამ მზრად ხანმა, ალამურის ეჭვმა, თურქების მცირეოდენი დახმარებით შეკრება ოცდაათათასიანი ლაშქარი და წამოვიდა იმ სამეფოს დასაპყრობად, რომელიც კანონით მას ეკუთვნოდა. მას სურდა აღედგინა მამისეული სახელმწიფო და იმავე დროს შური ეძია მამის უბედურებისათვის სეფიანთა სექტის წინააღმდეგ. როცა ეს გაიგო ისმაილმა, სასწრაფოდ შეკრება ლაშქარი და წამოვიდა მზრად ხანის წინააღმდეგ. ეს ორი ახალგაზრდა ერთმანეთს შეეტაკა თავრიზის ველზე. ორივემ ბევრი რამ გააყეთა იარაღით ხელში მტრის დასაძლევად. მაგრამ [ისმაილმა] გაგზავნა მამაცი და განოცდილი სეფიანი ჯარისკაცები. გამარჯვებისათვის გამოიყენა მხედართმთავრისათვის ყველა ხელსაყრელი საშუალება და დიდი მარცხი მიაყენა მზრად ხანის ჯარს. თვით საბრალო ყმაწვილი ვერ ხედავდა სხვა საშუალებას გარდა იმისა, რომ თავისი მცირეოდენი ჯარისკაცებით გაქეუულიყო დიარბექირში, რათა თავიდან აეცილებინა სრული განადგურება. ეს ამბები მოხდა ათას ოთხას ოთხმოცდაცხრამეტ წელს<sup>60</sup>.....

ოცა ხნის შემდეგ დაიწყო პირველობისათვის ომი ზემოხსენებულ თათარ ლასილბასთან. ლასილბასი წამოვიდა დიდი ჯარით სეფიანების წინააღმდეგ. მაგრამ მათ შეუტეეს მრისხანედ, გა-

ტუტეს მტრის ძალა და განადგურებულნი და განდევნილნი დაბრუნდნენ სამარყანდში. ეს გამარჯვება ყველაზე ბრწყინვალე იყო, რაც კი ოდესმე მოუპოვებია ისმაილს, რადგან დაამარცხა მთელს ლევანტში სახელგანთქმული მეომრები. ამიტომ თურქეთისა და ეგვიპტის სულთნები უაღრესად შეშინდნენ ისმაილის გაძლიერების გამო, ერთმანეთში მოითათობირეს, რომ, თუ თათარი საბოლოოდ დამარცხდებოდა, მაშინ ისმაილს გაეხსნებოდა გზა მთელი აზიისა და ეგვიპტის დასაპყრობად, რადგანაც ლევანტში თათარ ლაილბასზე უფრო ძლიერი მბრძანებელი სხვა არავინ იყო, ამიტომ სულთან სელიმი, როცა გაიგო, რომ ისმაილი დაკავებული იყო თათართა მბრძანებლის სატახტო ქალაქის—სამარყანდისათვის ბრძოლით, სათავეში ჩაუდგა თურქების უზარმაზარ ჯარს და 1514 წელს წაეიდა სპარსეთის წინააღმდეგ. მან გადალახა მდინარე სივასი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან შვიდასი, ხოლო თავრიზიდან შვიდას ორმოცდახუთი მილით არის დაშორებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი [მანძილის] მცირეოდენი განსხვავებით მდებარეობს ორ ხსენებულ ქალაქს შორის. მან სწრაფად გადალახა მდინარე ლაი<sup>61</sup> და შევიდა არსენგას ნსარეში. თავრიზში მყოფმა ისმაილმა მაშინლა გაიგო ეს ამბავი, როცა თავისი ჯარის გარეშე იმყოფებოდა, ამ ჯარს ალყა ჰქონდა შემორტყმული სამარყანდისათვის. ისმაილმა სსწრაფოდ შეკრიბა ხალხი, რომელთაგან შექმნა საკმაოდ კარგი ჯარი და სათავეში ჩაუყენა თავისი ორი გამოცდილი სარდალი: ერთს ერქვა სტაკალუ ამირბეი, მეორეს აურპენ სამპერ. ისინი გააგზავნა სელიმის დასახვედრად, რათა შეტაკებებით შეეჩერებინათ მისი შემოტევა მანამდე, ვიდრე შეკრებდა დიდ ჯარს და ბრძოლას ველზე შეხვდებოდა მტერს. ეს ჯარი შედგებოდა ორმოცდაათი ათასი ცხენოსნისაგან. ყველა კარგი ნებრძოლი იყო, შეიძლება ითქვას, სპარსელთა საუკეთესო ჯარს წარმოადგენდა. წინ წასულმა ორმა სარდალმა ამარბეიმ და სამპერმა გაიგეს, რომ სელიმმა გადალახა ევფრათი და სწრაფად ზიდიოდა ხოისაკენ, სადაც იმყოფებოდა თავრიზიდან ახლახან მისული ისმაილი. ამ უკანასკნელმა შეიტყო იმ დიდი სამზადისის შესახებ, რაც სელიმმა ჩაატარა ომის საწარმოებლად. ამიტომ თავისი ჯარის გაძლიერების მიზნით ხელახლა დაბრუნდა თავრიზში ახალი ძალების შესაკრებად, რათა ამის შემდეგლა შებმოდა მტერს. ხოი ის ქალაქია, რომელიც, როგორც ამბობენ, აშენდა ანტიკური ქალაქის არტაშატის<sup>62</sup> ნანგრევებზე. იგი მდებარეობს თავრიზის მახლობლად სამი დღის სავალზე. ისმაილს ეგონა, რომ სიახლო-

ვის გამო სწრაფად შეძლებდა საომრად მოსვლას. მან მკაცრი ბრძანება გაუგზავნა ხსენებულ თავის სარდლებს, რომ მათ დაეცადათ, ვიდრე ის ახალი ჯარით მივიდოდა და შემდეგ ერთობლივად გაეღვენათ მტერი. მაგრამ ისმაილის გამგზავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 24 აგვისტოს, იმავე ველზე, რომელსაც ჩალდირანი ჰქვია. სადაც სპარსელები იყვნენ დაბანაკებულნი, მოულოდნელად განაოხნა სამხედრო მწყობრით თურქების ჯარი. სპარსელები ხელდავდნენ რომ მტერი ძალიან გაბედულად და გამომწვევად მოდიოდა საბრძოლველად და არ შეეძლოთ თავს არ დასხმოდნენ მტერს, რადგან ყველა წარსულ ბრძოლებში გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული [თავიანთი] უდიდესი მეფის მეთაურობით, რომლის მსგავსი არასოდეს არ ყოფილა ლევანტში. [ბრძოლის] წინა დამეს თავრიზიდან მოვიდა მხედართა რამდენიმე რაზმი, ასე რომ მთლიანად შეიკრიბა ოცდამეათი ათასი მებრძოლი. ისინი გაიყვნენ ორ დიდ ცხენოსან ჯარად. ერთს წინამძღოლობდა სტაკალუ ამარბეი, მეორეს კი — აურპერ სომპერი. როცა ბრძოლის დაწყების ნიშანი მისცეს, ისინი გაბედულად ეკვეთნენ მტერს. პირველი იყო ამარბეი, რომელმაც ისე მრისხანედ დაარტყა ანატოლიელების რაზმს, რომ მთლიანად გაანადგურა და მოსპო. სპარსელებმა იუთა ელეტა დაუწყეს თურქებს, რომ გამარჯვება მათ დარჩებოდათ იმ ფრთაზე, თუ სინან ფაშას ბრძოლის იმ მხარისთვის, რომელიც სულ მთლად მოიშალა, დასაბმარებლად არ მოეყვანა ყარაბან-ელთა რაზმი. მან უკუთავდო სპარსელთა ცხენოსნები და თავი მოაკვეთინა მათთვის, რომლებიც გაქცევას აპირებდნენ... ამის შემდეგ სელიმმა აშალა ბანაკი და მივიდა ხოიში, სადაც მთელ ჯართან ერთად დაისვენა რამდენიმე დღე. იქიდან გაგზავნილი მრავალი წერილით აცნობა სხვადასხვა ადგილებში, რომ ჩალდირანის ველზე გამართულ ბრძოლაში დაამარცხა პირადად ისმაილი. მაგრამ ეს იყო ტყუილი, რადგან არც ისმაილი იყო იქ პირადად და არც მისი ძველი ჯარისკაცები, რომლებსაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული სამარყანდისათვის<sup>63</sup>. როცა ისმაილმა გაიგო თავი იქი ჯარის დამარცხების შესახებ, მან გაგზავნა თავის ცოლთან ბრძოლის ველზე გადარჩენილი ის ჯარი, რომელმაც თავრიზს შეაფარა თავი, თან წაიღეს ქალაქის სიმიდირე და წავიდნენ კაზერუნში<sup>64</sup>, რომელიც თავრიზის აღმოსავლეთით შვიდი დღის სავალზე მდებარეობს. იქ ისმაილმა შეკრიბა ახალი ჯარი, რათა კვლავ ეცადა ბედი ბრძოლის ველზე. მისი გამგზავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ სულთანმა წამოვიდა ხოიდან და მივიდა თავრიზში, სადაც ზრდილოზიანად

და თავზიანად მიიღეს მოქალაქეებმა, რადგან არ უნდოდათ ხეთათნი ჩაეგდოთ სიცოცხლე და არ გააჩნდათ რაიმე შესაძლებლობა ნტრისათვის დაეპირისპირებინათ მამაცი ადამიანები, რომლებიც იარაღს აიღებდნენ ხელში სპარსეთის დასაცავად. სულთანი იქ მხოლოდ სამი დღე დარჩა. მან დაინახა, რომ ახლომდებარე მხარეების ხალხი და დიდებულნი არ მოდიოდნენ მასთან მორჩილების გამოსახატავად და იეჭვა, რომ ისმაილი სინამდვილეში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე [სულთანს] ეგონა. რადგან სპარსეთის თითქმის ყველა დიდებული ჰქმნიდა რაზმებს სპარსეთის გადასარჩენად. ამიტომ მან წამოიყვანა სხვადასხვა ხელობის შესანიშნავი ოსტატები და ხუთი ათასი საპალნე სიმდიდრე წამოიღო, არავითარი ზიანი არ მიუყენებია ქალაქისათვის, ისე გაეშურა ევფრატისაკენ. მაგრამ მგზავრობისას [სულთანი] გააწამეს ქართველებმა, რომლებიც მარდი ცხენოსანი რაზმებით ძარცვავდნენ ჯარის ალაღს და ნაკუწ-ნაკუწ აქცევდნენ ყველას, ვინც შეეცდებოდა რიგების მიტოვებას მცირე მანძილითაც კი. მათი თავდასხმები იმდენად ხშირი იყო, რომ ორმოცი-ორმოცდაათი მილით ჯარის წინ რბევის მიჩვეული აკინჯიები ვერ ახერხებდნენ ჯარიდან მცირე მანძილით დაშორებას, რადგან ის მრისხანე ყაჩაღი მტერი ყველგან მრავლად ხოცავდა მათ, არა მხოლოდ ხმლით ხოცავდა, არამედ შიმშილითაც. მიუხედავად იმისა, რომ [აკინჯიები] ზრუნავდნენ ჯარის სურსათით მომარაგებაზე, დიდი წვალების მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებდნენ ამას. ამიტომ ისინი თანახმა იყვნენ თავი გადაერჩინათ ერთი საზიზღარი სიკვდილისაგან და დალუპულიყვნენ უფრო უარესით<sup>65</sup>. ამასობაში ისმაილმა უღარესად გაზარდა თავისი ჯარი<sup>66</sup>. რათა დროულად დასწეოდა მტერს, [ისმაილი] წამოვიდა თავრიზისაკენ, მაგრამ შეიტყო, რომ სულთანი უკვე წასულიყო და დიდი სისწრაფით მიდიოდა წინ, რათა [ისმაილი] არ დასწეოდა მას. [სულთანი] ვარაუდობდა, რომ დამარცხება შეეცლიდა ამ ომის ბედს. ამგვარად [ისმაილმა] მისწერა წერილები და ელჩებიც გაუგზავნა [ეგვიპტის] სულთანს. ალადულის<sup>67</sup> და სამცხის ააბაგს. [ისმაილი] განუპარტავდა მათ იმ დიდი საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრებოდათ, თუ [ისმაილთან] ერთად არ აიღებდნენ ხელში იარაღს სელიმის წინააღმდეგ, რადგან თუ იგი დაასუსტებდა სპარსეთს, მაშინ მათი სახელმწიფოებიც მტრის ნადავლი გახდებოდა. რადგან ეს მბრძანებლები შეპყრობილი იყვნენ სელიმის მიერ სეფიანებზე მოპოვებული გამარჯვების შიშით, ამიტომ სიამოვნებით მოუხმინეს ელჩებს. შეიკრა კავშირი, რომელშიც

შევიდნენ ისმაილი, სამცხის ათაბაგი, [ეგვიპტის] სულთანი და ალაღულის მბრძანებელი. ისინი შეთანხმდნენ, რომ, როცა საჭირო იქნებოდა, დახმარებოდნენ ერთმანეთს სულთნის წინააღმდეგ, იმ გარკვეული პირობით, რომ ისინი არ მიიღებდნენ სულთნის რომელიმე ელჩს<sup>68</sup>. მაგრამ ეს პირობა არ დაიცვა [ეგვიპტის] სულთანმა. [ხელშეკრულების დადებიდან] ცოტა ხნის შემდეგ, როცა სულთანმა ელჩი გაუგზავნა მას, მან მიიღო [ელჩი] და კოალიციის საწინააღმდეგო კაპიტულაციის მოთხოვნაზე მოუსმინა. ამას გამო შემდეგში თვითონაც დაიღუპა და მამლუქების სიძლიერეც დასცა. შემდეგში, როცა სელიმი შეიქრა სირიაში [ეგვიპტის] სულთნის წინააღმდეგ საომრად, ისმაილმა არ მოისურვა დახმარებოდა მას იმის შიშით, რომ თვითონაც არ ყოფილიყო [ომში] ჩათრეული. ახლა, როცა კავშირი შეიქმნა, როგორც ითქვა, ისმაილმა, რომელიც თავს არიდებდა თურქების წინააღმდეგ ომს, თავისი ელჩები გაუგზავნა სელიმს, რომელიც იმყოფებოდა ამასიაში. [ელჩებმა] მიართვეს მოჭრული კვერთხი, უნაგირი და უმდიდრესად შემკული ხმალი წერილთან ერთად, რომელშიც ნათქვამი იყო: ისმაილი, სპარსეთის დიდი მბრძანებელი გიგზავნის შენს უდიდებულესობას, სელიმ, ამ თანაბარი [ღირებულების] საჩუქრებს, რომლებიც იმდენს ფასობს, რანდენსაც შენი სამეფო შენ თუ მამაცი ადამიანი ხარ, კარგად შეინახე ისინი, რადგან მოვალ მათს წასართმევად და წაგართმევ შენს თავთან და სამეფოსთან ერთად, რომელსაც უსამართლოდ ფლობ. დაუშვებელია, რომ მდაბიო წარმოშობისა მბრძანებლობდეს მრავალ პროვინციაზე. ამ წერილმა ისე აღაშფოთა სელიმის მრისხანე სული, რომ სურდა დაეხრცა ელჩები, მაგრამ მისმა ფაშებმა შეაკავეს. დიდი სიბრაზის გამო, მაინც ვერ მოიხმინა, რომ არ მოეკვჯინებინა მათთვის ყურები და ცხვირები და ასე გაუგზავნა ისინი ისმაილს წერილთან ერთად, რომელშიც ნათქვამი იყო: „სელიმ, თურქების დიდი მბრძანებელი, არ აქცევს რა ყურადღებას ნის, ნაღლის, ყეფას, უპასუხებს, რომ თუ შენ გაბედავ ჩემ წინააღმდეგ წამოსვლას, შენც იგივე დაგენართება, რაც ჩემმა პაპამ დამართა შენს პაპას— უზუნ პაპანს“ .

1. ქეკელი II დამპყრობელი (1444, 1451—1481). 1453 წ. აიღო კონსტანტინოპოლი და ფაქტიურად მოსპო ბიზანტიის იმპერია. 1459 წელს ბოლო მოუღო სერბიის დამოუკიდებლობას, 1461 წ. დაიპყრო ტრაპიზონის იმპერია და ა. შ.

2. უზუნქასანი აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს მეთაური (1454—1478). დაწვილებითი ცნობები იხ. *Enzyklopaedie des Islam*, Bd. IV, Leiden—Leipzig, 1934.

3. ჯანსა. ეს უნდა იყოს ჟეჰანშაჰ ყარა-ყოიუნლუ. იხ. შენ. 48.

4. უნგერმაუნეტო—უილურლე მოჰამედი. მის შესახებ იხ. რ. კიქნაძე, ფადლაჰაჰ იბნ რუზბეჰანის „თარნიხე ალამ-არაიე ამინი“. „კავკასიურ-ალმოსავლური კრებული“, II, თბ., 1952, გვ. 282.

5. თართარია—დიდი თართარია. XV ს. მოგზაურები (მათ შორის კლავიხო და შილტბერგერიც) ასე უწოდებდნენ ოქროს ურდოს, ყოჩაღეთს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინში (*Tartaria Magna*) ევროპელებს გვიანდელ შუასაუკუნეებში ესმოდათ იუანის იმპერია, რომელშიც შედიოდა მონღოლეთი და ჩინეთის დიდი ნაწილი. მართალია, იუანის იმპერია XV ს-ში მოისპო, მაგრამ ტერმინმა (*Tartaria Magna*) დიდხანს იარსება. *После Марко Поло. Путешествия Западных чужеземцев в страны трех Индии. Перевод с латинского и староняльнянских языков, введение и примечания Я. М. Света, М., 1968, с. 217*).

6. გორგორა. კატერინო ძენო (ისევე, როგორც სხვა ევროპელი ავტორები გულისხმობს სამცხის ათაბაგს ყვარყვარე II-ს (1451—1498). ევროპაში გაგზავნილ წერილებში და იტალიურ დოკუმენტურ თუ ნარატულ წყაროებში ყვარყვარე II ყოველთვის გურგურას, გორგორას სახელით იხსენიება. იხ., მაგ., მ. თამარაშვილი; ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 57—60. 595—597.

მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, პიროვნება კი არ იგულისხმება, არამედ ქვეყანა. ჩვენი აზრით, კატერინო ძენო კი არ უნდა სცოდნებოდა, არამედ „კომენტარების“ შემდგენელი ნიკოლო ძენო. ამ უნებურმა შეცდომამ სათავე დაუდო შემდგომი იტალიელების მიერ სამცხე-საათაბაგოს „გორგორათი“ აღნიშვნას. უფრო მეტიც, ყვარყვარეს შემკვიდრებესაც გორგორას ეძახდნენ ხოლმე (იხ. ე. შამისთვალიშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველის ურთიერთობის შესახებ, „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები“, I, თბ., 1975, გვ. 150).

7. ყარამანი—თურქმანული სახელმწიფო მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში XIII—XIV სს-ში მასში შედიოდა მიწები კონიის სამხრეთით ხმელთაშუა ზღვამდე. მისი მთავარი ქალაქი იყო ლარენდე (*G. Le Strange, The lands of the Eastern caliphate, Cambridge, 1930, p. 148*).

8. მცირე სომხეთი. სომხური მიწების დიდ და მცირე სომხეთად დაყოფა ანტიკური დროიდან მოდის. ამ ტერმინმა შუა საუკუნეებში რამდენადმე სხვა გეოგრაფიული შინაარსი მიიღო. დიდ სომხეთს უწოდებდნენ იმ ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა დღევანდელი სომხეთის სსრ და ქალაქებს: ერზინჯანს, არზრუმს, ანისს, ყარსს და ვანს. დიდი სომხეთის ჩრდილო ნაწილი XII ს. და XIII ს. დასაწყისში საქართველოს სამეფოში შედიოდა. XIII ს. 30-იან წლებ-



ში დიდი სომხეთი დაიპყრეს მონღოლებმა, შემდეგ კი მის დიდ ნაწილს საბოლოოდ ოსმალები დაეპატრონენ. მცირე სომხეთი ერქვა კალიკიის სომხურ<sup>1</sup> სახელმწიფოს, რომელიც ოსმალების ხვედრი გახდა.

9. ბ ა ქ ო ს ზ ლ ე ვ ა. ხშირად ასე ეძახდნენ კასპიის ზღვას.

10. კ ა ლ ო ი ა ნ —ტრაპიზონის იმპერატორი იოანე IV (1446—1459). მან ოსმალებისაგან დაცვის მიზნით დაამყარა კავშირი უზუნ ჰასანთან. იოანეს საქართველოს მეფე-მთავრებისაგან დახმარების იმედიც ჰქონდა. იგი ნათესაურ კავშირში იყო ქართულ სამეფო კართან, ცოლად ჰყავდა მეფე ალექსანდრე I-ის (1412—1443) ასული (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანიურთ გამოცემა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1970, გვ. 96; Jac. Ph. Fallmerayer, Geschichte des Kaiserthums von Trapezunt, München, 1827, S. 26).

არასწორია „კომენტარები.“ ცნობა თითქოს იოანეს მიეთხოვედნოს თავისი ქალიშვილი უზუნ ჰასანისათვის. იოანე 1458 წ. გარდაიცვალა და მისმა ძმამ დავითმა ხელთ იგდო ძალაუფლება. მან გააგრძელა იოანეს მიერ დაწყებული საგარეო პოლიტიკა. უზუნ ჰასანთან კავშირის განმტკიცების მიზნით 1458 წ. მიათხოვა თავისი ძმის იოანეს ქალიშვილი კირა კატერინა, რომელიც ევროპაში ცნობილი იყო დესპინას (ბერძ. „ქალბატონი“) სახელით. კირა კატერინას უზუნ ჰასანის კარზე გაგზავნის შესახებ იხ. ანონიმი ვენეციელის ცნობები (Un mercantio che fu nella Persia Ramusio, დასახ. ნაშრ., II, გვ. 84).

11. უზუნ ჰასანის ელჩების იტალიაში მოგზაურობისა და მათი მიზნების შესახებ იხ. ე. მ ა მ ი ს თ ე ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. 70-იან წლებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1971, გვ. 79—80.

12. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ვენეციის რესპუბლიკას გათვალისწინებული ჰყავდა საქართველოც. ვენეციის სენატის 1471 წლის 10 სექტემბრის ინსტრუქციაში ვენეციის დოჯე ქრისტოფორო მაურო პირდაპირ მიუთითებდა ძენოს, რომ ვალდებული იყო პირადად ხლებოდა საქართველოს მეფეს, გადაეცა წერილები და აღედგრა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად (G. Berchet, La Repubblica di Venezia e la Persia, Torino, 1565, doc. 17, p. 11). ძენოს რომ ნამდვილად ჰქონდა საქართველოს მეფისათვის გადასაცემი წერილები, ამაზე მიუთითებს მის მიერ 1472 წლის 9 ოქტომბერს კეიპროსის ბაილო ანდრეა კორერისადმი გაგზავნილი წერილი. მასში, სხვადასხვა ამბებთან ერთად, ნათქვამია, რომ ძენოს კირა კატერინასათვის უჩვენებია საქართველოს მეფისათვის განკუთვნილი წერილი (Archivio storico, italiano, p. 68).

უნდა ეთიქროთ, რომ ყვარყვარეს გარდა, საქართველოს სხვა მეფე-მთავრების დამოკიდებულება ანტიოსმალური კოალიციისადმი გარკვეული იყო. ყვარყვარე კი მერყეობდა. ის უფრო ოსმალეთისაკენ იხრებოდა. ამიტომ გაუგზავნა უზუნ ჰასანმა საკუთარი ხელით დაწერილი წერილი ყვარყვარეს, მკრამ არც ამან გამოილო შედეგი. საბოლოოდ ისე გამწვავდა მათ შორის ურთიერთობა, რომ უზუნ ჰასანმა 1472 წ. სამცხე-საათაბაგო დალაშქრა კიდეც (დაწერილებით იხ. ე. მ ა მ ი ს თ ე ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 82—83).

13. ჟოსფატ ბარბარო ელჩად გამწვავეს 1473 წლის 6 იანვარს.

14. ბ ო მ ბ ა რ დ ი —საარტილერიო ქვემეხი, რომელსაც XIV—XVI სს-ში იყენებდნენ ციხე-სიმაგრის აღყისა და თავდაცვის დროს, იტენებოდა ლულიდან,

ისროდნენ ქვის ქურევებს. ზომბარდი თავდაპირველად მცირე კალიბრისა იყო, შემდეგ დაიწყო მსხვილი კალიბრის (1000 მმ-მდე, წონით 16—19 ტონამდე) ჩამოსხმა.

15. ა რ კ ე ბ უ ზ — ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველსახეობა, რომელიც დას. ევროპაში გავრცელდა XV ს. პირველ მესამედში. იტენებოდა ლულიდან. არკებუზით პირველ ხანებში ქვებს ისროდნენ, შემდეგში მრავალ ტყვიებს.

16. ს პ რ გ ა რ დ — კედლის სანგრევი მანქანა.

17. პ ი რ ა მ ა ტ ი — პირ აშმადი, ყარაშანიის ამირა (1464—1474. 1469 წლიდან ყასიმთან ერთად) 1464 წ. გარდაიცვალა იბრაჰიმ-ბეგ ყარაშან ოღლი. მისი ვაჟები ისხაკ-ბეგი და პირ აშმადი სულთან მემქმედ II-ს ეახლნენ, რომელმაც მამის მემკვიდრეობა მათ დაუმტკიცა. მაგრამ მშებს შორის დაიწყო დავა. გაიმარჯვა პირ აშმადმა და ყარაშანიის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. ისხაკ-ბეგმა უზუნ პასანის კარზე შეაფარა თავი (Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, Шараф-наме, т. II, Перевод, предисловие, примечания и приложения Е. М. Васильевой, М., 1976, с. 129).

18. ს ხ ვ ა ც ნ ბ ი ს მ ი ხ ე დ ი თ, ამავე პერიოდში (1472 წლის გაზაფხული), უზუნ პასანის კარზე თავშეფარებულ იმპერატორ დავითის მისწულს ქართველების მხარდაჭერით უღელა ტრაპიზონის განთავისუფლება, მაგრამ ამაოდ (Magyar diplomáciai emlékek Matias kiraly korából 1458—1490. «Monumentae Hungariae Historia», t. II, Budapest. 1877, doc. 170. p. 239. უფრო ვრცლად იხ. . მ ა მ ი ს - თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 85—86).

19. 1473. წლის 11 იანვარს ვენეციის სენატმა მიიღო დადგენილება, დახმარება გაეწია აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოსათვის. გადაწყდა უზუნ პასანის კარზე ელჩად დანიშნულიყო ჯოსაფატ ზარბარო, რომელიც იარაღს მიიტანდა ყარაშანიის სანაპიროზე და გადასცემდა უზუნ პასანს. ოსმალეთზე გამარჯვების შემთხვევაში სულთნის აღმოსავლეთი სამფლობელოები დარდანელის ჩათვლით აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს შეუერთდებოდა. სამაგიეროდ ვენეცია მიიღებდა თავისუფალი ვაჭრობის უფლებას აღნიშნულ ტერიტორიაზე (Berchet., Op. cit., doc. 7, p. P).

20. შემდეგში ოსმალეთის სულთანი ბაიაზიდ II (1481—1512).

21. ძ ი ე ნ — მემქმედ II-ის ვაჟი ჯემი. მამის გარდაცვალების შემდეგ თავის მშა სულთან ბაიაზიდ II-ს აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა და ევროპაში გაიქცა (Бидлиси. დასახ. ნაშრ. გვ. 139). ჯემის მხარს უჭერდა უკანასკნელი ყარაშანიდი ამირა ყასიმი. ამ საბაზით ისარგებლა ბაიაზიდ II-მ და მოსპო ყარაშანიელების ღინასტია. К. Э. Босворт, Мусульманские династии. Справочник по хронологии и генеалогии. Перевод с английского и примечания П. А. Грязневича. М., 1971, с. 181) ემიგრაციაში მყოფი ჯემი მოსვენებას არ აძლევდა სულთანს. ბაიაზიდ II-ის ბრძანებით 1495 წ. ნეაპოლში მოწამლეს ოგი (S. N. Fisher, The Foreign relations of Turkey 1481—1512, Urbana, 1948, p. 49).

22. ა ს მ უ რ ა ტ პ ა ლ ე ო ლ ო გ ი — ბიზანტიის უკანასკნელი ღინასტიის წარმომადგენელი, გამამპალიანებული. მას ეკავა რუმელიის ბეგლარბეგის თანამდებობა (V. Minor sky, La Perse au XVe siècle entre la Turquie et Venise, Paris, 1938, p. 23).

23. მ დ . ლ ა ი ს ი — მდ. პალისი. დღევანდელი მდ. ყიზილ-ირმაკი.

24. ქ . კ ა რ ა ს კ ა რ ი — ქ. კარაკესე დღევანდელ აღმ. თურქეთში.

25. ქ. არჯინა — ქ. ერზინდჯანი მდ. ევღრატზე, არზრუმის რაიონში.
26. ქ. არსენგა — ქ. არზრუმი.
27. მალათია — ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.
28. დრომადერი — ცალკუზიანი აქლემი.
29. იხ. შენ. 4.
30. კალუღი — უზუნ ჰასანის უფროსი ვაჟი სულთან ხალილი. თავის მემკვდრედ უზუნ ჰასანს გამოცხადებული ჰყავდა მესამე ვაჟი იაყუბი, მაგრამ ხალილმა მიიტაცა ტახტი 1476 წელს. იმავე წელს იაყუბმა დაამარცხა ხალილი და თვითონ გამეფდა (რ. კიკნაძე, ფადლალაქ იბნ რუზბეჰანის „თარახ ალამ არაიე ამინი“, გვ. 282—283; Б И Д Л И С И, დასახ. ნაშრ. გვ. 135)
31. ეძეინელი — უზუნ ჰასანის ვაჟი ზეინალ-მირზა.
32. ბაიბურთი — ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში.
- 33 დიდი და მცირე სომხეთი. იხ. შენ. 8.
34. თურქული წყაროების მიხედვით ზეინალ მირზასთან ერთად დაღეპულა ქართველების სარდალი (ე. ჩოჩიევი, მახლობელი აღმოსავლეთი XV ს. მეორე ნახევარში. თსუ შრომები, ტ. 206, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, თ., 1979, გვ. 151).
35. კარასკარი. იხ. შენ. 24.
36. კოლიასარი. ეს უნდა იყოს კოჟლ-ჰიასარი. ევლია ჩელების გადმოცემით, იგი „უზუნ ჰასანმა ააშენა [სულთან] მცემდ ფათიის შიშით. მაგრამ შემდეგ მაინც დაიპყრო მცემდ ფათიმა“ (ევლია ჩელების „მოჯაზურობის წიგნი“. თურქული-დან-თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I., ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 187).
37. სეეასი — სიეასი, ქალაქი თურქეთში.
38. სალვაროპოლისი — სევასტოპოლისი. იხ. ბარბარო, შენ. 10.
39. კაფა — გენუელების ყველაზე მნიშვნელოვანი კოლონია ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში XIII ს. 60-იანი წლებიდან 1475 წლამდე. 1475 წ. დაიპყრეს ოსმალებმა.
40. ნიკოლო ძენო ცდება, როცა ჰკონია, რომ კატერინომ პირველად კაფადან აცნობა ვენეციის მთავრობას უზუნ ჰასანის მარცხის შესახებ. თურქანასთან ბრძოლა მოხდა 1473 წლის 10 აგვისტოს. ვენეციის სენატმა მიიღო ძენოს მიერ 18 აგვისტოთი დათარიღებული წერილი. (E. Cornet, *La guerre dei Veneti nell Asia 1470—1474*, doc. 84, p. 105—106.)
41. პაოლო ონიზენეს მისიის შესახებ იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 87—88.
42. გაუგებარია, რატომ იხსენიებს ენო სამეგრელოს მთავარს სახელით მელიკო, მაშინ როცა ამყარად ჩვენთვის სინტერესო პერიოდის სხვა ყველა იტალიელი ავტორი სამეგრელოს მთავარს ზედიანს ეძახის.
- ვახუშტის მიხედვით, ამ დროს სამეგრელოს მთავარი იყო შამანდავლე, ლიპარიტ დადიანის ძე. იქვეა მოცემული მისი მმართველობის წლებიც — 1474—1477 წ., მაგრამ, ცოტა ქვემოთ, ვახუშტი ბატონიშვილი ლიპარაკობს 1474 წელს მეფე ბაგრატ VI-ის მიერ ოდიშში დამსჯელი ექსპედიციის მისვლაზე ვამიყ დადიანის წინააღმდეგ. ამ უქნასკნელი ცნობის მიხედვით გამოდის, რომ შამანდავლ 1474 წელს გარდაიცვალა და მის მავიერ მთავრად ყოფილა ვამიყ დადიანი. შამანდავლე დადიანი რომ 1477 წლამდე გარდაიცვალა, ამის დადგენაში დავეყვარება ამბროჯო კონტარინი, რომელიც 1474 წლის 4-დან 7 ივლისამდე პერიოდში პირადად შეხვდა

სამეგრელოს მთავარს „ბენდიანს“ (იხ. ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, IV გვ. 105), ხოლო 1575 წლის 22 ივლისს ლაპარაკობს მთავრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მომხდარ არეულობაზე ოდიშში. ვახუშტი ბატონიშვილი ხომ აღნიშნავს, რომ ახლად გამთავრებულმა ვამიყ დადიანმა, შამანდავლს ბიძამ, ურჩობა დაუწყო ბაგრატ მეფეს, რის გამოც მეფემ გაილაშქრა ოდიშში და მორჩილების ფიცი დაადებინა მის მთავარს (გვ. 807).

43. მ ა ტ ი ა შ კ ო რ ე ი ნ — უნგრეთის მეფე (1458—1490). იგი ცნობილი იყო, როგორც ოსმალეთის წინააღმდეგ შუქოვარი მებრძოლი.

44. უ ი ღ უ რ ლ უ მოჰამედი 1469 წ. მამას აუჯანყდა, ჯერ ბაღდადში გაიქცა, შემდეგ სულთან მეჰმედ მეორის კარზე შეაფარა თავი. სულთანმა მოწყალედ მიიღო და ცოლად შერთო თავისი ასული (Б и д л и с и н, დასახ. წნაშრ. გვ. 132). 1475 წ. სულთნის ჯარზე დაყრდნობით შეიქრა აყ-ყოიუნლუში. ბრძოლა მოხდა ბაიბურთთან, მართალია, უზუნ ჰასანის ჯარი დამარცხდა, მაგრამ დაიღუპა უიღურლუ მოჰამედი (იქვე, გვ. 134).

45. ჭ ა კ უ პ ო — აყუბი (იხ. შენ. 36).

46. დ ე ს პ ი ნ ა (კირა კატერინა). 1471 წ. გაშორდა უზუნ ჰასანის კარს და სომეხებით დასახლებულ ქალაქ ხარპუტში დასახლდა (Minor sky, La Perse au XVe siècle, p. 15). ბარბაროს გაღმოცემით, ის დაუკრძალავთ დიარბე-ქირის ქრისტიანულ ეკლესიაში.

47. ს ე კ ი ა დ ა რ ი, ალბათ, შეიხ ჰაიდარი.

48. იგულისხმება თურქმენული ტომების ორი გაერთიანება: აყ-ყოიუნლუ (თურბატკინანები) და ყარა-ყოიუნლუ (შავბატკინანები). მათ შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლა, რაც დასრულდა აყ-ყოიუნლუს გამარჯვებით. უზუნ ჰასანმა 1467 წლის 11 ნოემბერს დაამარცხა ყარა-ყოიუნლუს უკანასკნელი მბრძანებელი ჯეჰანშაჰი და მთელი ირანი გააერთიანა (Minor sky, დასახ. წაშრ., გვ. 13, И. П. Петрушевский, Государства Азербайджана XV века. «Сборник статей по истории Азербайджана», вып. I, Баку, 1949).

49. გველფებისა და გიბელინების პოლიტიკური მიმდინარეობანი XII—XV სს. იტალიაში. გველფები (უმეტესად სავაჭრო-ხელოსნური ფენები) გამოდიოდნენ იმპერიის წინააღმდეგ, გიბელინები (უმეტესად თავადაზნაურობა) მომხრენი იყვნენ იმპერიისა. სინამდვილეში ეს იყო სავაჭრო-ხელოსნური ფენების ბრძოლა თავადაზნაურობის წინააღმდეგ. XIV საუკუნეში ფლორენციაში და ზოგიერთ სხვა ქალაქში გველფები გაიყვნენ ორ ნაწილად—შაეუბად და თეთრებად. „შაეუბი“ აერთიანებდნენ თავადაზნაურობას, „თეთრები“—მდიდარ მოქალაქეებს. (B. H. P у т е н б у р г, Народные движения в городах Италии. XIV—нач. XV вв., М.—Т., 1958, с. 145—146).

50. ის მ ა ი ლ — სეფიანთა ირანის შაჰი ისმაილ I (1502—1524). (ერცლად Enziklopaedie des Islam. B. II, Leiden—Leipzig, 1927, S. 582—533).

51. ა ლ ა მ უ რ — აყ-ყოიუნლუს სულთანი ალვენდი. ალვენდის და ისპაილის ბრძოლის შესახებ იხ. ე. მ ა მ ი ს თ ე ა ლ ი შ ვ ი ლ ი, იტალიელ მოვზაურთა ცნობები XVI საუკუნის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ გვ. 149—152.

52. ა ლ ე ს ა ნ დ რ ო ბ ე კ ი — კახეთის მეფე ალექსანდრე I (1476—1511).

53. გ ო რ გ უ რ ა ბ ე კ ი. იხ. შენ. 6.

54. მ ი რ ა ბ ე ტ ი. ალბათ, ქართლის სამეფო კარის რომელიმე წარმომადგენელი იგულისხმება.

55. 1502 წელს იამსილმა აიღო თავრიზი. იგი ირანის შაჰინ-შაჰად გამოცხადდა. 1502 წ. ითვლება ყიზილბაშთა სახელმწიფოს დარსების წლად (И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ. გვ. 233).

56. ბ ე რ ბ ე ნ ტ ო — დარუბანდი. შეის ჰაიდარი. შაჰ ისმაილის მამა, დაიღუპა 1487 წელს ტაბარსარანთან დარუბანდის მახლობლად (Б и д л и с и, დასახ. ნაშრ., გვ. 140, 145, 255, 288).

57. ა ლ ი ნ ჭ ა ყ ა ლ — ქართულ ისტორიოგრაფიაში ყარვად ცნობილი აღინქას ციხე.

58. აღინჭა რომ საიმედო თავშესაფარსა და ვანძის შესანახ ალვილს წარმოადგენდა, ამაზე მოგვითხრობს იოჰან შილტბერგერი (ე. მამისთვალისშვილი, იოჰან შილტბერგერის ცნობები საქართველოს შესახებ. „თბილისის უნივერსიტეტის ასპლგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები“, I, თბ., 1971, გვ. 169—170). ამას აღნიშნავენ სპარსულენოვანი ავტორებიც (Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды. Извлечения из персидских сочинений собранные В. Г. Тизенгаузеном и обработанные А. А. Ромаскевичем и С. А. Воллиным, II, М. — Л., 1941, с. 94).

59. ს ო ღ ი — ა ე ფ ე ე ე ი ე, დერვიშული ორდენი ირანში. იგი დააარსა XIII საუკუნის ბოლოს შეიხ სეიფ ად-დინ ისხაკანა ქ. არღეზილში (О. А. Эфендиев, Образование азербайджанского государства сефевидов в начале XVI в., Баку, 1961).

60. აქ ქრონოლოგიური უზუსტობაა. ზემოთ ვთქვით. რომ შაჰ ისმაილმა აღვანდის დამარცხების შემდეგ აიღო თავრიზი. რაც მოხდა 1502 წ. (იხ. შვს. 66). მაშასადამე, აღვანდის მემკვიდრესთან ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1502 წლის შემდეგ და არა 1499 წელს.

61. ლ ა ი — იხ. შვს. 27.

62. ა რ ტ ა მ ა ტ — ძველი სომხეთის დედაქალაქი ერთ დროს.

63. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შაჰ ისმაილმა ჩაღღარაგან ეელზე მარცხის შემდეგ გაქცევით უშველა თავს.

64. კ ა ზ ე რ ი ა — კაზერუნი. ქალაქი წარანში.

65. ქართველთა რაზმების ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედებისა და იმის შესახებ, თუ რომელ სამეფო-სამთავროს ეკუთვნოდნენ ისინი, იხ. ე. მამისთვალისშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობა, გვ. 156—156.

66. ისმაილის ჯარს ქართველთა დიდი რაზმიც შეუერთდა (La vita di Sach Jsmael et di Tamas re di Persia .. di Theodoro Spandugino «Historia universale del origine et imperio de Turchi; raccolta da M. Francesco Sansovino», Venezia, 1568, p. 400).

67. ა ლ ა დ უ ლ ი. ალბათ, იგულისხმება მარაშის გამკეხელი ალადადულ-ზულჯადრი (Б и д л и с и, დასახ. ნაშრ., გვ. 164).

68. ანჯოლელის გადმოცემით, ქართველებმა „დაპატებით იყისრეს ვალდებულება, რომ ისმაილს ყოველთვის მისცემდნენ იმდენ ჯარს, რამდენსაც შეძლებდნენ, როცა შაჰი მოისურვებდა სელიმის წინააღმდეგ [საომრად] წასვლას“ (იხ. აქვე, ანჯოლელი, გვ. 134).

## ჯოსაფატ ბარბარო

ბარბარო დაიბადა 1413 წ. ვენეციაში. მან ადრიდანვე მოჰკიდა ხელი სავაჭრო საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით იგი წავიდა აღმოსავლეთში და მხოლოდ 16 წლის შემდეგ (1451 წ.) დაბრუნდა სანშობლოში. 1460 წ. ბარბარო დაინიშნა ვენეციის ფაქტორიატანას კონსულად, მაგრამ მან უარი განაცხადა ამ მოვალეობის შესრულებაზე. 1463—1465 წლებში ბარბარო რესპუბლიკის რეზიდენტად იყო დალმაციაში. ალბანეთში ინსპექტორად ყოფნის დროს, მან სახელი გაითქვა სხვადასხვა ბრძოლებში სკანდერბეგის (გიორგი კასტრიოტი, 1405—1468), ალბანელი ხალხის ოსმალეთის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურის, გვერდით.

1473 წ. ბარბარო გაიგზავნა ვენეციის რესპუბლიკის ელჩად აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში.

ბარბარო ვენეციიდან გავიდა იმავე წლის თებერვალში, მივიდა კვიპროსზე და მონაწილეობა მიიღო ადმირალ მოჩენიგოს ფლოტის სამხედრო ოპერაციებში, რომელიც წარმოებდა ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ყარამანიის დასახმარებლად. ბარბარო მხოლოდ 1474 წლის აგვისტოში მივიდა თავრიზში.

1477 წ. ბარბარო ვენეციაში გაიწვიეს. ამის შემდეგაც იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ვენეციის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სიცოცხლის ბოლო წლებში სიკვდილამდე იყო ვენეციის სენატის წევრი. ამავე დროს იგი დოჟის ანტონიო ბარბარიგოს მრჩეველადაც ითვლებოდა. ბარბარო გარდაიცვალა 1494 წელს<sup>1</sup>.

ჯოსაფატ ბარბარომ დაგვიტოვა თავისი ხანგრძლივი მოგზა-

<sup>1</sup> ბარბაროს შესახებ ბიოგრაფული ცნობები იხ. «Nuovo Archivio Veneto». Nuovo serie anno XIV, t. XXVIII, parte I. Venezia, 1914; М. И. -П о - л и е в к т о в, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, с. 79—81.

ურობის აღწერა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში<sup>2</sup> აღწერილია მისი მოგზაურობა 1436—1451 წლებში კავკასიაში, სამხრეთ რუსეთში, ყირიმში და სპ. მასში მოცემულია სხვადასხვა ხალხების ზნე-ჩვეულებებისა და საქმიანობის აღწერა. გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ აღწერასთან ერთად ზარბარო უხვად იძლევა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ცნობებსაც.

ზარბაროს „მოგზაურობიდან“ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ცნობები საქართველოს შესახებ, ნათი კრიტიკულად განიხილვის შემდეგ გარკვეული წარმოდგენა შეიძლება ვაქონიოთ XV ს. საქართველოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ზარბარომ თავისი თხზულების მეორე ნაწილ<sup>3</sup> ძირითადად სპარსეთში მოგზაურობას მიუძღვნა. მასში აღწერილია ზარბაროს მიერ მრავალი წლის განმავლობაში შეჩინებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები. რომლებიც მიმდინარეობდა მისი იქ ყოფნის დროს. დიდ ყურადღებას იმსახურებს ის ცნობები, რომლებიც XV ს. მეორე ნახევრის საქართველოსა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ურთიერთობას ასახავს.

ზარბაროს „მოგზაურობა“ პირველად დაიბეჭდა 1541 წ. ვენეციელი მანუციოს კრებულში<sup>4</sup>. იგი მეორედ და მესამედ გამოიცა 1543 და 1545 წლებში<sup>5</sup>. მასში შევიდა მხოლოდ ორი ავტორის — ზარბაროს და კონტარინის „მოგზაურობები“. იმავე წლებში ზარბაროს „მოგზაურობა“ ცალკე გამოიცა. იგი შეტანილია რამუზიანის კრებულის მეორე ტომის ყველა გამოცემაში.

ზარბაროს „მოგზაურობა“ 1606 წ. ლათინურად თარგმნა ია-

---

<sup>2</sup> Viaggio d. M. Josafa Barbaro alla Tana.

<sup>3</sup> Viaggio di M. Josafa Barbaro nella Persia.

<sup>4</sup> Viaggi fatti da Venetia alla Tana, in Persia. in India et in Constantinopoli. «Raccolta di Viaggi pubblicata da Antonio Manuzio». Venetia, Figli-voli di Aldo, 1541.

<sup>5</sup> ზარბაროს „მოგზაურობის“ სათაურია: Viaggio di Giosafat Barbaro ambasciatore di Venetia alla Tana et in Persia. 1545 წლის გამოცემაში კი შესულია შემდეგი სათაურით: Josafa Barbaro gentil-huomo veneziano; il qual fece due Viaggi, l'uno alla Tana, et l'altro in Persia, ne' quali son descritti i nomi di molte citta della Persia, con la guerra che Ussuncassan face con Pancratio Re di Zorzania, p. 3—58.

კობ ჰაიდერ პეროლცკერგერმა<sup>6</sup>. ეს თარგმანი არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული<sup>7</sup>.

„მოგზაურობის“ ფრაგმენტები რუსულ ენაზე პირველად თარგმნა 1828 წ.<sup>8</sup> ხოლო 1831 წ. გამოქვეყნდა „მოგზაურობის“ პირველი ნაწილის თარგმანი, რომელიც შეასრულა პ. პ. სეინინმა<sup>9</sup>. ხუთი წლის შემდეგ (1836 წ.) იგივე ნაწილი ხელახლა თარგმნა ვ. სემიონოვმა<sup>10</sup>. ამ უკანასკნელ თარგმანთან (გვ. 6—65) ერთად მოცემულია იტალიური ტექსტიც (გვ. 67—99). მას დართული აქვს ნაწილის 1543 წლისა და რამუზიოს გამოცემებს შორის ტექსტუალური განსხვავებანი (გვ. 101—105) და მრავალრიცხოვანი კომენტარები (გვ. 109—156).

ბარბაროს „მოგზაურობის“ პირველი ნაწილის უახლესი თარგმანი რუსულ ენაზე ეკუთვნის ე. ჩ. სკრუინსკაიას<sup>11</sup>, რომელმაც ისარგებლა ვენეციის წმ. მარკოზის მუზეუმში დაცული უძველესი ხელნაწერით.

ბარბაროს და კონტარინის „მოგზაურობების“ ის ადგილები, რომლებიც საქართველოს ეხება, იტალიურიდან ქართულად თარგმნა ალ. ჭყონიამ<sup>12</sup>. ამ თარგმანს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ალ. ჭყონიამ როგორც ჩანს, ისარგებლა რუსული გამოცემით. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: მის მიერ შესრულებულ თარგმანში ნაოლოდ ის ადგილებია მოყვანილი, რომლებიც რუსულ თარგმანშია. ალ. ჭყონიას რომ ხელთ ჰქონოდა სხვა რომელიმე გამოცემაც. მაშინ „მოგზაურობის“ იმ ადგილებსაც თარ-

<sup>6</sup> კრებულში: „*Scriptoribus rerum Persicarum historia*“, Francofurt. 1606.

<sup>7</sup> Ф. П. Аделунг, Критико-литературное обозрение путешествеников по России до 1700 года и их сочинении. Перевод с немецкого А. Клевенова, ч. I, М., 1864, с. 34; Полневкова, დასახ., ნაშრ. გვ. 81.

<sup>8</sup> «Русский Зритель», ч. I, 1828.

<sup>9</sup> «Сын отечества и Северный архив». Журнал литературы, политики и современной истории, издаваемой Николаем Гречем и Фадеем Булгаринным. т. 24, СПб., 1831, с. 212—229, 343—355, 405—421.

<sup>10</sup> «Библиотека иностранных писателей о России», отд. I, т. I, изданием М. Калпстатова, трудами В. Семенова, СПб, 1836, მოგზაურობის ის ნაწილი, რომელიც რუსეთს არ ეხება, განზრახ არაა შეტანილი, ის. იქვე რედაქტორის შენიშვნა, გვ. 4.

<sup>11</sup> Барбаро и Контарини о России. К истории итало-русских связей в XV в. Вступительные статьи, подготовка текста, перевод и комментарии Е. Ч. Скрожинской, Л., 1971.

<sup>12</sup> იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში. 1. იოსაფა ბარბარო; 2. ამბროზიო კონტარინი. ჟურნ. „მოამბე“, 1892, XI, გვ. 45—61.



გმნიდა, რომლებშიც მოცემულია ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ რუსულ თარგმანში გამოტოვებულია. რუსული ტექსტით სარგებლობაზე მიუთითებს ისიც, რომ ორბინალის ზოგიერთი ადგილის მცდარი გაგება ემთხვევა რუსული გამოცემის შესაბამისი ადგილების გაგებას. ამის შესახებ შენიშვნებში იქნება მითითებული.

## კეთილშობილი ვენეციელის, ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში და სპარსეთში

ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში

### თ ა ვ ი 10

კრემუხთა ქვეყანა. მისი ბატონის, მოსახლეობის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ. სხვადასხვა ქვეყნები: მეგრელთა ქვეყნის, მისი მთავრის ამ ქვეყნის ბუნებისა და ხალხის შესახებ. რას ნიშნავს ტეტარი. კაფას კუნძულის შესახებ.

თუ ტანადან<sup>1</sup> გავყვებით აღნიშნული ზღვის<sup>2</sup> სანაპიროს, სანაპიროდან [ხმელეთის] სიღრმეში სამი დღის მგზავრობის შემდეგ შეხვდებით კრემუხთა ქვეყანას<sup>3</sup>. მის ბატონს ჰქვია ბიბერდი, რაც ნიშნავს „ღვთისაგან ბოძებულს“. ის იყო ვაჟიშვილი კერტიბეისა, რაც ნიშნავს „ქეშმარიტ ბატონს“. მის ხელქვეით არის მრავალი სოფელი, რომელთაც საჭიროებისდა მიხედვით შეუძლიათ გამოიყვანონ ორი ათასი ცხენოსანი. იქ არის მშვენიერი ველები, მრავალი მდინარე. ამ ქვეყნის დიდებულები იმით ცხოვრობენ, რომ დაეხეტებიან ველზე და ძარცვავენ განსაკუთრებით ქარავნებს, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. ჰყავთ შესანიშნავი ცხენები. თვითონ სხელით ძლიერნი და ზნით ცბიერნი არიან, ჩვენნაირი სახე აქვთ. ამ ქვეყანაში ბევრია პურა, ასევე ხორცი და თაფლი, მაგრამ არ არის ღვინო. ამ ხალხის შემდეგ არის ქვეყნები, რომლებიც დასახლებულია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებით, თუმცა ისინი არც თუ დიდად არიან დაშორებულნი ერთიმეორისაგან. ესენი არიან: კიპკე, ტატარკოზია, სობაი, კევერტეი, ას, ანუ ალანები<sup>4</sup>, რომლებზეც ზემოთ უკვე

ვილაპარაკეთ. ისინი 12 დღის საჯალზე არიან განლაგებულნი და საქმეგრელოს საზღვრებამდე აღწევენ<sup>5</sup>.

ეს სამეგრელო ესაზღვრება კაიტაყებს<sup>6</sup>, რომლებიც კასპის მთის მახლობლად ცხოვრობენ, შავ ზღვას და მთაგრეხილს, რომელიც ჩერქეზეთამდეა გადაჭიმული. იგი ნაწილია საქართველოსი. ერთი მხრიდან სამეგრელოს აქვს მდინარე ფასო<sup>7</sup>, რომელიც მას უელის და ჩაედინება შავ ზღვაში.

ამ ქვეყნის მმართველს ჰქვია ბენდიანი<sup>8</sup>. მას წყნებულ ზღვასთან აქვს ორი ციხე-სიმაგრე, ერთს ჰქვია ვატი<sup>9</sup> და მეორეს — საეასტოპოლი<sup>10</sup>. ამათ გარდა, კიდევ აქვს სხვა მრავალი კოშკი და გამაგრებული ადგილი. ქვეყანა ქვიანი და უნაყოფოა. არა აქვს პურის სხვა სახეობა, გარდა ფეტვისა. მარალი მოაქვთ კაფადან. ქსოვენ ცუდი [ბარისხის] მცირეოდენ ტილოს.

„ტეტარი“ [მეგრულად] ფულს ნიშნავს, რაც უნდა ვაქვია, რომ „ტეტარი“ საკუთრივ „თეთრს“ ნიშნავს და ამ ფერის სახელწოდებაში იგულისხმება ვერცხლის ფული. რომელიც თეთრი ფერისაა. ბერძნები ეხლაც ამბობენ „ასპირის“, რაც ნიშნავს „თეთრს“; თურქები „აკჩას“, რაც ასევე ნიშნავს „თეთრს“; ჩაღათაელები<sup>11</sup> „თანგას“, რომელიც ასევე „თეთრს“ ნიშნავს; ენეციაში ერთ დროს ჭრიდნენ და ახლაც ჭრიან ფულს, რომელსაც ჰქვია „ბიანკები“. ესპანეთში ახლაც არის მონეტები, რომლებსაც ჰქვიათ „ბიანკები“. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ რამდენი ფერი არის, თითოეული თავის ენაზე ერთსა და იმავე საგანს ერთი და იმავე სახელით აღნიშნავს. თავდაპირველად, როცა ტანაში ებრუნდებით, იმ ადგილას, სადაც, როგორც ზემოთ ვაქვით, წინათ აღანია<sup>12</sup> იყო, გადადვივართ მდინარეზე და ბელმარჯენივ ნიუვეებით ზაბაკეს<sup>13</sup> ზღვის სანაპიროს და მივდივართ კაფას კუნძულამდე. აქ ვხვდებით ხმელეთის ზოლს. რომელიც გადაჭიმულია კუნძულსა და მატერიკს შორის მორეეს ყელივით და ჰქვია ძუკალა. აქ უზარმაზარი მარილის ტბებია, რომლებიც უშუალოდ იქვე ცოვდება. როცა აღნიშნულ კუნძულს გაჰყვები, ყველაზე ადრე ზაბაკეს ზღვის ნაპირას არის კუმანია<sup>15</sup>, რომელმაც სახელწოდება მიიღო კუმანთა ტომებისაგან. შემდეგ არის კუნძულის დასაწყისი, სადაც მდებარეობს კაფა. იქ იყო გაზარია<sup>16</sup>. თუმცა პიკოს, ე. ი. წყრთას, რომლითაც დღესაც ზომავენ ტანაში, მთელ ამ მხარეში ეძახიან გაზარიულ პიკოს<sup>17</sup>.

ქალაქი ყაზანი. მოქსების, მათი რელიგიის და საყვების შესახებ. ქალაქ ნოვგოროდის შესახებ. ტროკის და ლონინის ციხეები. ქალაქი ვარსონაიკი. ქალაქ მერსანგას და ბრანდენბურგის შესახებ. საქართველოს მეფის, იმ ქვეყნის ნაყოფიერების, [ხალხის] ზნე-ჩვეულებისა და ტანსაცმლის შესახებ. ქალაქი თბილისი.

უკვე, ალბათ, 25 წელი გავადა მას შემდეგ, რაც რუსები თათართა ხანის სამფლობელოებში გავლისათვის ხარკს იხდიდნენ<sup>18</sup>. ანუამად თვითონ დაიმორჩილეს ქალაქი ყაზანი<sup>19</sup>, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს ქვავს. იგი მდებარეობს მოსკოვიდან 5 დღის სავალზე, მდინარე ედილის<sup>20</sup> მარცხენა ნაპირზე, რომელიც ბაკუს ზღვას ერთვის. ეს სავაჭრო ქალაქია აქედან გააქვთ ბუნებრივი მოსკოვში<sup>21</sup>, პოლონეთში, პრუსიასა და ფლანდრიაში<sup>22</sup>. ბუნებრივად იღვებენ ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ჩალატაის და მოქსიას<sup>23</sup> ქვეყნებიდან. ჩრდილოეთის ამ ქვეყნებს ფლობდნენ ტარტარები. რომლებაც მეტწილად წარმართები არიან, ისევე, როგორც მოქსები. რამდენაღმე გარკვეული ვარ მოქაეზის ურნობაში. ამიტომ მოვყვები ყველაფერს, რაც ვიცი მათს რწმენასა და ცხოვრებაზე: წლის გარკვეულ დროს ისინი წაიყვანენ ერთობლივად შეძენილ ცხენს, მიუბამენ ოთხივე ფეხს. სარზე. თავსაც ასევე ჩიუბამენ ცალკე სარზე. ყველა სარი ნიწაშოა ჩასმული. როცა ამის გავეთებას მორჩებიან, მოვა მშვილდითა და ისრით შეიარაღებული კაცი, დადგება შესაფერის მანძილზე და ნანამოე ესპრის გულში. სანამ ცხენი არ მოკვდება. შემდეგ გაატყავებენ; ტყავისაგან გააკეთებენ ტომარას, ხოლო ხორცზე შეასრულებენ თავიანთ ცერემონიას და შექამენ, ტყავს მზიდროდ გატენიან თივით და ისე ოსტატურად გაკვრავენ. რომ მთლიანს ჰგავს. თითოეული ფეხის მაგიერ შეუყენებენ სწორ ტელაქებს რეთნაირად, რომ ცხენის [ფიტულმა] ფეხზე დგომა შეძლოს, ისე როგორც ცოცხალმა. ბოლოს ისინი მივლენ ერთ რომელიმე დიდ ტესთან, შესაფერისად შეაქრან ტოტებს და ზემოდან გააკეთებენ ფიცარნავს. რომელზეც ფეხზე დაყენებულს დაუგანენ იმ ცხენს. ასეთი სახით სცემენ მას თავყანს და სწორავენ სახამურის, ყაყუნის, ცოყვის, მელიის ტყავებს. ყველაფერ ამას დაჰკიდებენ ზეზე ჩვენ შიერ დაყენებულა სანთლების მსგავსად. ამგვარად, ეს

ხეები მთლად ტყავებით არის დაფარული. ხალხი ყველაზე მეტად იცემა ხორცი, უმთავრესად გარეული ცხოველების ხორცი და თევზით, რომელსაც აქაურ მდინარეებში იჭერენ. [ყველაფერი] ვთქვით მოქსების შესახებ. თათრების შესახებ სხვა არაფერია სათქმელი, გარდა იმისა, რომ მათ შორის არიან წარმართები, თაყვანს სცემენ კერპებს, რომლებიც თავიანთი ოთხთვალეებით დააქვთ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ჩვეულებად აქვთ ყოველ დღე თაყვანი სცენ რომელიმე ცხოველს, რომელიც ნებუნდნათ პირველად სახლიდან გამოსვლის შემდეგ. [მოსკოვის] დიდმა მთავარმა დაიმორჩილა ნოვგოროდი, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს ცხრა კოშკს. ეს უზარმაზარი ქალაქი მოსკოვიდან დაშორებულია 8 დღის სავალზე, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. წინაა მას ხალხი განაგებდა. ადამიანები ცხოვრობდნენ ყოველგვარი კანონმდებლობის გარეშე. მათ შორის მრავლად იყვნენ ერეტკოვლები. ისინი ამჟამად თანდათანობით გადადიან კათოლიკურ რწმენაზე<sup>24</sup>; თუმცა ზოგსა სწანს, ზოგს არა, მაგრამ კანონმდებლობით ცხოვრობენ და აქვთ სასამართლო წარმოება. მოსკოვიდან თუ პოლონეთისაკენ გაემგზავრებით, მაშინ პოლონეთში მისასვლელად საჭიროა 22 დღე. პირველი ადგილი, რომელიც აქ შეგხვდებათ, ეს არის ტროკის ციხე. მოსკოვიდან ისე ვერ მიხვალთ იქ, თუ არ გაივლით ტყეებსა და ბორცვებს. ეს არის თითქმის უდაბური მხარე. მართალია, გზაში ზოგან, სადაც ჩვენზე წინ იყვნენ გაჩერებულნი [ემგზავრები] გვხვდება კოკონის ნაკვალევი. მოგზაურებს ასეთ ადგილებში შეუძლიათ დაისვენონ და ცეცხლი გააჩაღონ. მართალია, ძალიან იშვიათად მაგრამ მოშორებით არის რომელიღაც პატარა სოფლები. ტროკიდან გასვლის შემდეგ სულ უფრო ნაკლებად გვხვდება ტყეები და ბორცვები. სამაგიეროდ, გვხვდება რომელიღაც სოფლები. ტროკიდან 9 დღის სავალზე არის ციხე. რომელსაც ჰქვია ლონინი. შემდეგ შედიან ლიტვაში. სადაც შეიძლება ნახვა რამდენიმე წვრილფეხა თვადის, რომლებიც პოლონეთის მეფე კაზიმირის<sup>25</sup> ქვეშევრდომნი არიან. იქვე ნახავთ ქალაქ ვარსონიკს. ეს ნაყოფიერი მხარეა, მრავლადაა ციხეები და სოფლები, მაგრამ არც თუ ძალიან მნიშვნელოვანი. ტროკიდან პოლონეთამდე<sup>26</sup> 7 დღის სავალია. ეს მხარე კარგი და ლამაზია. შემდეგ არის ძალიან კარგი ქალაქი მერსაგა<sup>27</sup>. აქ მთავრდება პოლონეთი. მისი ციხეებისა და ქალაქების შესახებ მეტს აღარაფერს ვიტყვი. რადგან არაფერი არ ვიცი მათს შესახებ. მხოლოდ ვიტყვი, რომ მეფე ვაჟიშვილებითა და მთელი სახლობით ღრმად მო-

წინე ქრტიანია და რომ მისი უფროსი ვაჟი ამჟამად ბოქემის მეფეა<sup>28</sup>. პოლონიიდან გასვლის შემდეგ შევხვდებით ფრანკფურტს, ბრანდბურგის მარკიზას ქალაქს და შევდივართ ალემანიაში<sup>29</sup>. მის შესახებ არაფერს ვიტყვი, რამდენადაც ეს ადგილი ნაცნობი და ცნობილია მრავალთათვის. ახლა დაგვრჩა ცოტაოდენი რაჟ ვაჟვართ საქართველოს შესახებ<sup>30</sup>, რომელიც მდებარეობს სანჩინა-ალმდეგო მხარეს იმ ადგილებსა, რომელთა შესახებ ცოტა ხნის წინათ ითქვა. იგი ესაზღვრება სამეგრელოს. ამ ქვეყნის მეფეს ბაგრატის<sup>31</sup> ჰქვია. მას აქვს ქვეყანა მშვენიერი და მდიდარი პურით, ღვინით, ხორციით, შვრიით და სხვა მრავალი ნაყოფით. ვახს უმეტესად ხეზე უშვებენ, როგორც ტრაპიზონში. ხალხი ლაშაზი და ახოვანია, მაგრამ უცნაური ზნე-ჩვეულებანი აქვთ. თმას იკრეპენ ან იპარსავენ ისე, რომ ირგვლივ იტოვებენ მცირეოდენ თმას<sup>32</sup>, მსგავსად ჩვენი აბატებისა, რომლებსაც კარგი შემოსავალი აქვთ. ატარებენ ულვაშებს, რომლის ბეწვებს წვერზე დაბლა იზრდიან მკლავის ერთი მეოთხედის სიგრძეზე<sup>33</sup>. თავზე ატარებენ სხვადასხვა ფერის ქუდეებს, რომელსაც წვერში ჯილა აქვს<sup>34</sup>. ტანთ აცვიან ძალიან გრძელი, მაგრამ ვიწრო და საჯდომამდე გახსნილი ქურთუვი. იმიტომ რომ სხვანაირად ვერ შეძლებენ ცხეხზე ჯდომას. ამის გამო მე მათ ვერ გავკიცხავ რადგან მინახავს, რომ ფრანგები ახლაც ხმარობენ [მსგავს ქურთუკებს]; ფეხზე მუხლებამდე აცვიან წალები, რომლებსაც ძირი ისე აქვთ გამოკრული, რომ, როცა ფეხზე დგანან, ფეხის წვერი და ქუსლი მიწას ეხება, შუაში კი მიწიდან ისე მაღლა აწეული, რომ ტკენის გარეშე შეიძლება ტერფის ქვეშ მუშტის გატარება. იმიტომ ხდება, რომ, როცა დადიან, სიარული უჭირთ. მე მათ გავკიცხავდი ამის გამო, რომ არ მცოდნოდა, რომ სპარსელებიც ხმარობენ [ასეთ წალებს]. რაც შეეხება მათს საჭმელს [თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით], რაც მე ვნახე ერთი თავადის სახლში, შეეპყვიან ასე: მათ აქვთ განსაკუთრებულ ოთხკუთხა მაგილები, დაახლოებით ნახევარი წყრთის [სიგანისა], ირგვლივ დაღარული კიდეებით. მის შუაში დებენ უციხიმო და უმარილო ფეტვის ფაფას დიდი რაოდენობით, რომელიც წვნიანის მაგივრობას სწევს. მეორე ასეთსავე მაგიდაზე აწყობენ გარეული ტახის ხორცს, ისე ცუდად შემწვარს, რომ როცა ჰკრიდნენ სისხლი სდიოდა. ისინი დიდი სიამოვნებით მიირთმეოდნენ. მე არ შემეძლო გემოთი გასინჯავც კი და თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს იმ ფაფას ვკამდი. ღვინო უხვად იყო და განუწყვეტლივ

დაქონდათ [მაგიდის] ირგვლივ. სხვა სახის საქმელი არ გქონ-  
ნია. ამ მხარეში მალალი მთები და ბევრი ტყეებია. არის ქალაქი  
თბილისი<sup>35</sup>, რომლის წინ მიედინება მდინარე ტიგრა<sup>36</sup>. ეს კარგი  
ქალაქია, მაგრამ ნაკლებადაა დასახლებული. არის აგრეთვე ციხე,  
რომელსაც გორი ჰქვია. იგი მდაბარეობს შავი ზღვის პირას<sup>37</sup>.

## ბატონ ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა სპარსეთში

თ ა ვ ი 25

ქალაქ შამახას და მისი ბატონის, დარუბანდის, რო-  
მელსაც თამირკაპიც ეწოდება, ამ [სახელწოდების] მი-  
ზეზებისა, ქალაქის მდებარეობისა და ყაიტაყებად წო-  
დებული ხალხის შესახებ.

როცა თავრიზიდან საბერძნეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთი-  
საკენ გაემგზავრებით. ჯერ გადაუხვევთ ჩრდილოეთისაკენ. ყვე-  
ლაფერს არ შევეხებით, რაც ამ გზაზე მდებარეობს, მოკლედ შე-  
ვეხებით მხოლოდ უმთავრესს, რადგან იქ არც ერთი მნიშვნელო-  
ვანი ქალაქი არ არის. მხოლოდ მოგახსენებთ, რომ [თავრიზიდან]  
თორნეტი დღის სავალზე მდებარეობს შამახია<sup>38</sup>. ეს ქალაქი ნე-  
დიანია, თეციკიას ქვეყანაში. მის ბატონს ჰქვია შარვანშა. ამ მხა-  
რეს საპირობის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყვანოს ათი ათა-  
სამდე ცხენოსანი. ხელმარცხნივ, ექვსი დღის სავალზე, იგი ესაზ-  
ღვრება ბაკუს ზღვას, ხელმარჯვნივ შავი ზღვის მხარეს—სამეგ-  
რელოს და ყაიტაყებს, რომლებიც კასპიის მთის მიდამოებში ცხოვ-  
რობენ. ეს [შამახია] კარგი ქალაქია. ოთხიდან ხუთი ათასამდე  
კომლი იქნება. გამოჰყავთ აბრეშუმის<sup>39</sup> და სხვა ნაწარმი. იქ თავი-  
ანთი წესის მიხედვით მუშაობენ აბრეშუმის, ბანბის და სხვა ხე-  
ლოსნები. არის დიდი სომხეთი<sup>40</sup>, რომელიც უმეტესად სომხებით  
არის დასახლებული. როცა იქიდან წახვალ, მიხვალ დარუბანდში.  
ეს ქალაქი ალექსანდრემ ააშენა. იგი მდებარეობს ბაკუს ზღვასთან,  
მთიდან ერთი მილის დაშორებით. მთაზე არის ციხე. საიდანაც  
ზღვისკენ მიდის ორმაგი კედელი და შედის წყალში, იმგვარად,  
რომ კედლები წყლიდან ორი ნაბიჯის სიმაღლეზეა აწოშვერილი.  
ქალაქიდან კიშკრამდე ნახევარი მილია. კედლები, რომაულის  
მსგავსად, დიდი ქვებითაა აგებული. დარუბანდი ჩვენს ენაზე ნიშ-

ნავს ვიწროს. ადგილობრივი მცხოვრებლები მას თამირკაპს ეძახიან, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს რკინის ქიშკარს<sup>41</sup>. მართლაც, ეს სახელი ძალიან შეეფერება, რადგან ეს ქალაქი მედიას<sup>42</sup> გამოჰყოფს ალბანიისაგან<sup>43</sup>, რომელიც ამჟამად თათრეთის ნაწილია, ასე, რომ როცა ვინმეს სურს წავადეს სპარსეთში<sup>44</sup>, თურქეთში<sup>45</sup>, სირიაში<sup>46</sup> და იმ ქვეყნებში, რომლებიც მისგან ჩრდილოეთით მდებარეობენ, უნდა შევიდეს ამ ქალაქის ერთ ქიშკარში და გავიდეს მეთორეში, რადგან სხვა ადგილებში გავლა შეუძლებელია. ამის მიზეზი ის არის, რომ ბაქუს ზღვიდან შავ ზღვამდე პირდაპირი გზით [ინევე როგორც ჰაერით] ხუთასი მილი იქნება. მაგრამ მთელი ეს მონაკვეთი დაფარულია მთებითა და ლარტაფებით, ზოგიერთი ადგილი დასახლებულია ვიღაც პატარ-პატარა მბრძანებლებით, რომელთა ტერიტორიაზე გავლას ვერავენ გაბედავს გაძარცვის შიშით. მაგრამ დიდი ნაწილი დაუსახლებელია. ამიტომ, თუ ვინმე გადაწყვეტს (აღნიშნული გზით არ წავიდეს), არ გაიაროს დარუბანდი, მან აუცილებლად უნდა გაიაროს ჯერ საქართველოში, შემდეგ სამეგრელოში, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე [შემდეგ მივა] ალვატის ციხე-სიმაგრემდე, რომელიც დგას უმაღლეს მთაგრეხილზე, სადაც ცხენით ასვლა შეუძლებელია და ფეხით უნდა ავიდეს კლდეზე. ასე რომ ასვლასა და ჩამოსვლას ორი დღე დასჭირდება<sup>47</sup>. შემდეგ იქნება ჩერქეზეთი, რომლის შესახებაც ზემოთ, პირველ ნაწილში ვილაპარაკეთ. ეს გზა გამოიყენება მხოლოდ იმ ხალხების მიერ, ვინც მეზობლად ცხოვრობენ..

## თ ა ვ ი 27

როგორ წავიდა უზუნ ჰასანი საქართველოს წინააღმდეგ, გაძარცვა მისი ზოგიერთი ადგილი, დაღო შავი იმ ქვეყნის მეფესთან და მეფე ყვარყვარესთან, რომელიც [საქართველოს] მეზობელია. თბილისი და გორი— საქართველოს ადგილები. სკანდა, ლორე.

აქამდე მოგიყევით ის, რაც იმ მხარეებს შეეხებოდა. მათი ერთი ნაწილის შესახებ [სხვებისაგან] გავიგე, მაგრამ დიდი ნაწილი საკუთარი თვალთ ვნახე. დავბრუნდი თავრიზში და მოგიტბრობთ იმის შესახებ, რაც გვაკეთე ბატონ უზუნ ჰასანთან ერთად. იგი გაემგზავრა თავროზიდან და ბრძანა ხმის გავრცელება [თითქოს],



სურდა ოტომანის<sup>18</sup> წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა იმ ნიშნების ნახედვით, რასაც ვხედავდი, მისი არ მჯეროდა. რამდენადაც შემძლო განმესაზღვრა [უზუნ ჰასანის ლაშქარი]. იქნებოდა 2000—24000-მდე ცხენოსანი, ოთხი ათასიდან ზუთი ათასამდე ქვეითი. ადამიანები, რომლებიც მოდიოდნენ ბანაკის დასაზღვრებლად, დაახლოებით—ექვსი ათასი. ქალები ბავშვები და მსახურები, სხვა რომ არ ვთქვა, საკრაოზე მეტი. ამგვარად, ვიარეთ 'შეიდი' დღე. შემდეგ შევბრუნდით ხელმარჯვნივ, წინააღმდეგ საქართველოსი. [რომელიც მდებარეობს] შავი ზღვის პირას. საქართველოში შევიჭერთ, რადგან მისი გაძარცვის სურვილი ჰქონდა მბრძანებელს. მან, თავისი ჩვეულების თანახმად, წინ გაგზავნა მარბოლნი, 5 ათასამდე ცხენოსანი. ისინი, რადგან გასავლელი გეგონდა დიდი მთები და უზარმაზარი ტყეები, წინ ყველაფერს აეთენდნენ. რაც შეეძლოთ: ქრიდნენ და წვადნენ ტყეებს. ჩვენ შორიდან ვაედავდით ცეცხლს და ვიგებდით, რომელი გზით უნდა წავსულიყავით. ამგვარად, გზა გამზადებული გვხვდებოდა. საქართველოს შიგნით ორი დღის სიარულის შემდეგ. მივედით თბილისში. არა მხოლოდ [თბილისი]. არამედ იქიდან მოყოლებული. მთელი ეს მხარე მიტოვებული იყო და წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლეთ. შემდეგ წავედით უფრო ზევით გორისაკენ და სხვა ორგვლივ მდებარე ადგილებსაკენ. ყველა ისინი გაძარცული იყო. ასევე მიეპყრო [უზუნ ჰასანი] ქვეყნის უდიდეს ნაწილს ბატონი უზუნ ჰასანი შეუთანხმდა საქართველოს მეფე ბაგრატს და ყვარყვარეს. რომელიც ამ მეფეს ესაზღვრება, რომ მისთვის მიეცათ 16000 დუკატი<sup>19</sup> და, თბილისის გარდა, მთელ ქვეყანას დაუტოვებდა მათ. მეფე ბაგრატმა და ყვარყვარემ, უნდოდათ რა ამ ფულის გადახდა. გამოგზავნეს ოთხი ბალასი<sup>20</sup>, რომლებიც რიგაინები იყო, [მართალია] არც ისე დიდები და ისე ლამაზები. მაგრამ ისეთივე ხარისხიანი, როგორც ისინი. რომლებსაც ვენეციაში. სან მარკოსს<sup>21</sup> საკუთრებებელზე უჩვენებენ. როცა ბატონ უზუნ ჰასანს მიუტანეს ის ოთხი ბალასი. მან გამომოგზავნა [კაცი]. რათა მათ სანახავად [წავსულიყავი] და შემეფასებინა. ვიდრე მე ჰხენებულ მბრძანებელთან წავიდოდი. მეფე ბაგრატის და ყვარყვარეს ელჩებმა, რომლებმაც ბალასები ჩამოიტანეს, შემომითვალეს, რომ მე კარგად შემეფასებინა ბალასები, რადგან [ქართველები ჩემსავით] ქრისტიანები იყვნენ. მივედი თუ არა მბრძანებელთან [მან მაშინვე] მომიცა ის ბალასები. მე გულდასმით დავათვალიერე ერ-

თი [ბალასი]. ბატონმა უზუნ ჰასანმა მკითხა, რამდენი ეღირებაო. მე ვუპასუხე: „ბატონო, ეს ღირს 4000 დუკატი“. მან გაიცინა და თქვა: „შენს ქვეყანაში ძალიან ძვირი ღირებულა. არ მინდა ბალასები, ფული მინდა“. რაც დასახლებულ ადგილებში იმ დროს [ადამიანები] დაატყვევეს, ოთხიდან ხუთი ათასამდე სული იწმენბოდა. ადგილები, რომლებიც ჩვენ დავარბიეთ, მდებარეობდნენ გორგორას სამფლობელოებიდან ხელმარცხნივ: ქუთაისი<sup>52</sup>, ნეტე ზაგრაჯის ციხე-სიმაგრე, რომელსაც აქვს ქალაქი ერთ პატარა ბორცვზე. [მის] წინ [მიედინება] მდინარე, რომელსაც ჰქვია ფასო, ესლა ფაზისად წოდებული, რომელიც მიედინება საკმაოდ დიდი ქვის ხიდის ქვეშ და შავ ზღვას ერთვის; სკანდა<sup>53</sup> საკმაოდ ნტიკიე ციხე-სიმაგრე, გორიდან ოთხი დღის სავალზეა, რომელსაც საკმაოდ დიდი მდინარე ჩაუდის. შემდეგ გადავიარეთ შალალი მთა და დავბრუნდით უზუნ ჰასანს ქვეყანაში<sup>54</sup>, რომელიც დიდ სომხეთშია. [იქიდან] სამი დღის მანძილის დაშორებით აღმოვჩნდით ლორეს<sup>55</sup> ციხე-სიმაგრეში. იქიდან ოთხი დღის სიარულის შემდეგ მივადექით ნოეს მთას<sup>56</sup>, სადაც [ნოე] შეჩერდა წარღვრის წინდგე თავისი კიდობნით. იგი ძალიან მაღალი მთაა, მასთან არის დიდი დაბლობი, რომლის გავლას ორი დღე დასჭირდება. [მთა] ზამთარ-ზაფხულ მუდმივი თოვლითაა დაფარული. მას უერთდება მეორე უფრო პატარა მთა, რომელიც ასევე მუდმივი თოვლითაა დაფარული. ცოტა მოშორებით არის ციხე-სიმაგრე კატაი. რომლის მიდამოები დასახლებულია სომხებით. ისინი კათოლიკეები არიან. აქვთ მონასტრები. მათ შორის უმთავრესია ალენჯა. სადაც 50-მდე ბერია და სან ბენედიქტოს წესს ასრულებენ, წირვა-ლოცვაც თავიანთ ენაზეა. დასახლებული მონასტრის წინამძღვარი გარდაიცვალა ვენეციაში ჩემი დაბრუნების შემდეგ. [იმ მონასტრის] ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩამოვიდა ვენეციაში და მიიღეს სან ჯოვანის და პაოლოს [მონასტერში]. ის ჩემთან სახლში მოვიდა, რათა გამეწია რეკომენდაცია. [სურდა] მეშუამდგომლა ჩემი უბრწყინვალესი [ვენეციის] სინაორიის სახელით პაპის წინაშე, რადგან გარდაცვლილი წინამძღვრის ძმა იყო, ამიტომ აგი ეკუთხა აღნიშნული მონასტრის წინამძღვრად.

1. იტალიელთა კოლონია ტანა მდებარეობდა მდ. დონის მარცხენა სანაპიროზე დღევანდელი აზოვის (XIV—XV სს. არაბი და სპარსელი ისტორიკოსები აზაკს უწოდებდნენ) ადგილას; XIV—XV საუკუნეებში განთქმული იყო თავისი გაცხოველებული სავაჭრო საქმიანობით. ქალაქში პირველობისათვის დიდი ზნის განმავლობაში ერთმანეთს ებრძოდნენ ვენეციელი და გენუელი ვაჭრები. ტანადან გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები შუა აზიისა და ჩინეთისაკენ, საქართველოზე გავლით — ირანისა და არაბული ქვეყნებისაკენ. XIII—XIV საუკუნეებში ტანას კონტროლს უწევდნენ ოქროს ურდოს ყაენები, რომლებთანაც იტალიელი ვაჭრები სავაჭრო გარიგებებს დებდნენ. 1395 წ. ტანა აიღო თემურლენგის ლაშქარმა და სასტიკად განადგურა. მართალია, ამის შემდეგ კვლავ აღდგა ტანა, მაგრამ ყოფილი დრედა მას აღარ ჰქონდა. 1475 წლიდან ტანა ოსმალების ხელში გადავიდა და თანდათან შეწყვიტა არსებობა (F. Thiriet, *Régestes des deliberations du Sénat de Venise, concernant la Romanic*, vol. I—III, Paris, 1958—1961; W.-H e y d. *Geschichte des Levantehandels*, t. II, Stuttgart, 1879).

2. ივლისხმება შავი ზღვა.

3. აღწერიდან ჩანს, რომ კრემუხი მდებარეობდა მდ. ყუბანის დაბლობზე, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც დღეს აღილელები ცხოვრობენ.

4. ჩამოთვლილი ეთნიკური სახელწოდებანი მიგვანრჩენენ ჩრდ. კავკასიაში ოდითგანე მოსახლე ტომებზე, რომლებიც ერთმანეთის მახლობლად ცხოვრობდნენ და, როგორც ბარბარო წერს, ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე. (რუსულ თარგმანში ეს ადგილი სრულიად სხვანაირად არის გადმოცემული. იხ. СИПР, ს. 45; ხოლო ქართულში—გამოტოვებულია იხ. „მოამბე“, XI, 1892, გვ. 45).

5. ზემოაღნიშნული ტომები, ოსების გარდა, ჩერქეზებს უნდა წარმოადგენდნენ, რადგან ბარბარო, როდესაც იგი აღნიშნული ტომებით დასახლებული ტერიტორიების შესახებ ლაპარაკობს სხვა ადგილას, მას ჩერქეზეთს უწოდებს (R a m u s i o,- დასახ. ნაშრ., გვ. 109).

ჯორჯო ინტერიანოს მიხედვით, საქართველოს საზღვარი ჩერქეზებთან ვადიოდა ანგაქსიასთან (Angaxia—ანოგაზია, Anagasia უნდა იყოს, როგორც ბენიკაზას 1480 წლის რეკავჯა მოცემული. ან Avogaxia—ფრედუჩეს 1497 წ. რუკის მიხედვით), რომელიც ბიკვიინთის (Pezonda) ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, და, იმავე ინტერიანოს თქმით, კოლხეთის ნაწილს შეადგენდა (G. Intieriano, *La vita etsito de Zychi, chiamati Circassi. Historia nobile. Venezia, Aldus, 1502, p. 4).*

ბარბაროს ცნობიდან ერთი რამ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას. მის მიხედვით, ოსები, ანუ ალანები, XV ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს მეზობლები იყვნენ, მაშინ როცა XIV ს. დასასრულისათვის, უფრო ზუსტად. თემურლენგის პირველი შემოსევის დროს (1386), ისტორიკოს თომა მეწოფელის თქმით, ოსები და დვალები საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით იყვნენ მოქცეულნი (Ф о м а М е ц о п с к и и,- *История Тимур-Ленга, Баку, 1957, с. 58).*

6. ალ. ჭყონია, ითვალისწინებდა რა ყაიტალების დღევანდელი დასახლების ადგილს (დაღესტანში), ბარბაროს ამ ცნობას მცდარად მიიჩნევდა. (მოამბე“, გვ. 45, შენ. 2; იხ. აგრეთვე, თ. ბ ე რ ა ძ ე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, თბ., 1967, გვ. 175)-

ივ. ჯავახიშვილის კი, იმ შემთხვევაში, თუ სახელი დამახინჩებთ არ არის გადმოცე-  
მული. დასაშვებად მიჩნდა XV ს-ში ყაიტალები შედარებით დასავლეთით ყოფი-  
ლიყვნენ დასახლებულნი (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია,  
IV, თბილისი, 1967, გვ. 106). ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი საკსებით მისაღებია. რად-  
გან არც თუ ცოტა მაგალითი არსებობს ამა თუ იმ ხალხის მიერ თავისი დასახლების  
ადგილის შეცვლისა.

7. ფ ა ს ო. ფ ა ზ ი ს ი—თანამედროვე რიონი. იგი სამეგრელოს სამხრეთ  
სახლვარს წარმოადგენდა.

8. ბ ე ნ დ ი ა ნ ი—სამეგრელოს მთავარი ბედიანი. იგი ყვარყვარე II -სა და  
გიორგი VIII-ს (1446—1466) მიერ ევროპაში გაგზავნილ წერილში მეფის ტიტულთ  
არაა განდიდებული („ბენდია სამეგრელოს მეფე“ იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი,  
დასახ. ნაშრ., გვ. 58, 69). ბედიანი XV ს. 50—70-იან წლებში საქართველოს ერთ  
ერთ ძლიერი მთავართაგანი იყო. მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა ბედიის და-  
ცხუმის სერისთავოებზე. მას ემორჩილებოდა გურიაც. მთელ ამ პოლიტიკურ  
ერთეულს საბედიანო ეწოდებოდა (იხ. ძენო, შენ. 42).

საბედიანოს, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულის, არსებობას უარყოფს  
თ. ბერაძე (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ., 172—176).

9. ვ ა ტ ი. შუა საუკუნეების ევროპელ მოგზაურებთან სხვადასხვა სახელით  
აღნიშნებოდა ბათუმი, აი, რამდენი ფორმით გვხვდება XV ს-ის დასაწყისში ბ-  
თუმი შილტბერგერის თხზულებებში: Wathian, Loathon, Gathan, Bothan,  
koihan (ე. შ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, იოჰან შილტბერგერის ცნობები სა-  
ქართველოს შესახებ, გვ. 164—168). კონტარინთან კი შემდეგი სახელებია: Vali,  
Liati. Varti, ასევე მრავალფეროვანია ბათუმის აღნიშვნები XIV—XV სს-ის იტა-  
ლიურ რუკებზე: პიეტრო ვესკონტეს რუკაზე (1318 წ.)—Vati, ვენეციული ფრან-  
ჩესკო პიეტრანისაზე (1367 წ.)—Vary, ვატიოზო ბენიკაზასზე (1480 წ.)—ისევე  
Vati; ფრედრიქ ანკონელისაზე (1497 წ.)—Lovar, ხოლო XV ს-ის დასასრულის  
უცნობი ავტორის რუკაზე—Lovati.

10. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გენუელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქ-  
ტორია სევასტოპოლისი, ანუ ცხუმი იყო. იგი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე  
ერთ-ერთ მტკიცედ ნაგებ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და ამავე დროს იყო კავ-  
კასიის შავი ზღვიანი ქვეყნებისათვის უმნიშვნელოვანესი „საქონლის საწყობა“  
(Heyd, დასახ. ნაშრ., II, გვ. 695).

XIV ს-დან სევასტოპოლისში უკვე იყვნენ გენუის რესპუბლიკის კონსულები  
(F. Donaver, La storia della repubblica di Genova, Genova, 1913, p. 160).  
გენუის ანალებიდან (1424 წ.) ვგებულობთ, რომ სევასტოპოლისში, ისევე როგორც  
შავი ზღვის სხვა ფაქტორიებში, გენუის რესპუბლიკა ადვილობრივ მულობელთან  
შეთანხმებით ნიშნავდა კონსულს, გადამწერებს და სხვ. მოხელეებს (Annai della  
Repubblica di Genova, 1854, p. 304). აქვე იყო რომის კათოლიკური ეპისკოპოსის  
რეზიდენციაც, რაც ამ ქალაქის მნიშვნელობას კიდევ ზრდიდა. მაგრამ ყველაზე  
მთავარი მაინც ის იყო, რომ სევასტოპოლისი მრავალი საუკუნის მანძილზე კავკასიის  
შავი ზღვის სანაპიროზე თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო  
ვაკრობის ცენტრს წარმოადგენდა («Nuovo Archivio Veneto». Nuova serie—anno  
XIV, t. XXVIII, p. I, Venezia, 1914, p. 13). „ამ მთავრდებოდა ძველი საეპრო-  
გზა, რომელიც კავკასიის ველით ტებერდას დაბლობისა და ზემო ყუბანისაკენ მი-  
ემართებოდა. იგი შავი ზღვის სანაპიროს ცენტრალური კავკასიის მთის მოსახლეო-

ბასთან აკავშირებდა: აქვე იწყებოდა რ ი ო ნ შ ი (ფაზისი), იმერეთსა და გურიაში მიმავალი გზა. რომელსაც ხშირად ეწეოდნენ ხოლმე გენუელი ვაჭრები (A. B. Ф а д е с в. Краткий очерк истории Абхазии, Сухуми, 1934, с. 110).

სევასტოპოლისში გაცხოველებულ საეპრო ურთიერთობაზე მიუთითებს 1449 წ. შავი ზღვის ფაქტორებისათვის გენუაში მიღებული დადგენილება. ამ დადგენილებაში ჩანს მისი კონსულის უფლებები შემოზიდულ და გაზიდულ საქონელზე ღირებულებას ერთი პროცენტის გადახდევინების შესახებ, რაც თავისთავად ამ ქალაქის საეპრო მნიშვნელობაზე მეტყველებს (ЗООИД, т. X, Одесса 1863, с. 809).

სევასტოპოლისზე ბედიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ბარბარო. ასეთ ვითარებაში ბედიანს ქალაქის გაცხოველებული ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალზე გარკვეული პრეტენზიაც ექნებოდა, საფიქრებელია, რომ ამის გამო ხდებოდა ბედიანსა და კოლონისტ ხელისუფალთ შორის კონფლიქტი (Heyd, დასახ. ნაშრ., S. 392), რომლის თვითნათ სასარგებლოდ მოგვარებით გენუელთა ღირად იყვნენ დინტერესებულნი.

გენუელი ვაჭრები სევასტოპოლისში იმეფდნენ აუკიობრავი წარმოების საგნებასა და პროდუქტებს: ხე-ტყეს (აფხაზეთის ტერიტორიაზე ხე-ტყით ვაჭრობის ცენტრს ბიკინთის მახლობლად მდებარე კაუ ბუქსო წარმოადგენდა. (Heyd, დასახ. ნაშრ., S. 194), ცვილს, ბეწვეულს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. სამაგიეროდ, გენუელებს მარილი. ფუფუნების საგნები, იარაღი და დასაელეთ ევროპის სხვადასხვა ნაწარმი შემოქონდათ (З. В. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии (V—XII вв.), Сухуми, 1959, с. 245).

სევასტოპოლისი ითვლებოდა, აგრეთვე, მონებთ ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. მონებით ვაჭრობა გენუელებთან სრული თავისუფლებით სარგებლობდა და ამ საქმის ინიციატორები აფხაზეთში თვითონვე იყვნენ. როგორც ზ. ანჩაბაძე აღნიშნავს. ისინი „შემდეგი დროის თურქ მონათმოვაჭრების ღირსეულ წინაპრებს წარმოადგენდნენ“ (დასახ. ნაშრ., გვ. 246).

შავი ზღვისპირეთში არსებული გენუის კოლონიების 1449 წლის წესდებაში დაკანონებული ფორმა აქვს მონებით ვაჭრობას. მასში ვკითხულობთ: „ითითაუელს რა წოდებისაყ არ უნდა იყოს იგი, უფლება აქვს სრულიად თავისუფლად კონსულის მხრივ ყოველგვარი შეფერხების გარეშე პირადან ან სხვების შუამავლობით შეიძინოს მამული, ნივთები, საქონელი და ადამიანები. თუ კონსული მყიდველს ან გამყიდველს შეუშლის ხელს, ყველა შემთხვევაში დაჭარბდება 5 სონმით (ЗООИД, т. у., с. 396). მონებით ვაჭრობაში გენუელებს არც ენეცილები ჩამორჩებოდნენ. როგორც ჯ. კანალე შენიშნავდა, — ენეცილებს ყველაზე მეტად იზიდავდა ვაჭრობა ქართული ბავშვებით. „რომლებიც ეგვიპტეში მოქავდათ, სადაც შიშის ზარის დამცემ მამლუქთა ბრბოებს ქმნიდნენ“ (Canale, დასახ. ნაშრ., II, გვ. 65). XV ს. მეორე ნახევარი, ისევე როგორც იტალიელების შავი ზღვისპირეთის სხვა კოლონიებისათვის, სევასტოპოლისისათვისაც საბედისწერო აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ გენუის კოლონიებზე შეტევა ოსმალებმა სევასტოპოლისის აკლებით (1454 წ.) დაიწყეს (Heyd, დასახ. ნაშრ., II, გვ. 396). ოსმალების თავდასხმის შედეგებს არ გაეულო, როდესაც სევასტოპოლისმა ახალი თავდასხმა განიცადა. ამჯერად მას გენუელებისაგან შეეწირობებული აფხაზები დაეცნენ 1455 წ. 28 ივნისს და საშინლად აიკლეს. გენუელებმა გაქცევით უშველეს თავს. გაქცეულთა შორის იყო კონსული გვირადლო პინელი, რომელმაც 1455 წლის ივნისში კავას შეაფარა თავი. გაქცეულთა ქონება აჯანყებულებმა იგდეს ხელთ (Atti della Societa Liguria, vol VI, Genova, 1868, doc. 129, p. 317—318).

აფხაზების მიერ სევასტოპოლისის აკლების შემდეგ გენუელთა მდგომარეობა უაღრესად არასტაბილური შეიქმნა. ეს კარგად გამოიხატა შემდეგ ვითარებაში: 1456 წლის 6 თებერვალს გენუაში ჩატარდა შავი ზღვის ფაქტორიების კონსულუბისა და სხვა მოხელეების არჩევა. სევასტოპოლისის კონსულად არჩეული იქნა ფრანჩესკო ლომელინი (იქვე, დოკ. № 201, გვ. 529), მაგრამ მან უარი განაცხადა ამ თანამდებობის დაკავებაზე და იმავე წლის 23 თებერვალს ხელახლა მოეწყო არჩევნები. ამჯერად კონსულად აირჩიეს კასპარე დე კოლუნის ალბერტი (იქვე, დოკ. № 204, გვ. 532). ჩვენთვის არ არის ცნობილი, დაიკავა თუ არა მან აღნიშნული თანამდებობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, შემდგომი დროის დოკუმენტებში (რომელთა ნახვაც შეეძლებოდა) არაერთი ცნობა არ არის სევასტოპოლისის კონსულის არჩევის შესახებ. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ იგი სევასტოპოლისის უკანასკნელი კონსული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გენუელებმა შემდეგში მაინც შეძლეს აფხაზთა დადასველთ საქართველოს სხვა ადგილებში დაბრუნება (იქვე, დოკ. № 129, 658, 670, 690, 1032), თავიანთი ძველი პოზიციების აღდგენა ვეღარ მოახერხეს. ამ დროიდან იწყება სევასტოპოლისის დაკემა და შემთხვევითი არ არის, რომ ერთ დროს აყვავებული სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი იმავე საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში ბარბაროს მიერ მხოლოდ ციხე-სიმაგრედლა იხსენიება. მაგრამ სევასტოპოლისის საბოლოო დაკემა ძირითადად დაკავშირებულია ოსმალეთის შავ ზღვაში მოქმედებასთან. ოსმალებისაგან შევიწროებული გენუელები თანდათან ტოვებენ თავიანთ კოლონიებს. როგორც ზ. ანჩაბაძე ვარაუდობს. ვენუელებს სევასტოპოლისი კაფას დაკემაზე ორი წლით ადრე ე. ი. 1473 წ. უნდა მიეტოვებინათ (З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 248).

11. ჩ ა ლ ა თ ა ე ლ ე ბ ი — ჩალათაის ულუსი. მოდის ჩინგისხანის მეორე ვაჟის სახელიდან (გარდაიცვალა 1242 წ.). ჩალათაის ულუსი აერთიანებდა მკერა-ნახრს, შეიდმდინარეთს და კაშგარს.

12. ა ლ ა ნ ი — ცენტრალურ ჩრდილო კავკასიაში ჩამოყალიბებული (IX—X სს.) ადრეფეოდალური სახელმწიფო. ალანები იყვნენ სარმატთა ერთ-ერთი ტომი, მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოსი ხალხის ფორმირებაში (Б. А. К а л о с е в, Осетины, М., 1971, с. 23—24).

13. ზ ა ბ ა კ ე ს, ზ ბ ა კ ე ს ზ ლ ვ ა — აზოვის ზღვა. ძნელია ზუსტად დადგინდეს, თუ საიდან არის ნაწარმოები ეს სახელწოდება. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლელი აეტორები (XIV—XV სს.) ტანას უწოდებდნენ აზაკს. ალბათ, აქედანაა მიღებული სახელწოდება აზოვის ზღვა (Т и з е и г а у з е и л, დასახ. ნაშრ., II, გვ. 181, I, შენიშვნა 1).

14. კ ა ფ ა ს კ უ ნ ძ უ ლ ი ა ნ კ უ ნ ძ უ ლ ი კ ა ფ ა. იტალიელები ამ სახელწოდებაში გულისხმობდნენ ყირიმის ნახევარკუნძულს, ზოგჯერ კი მის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც მდებარეობდა ქ. კაფა. „კაფას კუნძული“ მატერიალურად შეერთებული იყო ვიწრო ყელით. რომელსაც ბარბარო ადარებს პელოპონესის ანუ მორეას ატიკასთან დამაკავშირებელ ყელს—სტომოსს. შუა საუკუნეებში მას უწოდებდნენ ჰექსამილიონს. საყურადღებოა, რომ ბარბარო იძლევა „პერეკოპის“ შუა საუკუნეებრივ სახელწოდებას „ძუკალას“, რომლის ეტიმოლოგია გაურკვეველია (Барбаро и Контарини о России, გვ. 177, შენიშვნა 105).

15. კ უ მ ა ნ ი ა. ეს სახელწოდება მოდის XII—XIII საუკუნეებდან, როცა აღმ. ყირიმში მრავლად იყვნენ ყივჩაღები, კუმანები. ცნობილია, რომ აღმო-

საეკლესიო (არაბი და სპარსელი) მწერლები ჩრდილო შავი ზღვისპირეთისა და აზოვის ზღვისპირეთის ველებს ყოველთა ველს უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ საუკუნეებში იქ თათრები ბატონობდნენ.

16. გაზარიას უწოდებდნენ იტალიელები ყირიმის აღმოსავლეთ ნაწილს. ალბათ, იმის გამო, რომ კუმანებზე (ყივჩაღებზე) ადრე რადიკლებში ხახარები ცხოვრობდნენ.

17. ბარბარო, როგორც გამოცდილი ვაჭარი, კარგად იცნობდა შავი ზღვისპირეთის ქალაქების ზომი-წონის ერთეულებს და გაზარიასთან დაკავშირებით აღნიშნა ქსოვილების სიგრძის საზომი, რომელსაც ერქვა - *pico de Gazaria*. პიკოთი ზომავდნენ უპირატესად შალის, სელის, ზოგიერთი სახის აბრეშუმის და ტილოს ქსოვილებს (Francesco Balduci-Pegolotti, *La pratica della mercatura*, ed. by Allan Evans. Cambridge Mass; 1936. «The Mediaeval Academie of America, publication № 24, p. 46). ტანში პიკოს გარდა იყენებდნენ „brazo braccio-ს. (წყრთა) (Барбаро и Контарини. გვ. 178, შენიშვნა 109).

18. გაუგებარია საიდან ანგარიშობს ბარბარო 25 წელს. თუ იმის მიხედვით ვიმჩნევთ. რომ ბარბარო ამის შენდევ წერს რუსების მიერ ყაზანის აღების შესახებ, რაც მოხდა 1487 წელს, მაშინ მისი მოგონება რუსების მიერ ვოლგაზე ნაოსნობისათვის გადასახადის გადახდის შესახებ უნდა ეხებოდეს ქ. ყაზანს. იგი წერს თათრთა „იმპერატორის“ (ოქროს ურდოს ხანის) სასარგებლოდ გადასახადის გადახდაზე. როგორც ვარაუდობენ ეს უნდა ყოფილიყო ულუჯ მკამედი, დიდი ურდოა ხანი 1419—1424 და 1427—1437/38 წწ., შემდეგ კი (1438—1467 წწ.) ყაზანის სახანოს ხანი. შეიძლება ულუჯ მკამედის დროს შეწყვიტეს რუსებმა ბაეის გადახდა თავიანთი გემებით ყაზანის გაელის დროს (Барбаро и Контарини. გვ. 184, შენ. 148).

19. ყაზანი აღებული იქნა ივანე III-ის დროს, 1487 წლის 18 მაისიდან 9 ივლისამდე განვლილ პერიოდში (Московский летописный свод конца XV в. ПСРЛ т. X XV. М.—Л., 1949, с. 331). ყაზანის სახანოს განდევნილი იქნა და მისი ადგილი დაიკავა ივანე III-ის მორჩილმა მკამედემანმა. ყაზანის სახანო მოსკოვზე დამოკიდებული გახდა. ყაზანის დამორჩილებასთან დაკავშირებით ვაიგზავნა ელჩობა, რომელიც უნდა სწეოდა რომს, ვენეციასა და მილანს. 1488 წლის 8 სექტემბერს მოსკოვის ელჩები მიიღო ვენეციის სენატმა. სენატის საზომო სხდომაზე მათ გამოაცხადეს მოსკოვის სახელმწიფოს ამ წარმატების შესახებ (Сокращенный летописный свод. ПСРЛ, Никоновский летопись. Сокращенные летописные своды конца XV века, М.—Л., 1962, с. 287—288; Mal'piero, დასახ. ნაშრომ. გვ. 310), ამ ელჩობის წყალობით შეეძლო ბარბაროს ვენეციაში გაგზავნის მიერ ყაზანის აღების შესახებ. მან ეს უკანასკნელი ცნობა შეიტანა თავის თხზულებაში (Барбаро и Контарини, გვ. 184, შენიშვნა 149)

20. ედილი—მდ. ვოლგის საყოველთაოდ გავრცელებული სახელი შუა საუკუნეებში.

21. მუსკო—მოსკოვი.

22. ფიანდრა—ფლანდრია.

23. მოქსია—ბურტასებისა და მორდვენის ტომების განსახლების რაიონება, რომლებიც ვრცელდებოდა შუა ვოლგისპირეთის დასავლეთი ნაწილიდან ოკას, სურისა და ოკას მარჯვენა შენაკად მდ. მოკშამდე.

24. ბარბაროს ცნობები ნოვეგოროდის შესახებ მისი ტანში ყოფნის დროსთან შედარებით გვიანდელია. ბარბარო წერს ივანე III-ის მიერ ნოვეგოროდის დამორჩილების შესახებ, რაც მოხდა 1478 წ. ნოვეგოროდის დამოუკიდებლობის სიმბოლო, ექჩეს ზარი, გადატანილი იქნა მოსკოვში 1478 წლის მარტში. ჰაგრამ, საფიქრ ბელა,

რომ ბარბაროს მხედველობაში აქვს იეჟი III-ის მოქმედება 1471 წელს. ბარბარო წერს, რომ ნოვგოროდში უკანასკნელ ხანებში თანდათანობით ვრცელდება კათოლიკობა. ამის შესახებ არის ცნობები მატანეშიც, იქ, სადაც ლაპარაკია ივანე III-ის მიერ ნოვგოროდში მოწყობილი ლაშქრობის წინა პერიოდზე. ნოვგოროდში კათოლიკობის გავრცელება გამოწვეული იყო ძირითადად პოლიტიკური ორიენტაციით: ნოვგოროდის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომხრე იყო პოლონეთის მეფე კაზიმე IV-ის ქვეშევრდომობისა, ივანე III-მ „მართლმადიდებლობიდან გამდგარი“ ნოვგოროდელების დასჯა გამოიყენა ნოვგოროდზე გალაშქრების საბაბად (Московский летописный свод, გვ. 288)

25. კ ა ზ ი მ ე ე IV (1427—1492)—პოლონეთის მეფე 1447 წლიდან, ლიტვის დიდი მთავარი 1440 წლიდან.

26. პოლონია. უნდა იგულისხმებოდეს პოზნანი, რადგან ბარბარო ამბობს, რომ ტრაკიდან „პოლონიაში“ შეიდი დღის სავალიაო.

27. Mersaga-Meseritz. იგი მდებარეობს პოზნანსა და ფრანკფურტს შორის, მდ. ოდერზე.

28. კაზიმე IV-ის ვაჟი, ვლადისლავ II, იყო ბოჰემიის (ჩეხეთი) მეფე 1471—1516 წწ., ხოლო 1490 წლიდან—უნგრეთისა.

29. ფრანგები და იტალიელები ალემანიას უწოდებენ გერმანიას.

30. სწორია ე. სკრეინსკაიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს აღწერა ხელოვნურადაა მიტმასნებული სრულიად სხვა ამბებთან. იგი უნდა მისდევდეს სამეგრელოს აღწერას (Барбаро и Контарини, გვ. 186, შენიშვნა 165).

31. პ ა ნ კ რ ა ტ ი ა, პ ა ნ გ რ ა ტ ი—ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466—1478).

32. ქართველთა თმავარცხნილობის შესახებ იხ. ე. მამისთვალისძევილი, ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი პალესტინაში მყოფი ქართველების შესახებ, „მაცნე“, № 3, გვ. 79, შენ. 21.

33. ქართველ ერისკაცთა წვერ-ულვაშის სიდიდემ ბრაიდენბახის ყურადღება მიიპყრო (იქვე).

34. ასეთივე ქულს ავეიწერს ბრაიდენბახი (იქვე).

35. ძ ი ფ ი ლ ი ს ი—თბილისი.

36. შუა საუკუნეებში ევროპელები ტიკროსის სახელით აღნიშნავდნენ აზიის ყველა უცნობ მდინარეს (Р. Хенниг, Неведомие Земли, № II, М., 1962, с. 96, примеч. 4), ასე უწოდებდნენ მტკვარს მარჯო პოლო, კლავიხო, ბარბარო კონტარინი.

37. ალ. კეონიას მიაჩნდა, რომ ავტორმა გორი და გურია ერთმანეთში აურია. ე. ჩ. სკრეინსკაიამ კი ბარბაროს ნათქვამი („იგი მდებარეობს შავი ზღვის პირას“), გაიგო ისე, თითქოს ბარბარო გორს კი არ გულისხმობდა, არამედ საერთოდ საქართველოს (იხ. Барбаро и Контарини, გვ. 161, 187, შენიშვნა 172). ვფიქრობთ, ბარბარო აქ სულ სხვა დასახლებულ პუნქტს გულისხმობდა და იგი გოშიო უნდა იყოს.

გონიო ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული XII ს-მდე აკამფსიის სახელითა ცნობილი. მისი მოსახლეობა ლაზებისაგან შედგებოდა. გვიან პერიოდში იგი გამოპყოფია ქანებს და ცალკე დამოუკიდებელი ოლქი წარმოუქმნია. შემდეგში, ოსმალების მიერ მის დაპყრობამდე (1547), ხან სამცხე-საათაბაგოსი და ხან გურიის სამთავროს შემადგენლობაში ყოფილა (იხ. ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-



დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი 1, ბათუმი, 1958, გვ. 30). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბარბაროს საქართველოში ყოფნის დროს იგი ბაგრატ მეფეს ეკუთვნოდა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები ამ დროისათვის. ე. ი. ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის (1461) შემდეგ, ოსმალთა მეზობელი გახდა, ხოლო ამ მნიშვნელოვან ციხეში ბაგრატ VI-ის უშუალო მორჩილებაში მყოფი ქარის დგომა სავარაუდოა. ყოველი შემთხვევისათვის, აქ შეიძლება გავისწავლოთ ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, საიდანაც ჩანს, რომ ერთი საუკუნით ადრე, XIV ს. 70-იან წლებში, გონიო ბაგრატ V-ს (1360—1393) ეკუთვნოდა. პანარეტოსი ამბობს: „ავეისტოს ექვს ჩვენ ჩავედით ლაზიკაში და თვის ბოლოს, 6981 წელს (ე. ი. 1373 წ.), ვინახულეთ ბაგრატ მეფე. შემდეგ გადავედით ბათვისში და დავბანაკდით სოფლის გარეთ... აქ შევხვდით და მოლაპარაკებას ვაწარმოებდით გურიელთან...“ შემდეგ ისტორიკოსი ჰყვება ოთხი წლის შემდგომ ამბავს: „გავემგზავრეთ ლაზიკაში. იქ გავატარეთ მთელი ზაფხული 15 აგვისტომდე მაკრიგიალში. გონიოდან მაკრიგიალში ჩამოვიდა პატარა ძალი...“ (იხ. ს. ყ ა ლ ხ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950—1951, გვ. 21—22).

მიქელ პანარეტოსის ცნობით, ბათუმზე გურიელის ხელისუფლება ვრცელდებოდა, რადგან მასთან მოსალაპარაკებლად სწორედ იქ გადასულან მას შემდეგ, რაც ბაგრატ მეფესთან ჰქონდათ მოლაპარაკება ლაზიკაში, ე. ი. საქართველოში (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი „ლაზიკაში“ სამართლიანად მიიჩნევენ საქართველოს. იხ. მისი ქართული ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 276). გონიო „ლაზიკას“ ეკუთვნოდა აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ გონიოზე ბაგრატ მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა. საერთოდ კი, როგორც ზემოთ უკვე თქვა, ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ გონიო და მისი სამხრეთით მდებარე მაკრიგიალი საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა (იქვე, გვ. 277); თ. უსპენსკის მიხედვით, გონიოსთან ვადიოდა საქართველოს სამეფოსა და ტრაპიზონის საციისროს შორის საზღვარი (Ф. И. Успенский, Очерки из истории Трапезундской империи. Л., 1929, с. 167).

ასეთია ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბარბაროს მიერ დასახლებული „გორი“ გონიო უნდა იყოს და გამორიცხებული არ არის, რომ იგი ბაგრატ VI-ს ეკუთვნოდა. თუ არა და საოცარია ბარბაროსაგან ასეთი შეცდომა, ქართლის შუაეულში მდგომი ციხე შავი ზღვის პირას გადაეტანა. ალბათ, უნდოდა ეთქვა, რომ ბაგრატს თბილისი ეკუთვნის და მისი სამფლობელოები გონიომდეა (ეს სახელი შეიძლება ხელნაწერიდან არასწორად იქნა ამოკითხული) გადაქმნილი. ბარბარომ გორის მდებარეობა რომ კარგად იცოდა, ეს მისი „მოგზაურობის“ სხვა ადგილებიდანაც ჩანს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბარბაროს ბათუმში მოუხდა ყოფნა და, საფიქრებელია, რამდენაქერმეც, მაშინ იმისი თქმაც შეიძლება, რომ მან გონიოს (გორი), შესახებ ცნობები ბათუმში მიიღო.

38. ს ა მ ა ხ ი ა — შამახია. შამახია იყო შირვანის ოლქის ცენტრი, ხოლო მის მბრძანებელს ერქვა შირვანშაჰი („შარვანშა“ ქართლის ცხოვრების მიხედვით).

<sup>30</sup> კონტარინის მიხედვით, შამახიაში გამოჰყავდათ „ტალამანური აბრეშუმო“ (seta talamano), ხოლო პეგოლოტის მიხედვით «seta talani» (Pegoloti, დასახ. ნაშრ., გვ. 208, 298, 430). პეიდის ვარაუდით, «Talanii» არის არასწორად წაკითხული «Talicsh», რომელიც ჰქვია აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე

შთებ (Heyd, II, S., p. 672). შამახას აბრეშუმი საქვეყნოდ იყო ცნობილი და ეს ქალაქი აბრეშუმის დიდ ბაზარსაც წარმოადგენდა (H. П.-Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, с. 268—269).

40. იბ. ძენო, შენ. 8.

41. თ ა მ ი რ კ ა კ — დარუბანდი. ლეონტი მროველის თანახმად, იგი ქართლის ერისთავმა არდამმა ააშენა ამიერკავკასიაში ხაზარების გადმოსვლის შესაჩერებლად. „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვისკარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაქშა კარი“ (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 13).

ევროპაში ფართოდ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა ააშენა ქალაქი დარუბანდი და ცნობილი იყო „რკინის კარების“ სახელით. სინამდვილეში ალექსანდრე არასოდეს ყოფილა კავკასიაში.

უნდა გავიხსენოთ, რომ დარუბანდს არაბულად ბაბ-ალ-ჰალიდი (რკინის კარი) და თურქულად თუმურ-კაფა, დემურ-კაფუ (რკინის კარი) ჰქვია (B. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, с. 119) სწორედ თურქული ფორმა აქვს ნახმარი ბარბაროს.

42. შუა საუკუნეების ზოგიერთ ავტორი „მედათი“ (ე. ი. შუა) აღნიშნავდა შუა აზიას და გულისხმობდა სპარსეთსა და ჩინეთს შორის არსებულ სახელმწიფოს, რასაც სინამდვილეში ჩალათაის ულუსი ერქვა.

43. ალბანიაში ბარბარო, ალბათ, ჩრდილო აზერბაიჯანს გულისხმობს. ამას ეჭვით იმიტომ ვამბობთ, რომ ბარბაროს თანამემამულეს, ისტორიკოს პაოლო ჯოვიოს, სხვანაირად ესმის ალბანია. ის ერთვან ამბობს: „იბერები და ალბანები დღეს იბერებად წოდებულნი“ (La seconda parte dell'Historie del suo tempo di Mons. Paolo Giovio di Nocera, tradotto per M. Lodovico Domenichi, Firenze, 1553, p. 478). ჯოვიოს ცნობიდან გამომდინარე, გამოვთქვით მოსახრება, რომ ალბანებში კახელები უნდა იგულისხმებოდნენ (ე. მ. მ. ის თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. ოსუ შრომები, „ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია“, ტ. 205, თბ. 1979, გვ. 108).

44. პ ე რ ს ი ა — სპარსეთი.

45. ტ უ რ კ ი ა — ოსმალეთი, თურქეთი.

46. ს ო რ ი ა — სირია.

47. ბარბაროს „მოგზაურობია“ ინგლისურ თარგმანში დამატებულია ერთი წინადადება, რომელიც მთარგმნელის, ჩარლზ გრეის მიერ უნდა იყოს ჩამატებული: „აი ეს გზა გამოიყენება მოგზაურების მიერ, ვინაიდან სხვა გზა ყრჩეურობით ცნობილი არ არის“ (A narrative of italian travels in Persia, London, 1873, p. 87). ბარბარო კი ვასაგებად ამბობს, რომ ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მოგზაური. თუ არ მოისურვებდა დარუბანდით წასვლას, მაშინ მეორე — ე. ი. საქართველოს გზით შეეძლო ესარგებლა.

48. ო ტ ო მ ა ნ ი. (ფრანგ. ottomans) წარმომდგარია სულთან ოსმან I (1300—1324) სახელიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ოსმანთა დინასტიას (1300—1922). შუა საუკუნეებში ოტომანს უწოდებდნენ სულთანსაც და თურქეთსაც სულთან ოსმანის სახელიდან მოდის ქართული ოსმალეთი, ოსმალები, ოსმალო.

49. დ უ კ ა ტ — ვენეციური ოქროს მონეტა, რომლის მოჭრა დაიწყო XIII ს-დან. ვენეციური დუკატების (არსებობდა ბიზანტიურიც) საქართველოში გავრ-

ელებას XV ს. შუა ხანებს მიაწერენ (იხ. რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, ევროპელი მონეტების მმოქცევა საქართველოში XV—XVIII ს-ში, თბ., 1971, გვ. 13).

50. ბ ა ლ ა ს ა—ბადახში ანუ ძვირფასი ლალის ქვა (იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1964, გვ. 19—121).

51. ს ა ნ მ ა რ კ ო ს (წმ. მ ა რ კ ო ზ ი ს) ტ ა ძ ა რ ი ვენეციის შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი ძირითადად აშენებულ იქნა 1063—1085 წწ., მაგრამ მისი სრულყოფა შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდებოდა (Всеобщая история искусств, т. II, кн. I, М., 1960, с. 413).

52. კ ო ტ ა ტ ი ს ი—ქუთაისი.

53. ს კ ა ნ დ ე რ ი—სკანდა. კონტარინის ცნობაზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ სკანდაში ბაგრატ VI-ის საზაფხულო რეზიდენცია იყო (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. IV, გვ. 109).

54. ა ს ე ვ ე მ ა ქ ე ს გაგებული უზუნაჰანის ჯარის მოძრაობის მიმართლება, ს. ფილიპოს, რომელიც ბარბაროს ბიოგრაფიაში აღნიშნავდა: „შაჰა, საქართველოში შეჭრის დროს, როდესაც სპარსელებმა სპინლად ააოხრეს იგი (ბარბარო-ე. შ.) მუდამ თან ახლდა. იყო თბილისში, გორში, ქუთაისში, სკანდაში და სხვა ქალაქებში საქართველოს მეფისა, რომელმაც ბოლოს მშვიდობა 16 ათასი ღუჯატის გადახდით მოიპოვა“ (S. Filippo, დასახ. ნაშრ., გვ. 43). ს. ფილიპოს ნაწილარზე უერ დავეთანხმებით, მხოლოდ უკანასკნელ წინადადებაში გამოთქმულ მოსაზრებაში, რადგან, ვფიქრობთ, უზუნაჰანა სწორედ კონტარინის მიღების შემდეგ დაარბია იმერეთი.

55. მრავალპიროვი საინტერესოა ბარბაროს და კონტარინის ცნობები ლორეს შესახებ. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს კონტარინის მიერ ლორეს მიკუთვნება სომხეთისათვის. ლორე, როგორც ცნობილია, მუდებარებოდა უძველეს ქართულ ტერიტორიაზე, ქვემო ქართლში ანუ „სომხეთში“. საქართველოს ამ კუთხისათვის „სომხეთის“, დარქმევა გამოიწვია იქ IX—X სს. სომეხთა პოლიტიკურმა ბატონობამ. ამას, როგორც ჩანს, თან ახლდა სომხური მოსახლეობის გაჩენა. რაზეც კონტარინი მიუთითებს.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხეთი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ X ს-დან მოყოლებული გვხვდება. „სომხეთი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობას და ლორეს უკლები და საუკუნადებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფო ტერმინი მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხეთს“ არ უწოდებდნენ. პირიქით ლორეტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, (ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული), ტფილისი, 1919, გვ. 21).

XII ს. დასარულს ლორე საბოლოოდ იქნა შემოერთებული. აღოსავლეთში ყოველი პოლიტიკური გართულების დროს ამ ციხეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დაცვის საქმეში. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ „სომხეთის ციხე ლორე“ საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის ამირსპასალარის „საჯდომად“ ანუ რეზიდენციად ითვლებოდა (იქვე, გვ. 23). კონ-

ტარინის იქ ყოფნის დროს კი სომხური მოსახლეობა იმდენად იყო მომრავლებული, რომ იგი უკვე სომხეთის ნაწილად ითვლებოდა. მაგრამ საბოლოო დაეიწყებას არ მიეცა ის, თუ ვის საკუთრებას შეადგენდა ისტორიულად ლორე, რომელიც სომხეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. XVI ს-ის ცნობილი იტალიელი ექიმი და მწერალი მინადოი აღნიშნავდა: „ლორე ციხე-სიმაგრეა სომხეთში, საქართველოსი იყო, ამჟერად თურქეთისა“ (Historia della guerra fra Turchi et Persiani di Gio. Thomasso Minadoi da Rovigo, Venezia, 1594, p. 7).

იმავე კონტარინის ცნობით, ლორეს ციხეში „თურქების“ ე. ი. თურქმანების ჯარი იყო ჩაყენებული. ეს ფაქტი მიუთითებს უზუნ პასანის ინტერესზე, მუდმივი მუქარის ქვეშ ჰყოლოდა აღმ. საქართველო. ამავე მიზნით მიიტაცეს ლორე თურქმანებმა თემურის დროს და იგი დიდი ხნის განმავლობაში მტრების ხელში იყო. მხოლოდ 1431 წ. აღექსანდრე მეფემ კვლავ შეუერთა იგი საქართველოს (თ. ე ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები, II, გვ. 236; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 30—32) შემდეგში, XV ს. 70-იან წლებში, ლორე ისევ უზუნ პასანს ჩაუგდია ხელში.

56. ნ ო ე ს მ თ ა—არარატის მთა.

## აწოლელო მარია ანჯოლელო

ანჯოლელო დაიბადა 1451 ან 1452 წელს ვენეციაში, უძველეს და უბრწყინვალეს პატრიციულ ოჯახში. 1468 წ. იგი დასახლდა ვენეციის რესპუბლიკის კუთვნილ კუნძულ ნეგროპონტეზე (კ. ევზეა). 1470 წელს ეს კუნძული ოსმალებმა დაიპყრეს, ტყვედ ჩავარდნილი ანჯოლელო მონად აქციეს და კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. 1472 წლიდან იგი სულთან მეჰმედ II-ის ვაჟის მუსტაფას სამსახურში იმყოფებოდა, მოწმე გახდა 1473 წ. ოსმალეთ-აიოიუნ-ღუს ომისა. 1476—1477 წლებში ანჯოლელო მონაწილეობდა მოლდავეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. მეჰმედ II-ის გარდაცვალების შემდეგ ბაიაზიდ მეორისაგან შერისხულმა ანჯოლელომ თავი შეათარა სპარსეთს. მაგრამ არაა ცნობილი რამდენი ხნით. 1490 წ. იგი ცხოვრობდა ვიჩენცაში. 1507—1514 წლებში ანჯოლელო შაჰ ისმაილის სამსახურში იყო. 1514 წ. სამუდამოდ დასახლდა ვენეციაში. 1514—1547 წლებში მას ეკავა ნოტარაუსების კოლეგიის პრეზიდენტის თანამდებობა. ანჯოლელო გარდაიცვალა 1547 წელს<sup>1</sup>.

ანჯოლელომ დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს XV—XVI სს. საქართველო-ირანის ურთიერთობის შესასწავლად.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრი იმის შესახებ, თითქოს ანჯოლელო მოწმე იყო უზუნ ქასანის 1477 წლის საქართველოში შემოსევისა<sup>2</sup>. ამ შეცდომის სათავე უნდა მომდინარეობდეს გ. ყაზბეგისაგან, რომელსაც ერთგან აღნიშნული აქვს, თითქოს ანჯოლელოს თხზულების შესავალში რამუზიოს ნათქვამი

<sup>1</sup> ანჯოლელოს ბიოგრაფიული ცნობების შესახებ იხ. S. Filippo, - დასახ. ნაშრ., გვ. 156—157; J. Ursu, Historia turcshesca, Bucarest, 1909.

<sup>2</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 116; შ. ხანთაძე, ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან (XIX ს.-ის 20-იან წლებამდე). „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968 გვ. 117.

ჰქონდეს, რომ ანჯოლელი მალათიასთან ბრძოლაში სპარსელებს ტყვედ ჩაუგდიათ და თავის „მოგონებებიც“ იქ დაუწერია<sup>3</sup>. მაგ-  
ჩან დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ არც რამუზიოს უთ-  
ქვანს ასეთი რამ და არც უზუნ ჰასანის სიცოცხლეში ანჯოლელი  
არ ყოფილა აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში. იგი უზუნ ჰასანის  
ცხოვრების აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მდგომარეობის, საქარ-  
თველოში 1477 წ. თურქმანების შემოსევის აღწერისას სხვათა,  
კერძოდ ძენოს, ბარბაროს (ბარბაროს რამდენჯერმე იმოწმებს კი-  
დეც) და კონტარინის ცნობებს უნდა ეყრდნობოდეს.

ანჯოლელის „მოგონებები“ შესულა რამუზიოს კრებულის  
მეორე ტომში.

---

<sup>3</sup> Г. Казбек, დასახ. ნაშრ.

**გაბონ უზუნ კასანის ცხოვრებისა და საქმეთა  
მოკლე მოთხრობა გადმოცემული  
ჯოჯანი მარია ანჯოლოლოს მიერ**

მდინარე ევფრატთან მისულმა სულთანმა გადაწყვიტა მასზე გადასვლა და ფონის მოძებნა დაავალა ასმურატსა და მის ჯარს, რომელიც სპარსელებმა დაამარცხეს<sup>1</sup>.

**თ ა ვ ი 7**

